ლიტერატურული საქართველო

ლიტერატურული საქართველო ✶ LITERATURULI SAQARTVELO ✶ ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

2 ივნისი 2023წ. №9 (4069) გამოცემის 92-ე წელი ფასი 2 ლარი

ვანო ჩხიკვაძე

თოყო ზოვიცჭირილი

ჯერ არ იცის, იქამდე
რა მანძილი ძევს,
ჯერ არ გაურუჯია
აფხაზეთის მზეს.

არ უნახავს, დაისი
როგორ კოცნის ზღვას,
ტალღა მხრებზე თოლიებს
როცა დაისვამს.

ჯერ ისეთი ჩვილია,
მაგრამ უკვე დღეს,
პატარა საგულეში
დიდი გული ძგერს.

ისე კარგი ვინმეა,
ანაცვალებს თავს,
სოხუმმა რომ იცოდეს,
აქ რა ბიჭი ჰყავს!..

▶▶ დასასრული. მე–2 გვ.

ქართული კინოს დღე ბაღდათში

წელს ეს დღე ბაღდათში აღინიშნა, შარშან – ნინოწმინდაში, გაისად კი სამტრედია იქნება მასპინძელი.

ასეთი სამწლიანი გეგმით მუშაობს უხუცესი ქართველი კინომცოდნე, პროფესორი გოგი დოლიძე, რომელმაც სამი ათეული წელი იბრძოლა ამ დღესასწაულის დაარსებისათვის.

ყოველი წლის 15 მაისს ოფიციალურად აღინიშნება ქართული კინოს დღე.

რატომ მაინცდამაინც 15 მაისს? იმიტომ, რომ სწორედ 15 მაისით (1908 წლისა) თარიღდება ის ოფიციალური წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც მოხსენიებულია ქართული კინოს პიონერი, უკვდავი ფილმის („აკაკის მოგზაურობა რაჭაში 1912 წელს“) ავტორი – ვასილ ამაშუკელი.

ბაღდათის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მართლაც საზეიმო განწყობილება სუფევდა. სალოტბარო სკოლის აღსაზრდელებმა შეასრულეს ბაღდათის მკვიდრის, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, რევაზ ლაღიძისა და სხვა ცნობილი ქართველი კომპოზიტორების სიმღერები, ცხადია, ქართული კინოფილმებიდან.

საინტერესო იყო კინოპროგრამა: აღიარებული სტუდენტური ფილმი „უნამუსო“, რომლის ავტორია გიორგი ხარებავა (ამჟამად თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კანცლერი). საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა გივი ჩუგუაშვილმა წარმოადგინა ზაზა ურუშაძის სატელევიზიო ფილმი „ცხელი ძაღლი“. პროგრამის გვირგვინი იყო ლიანა ელიავას ფილმი „ბზიანეთი“ კინოს შესანიშნავი ოსტატების (ლია ელიავა, იპოლიტე ხვიჩია, გივი ბერიკაშვილი, თენგიზ არჩვაძე და სხვ.) მონაწილეობით.

თეა ქაშაკაშვილი

კიდევ ერთი ნაბიჯი



წიგნი შეიძლება ძეგლად იქცეს, თუ ის ღვაწლმოსილი კაცის ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს. ოღონდ ცოდნა, გამოცდილება, სიყვარული სჭირდება ასეთი წიგნის შედგენასა და გამოცემას. ეს ცოდნა და გამოცდილება არის – თაყვანისცემასა და დაფასებასთან ერთად. ჯერ იყო გიორგი ლეონიძე, ახლა – ირაკლი აბაშიძე.

დიახ, ჯერ არის ცხოვრება, მოქალაქეობა, ღვაწლი და შემდეგ – წიგნი. ერთი შეხედვით, ასეა, ასე უნდა იყოს, მაგრამ თუ ამ წიგნის ფურცლებს გავყვებით, დავინახავთ, რომ თურმე ცხოვრება და ამ ცხოვრების წიგნი ერთად იწერება. უფრო სწორად, ცხოვრება იწერება როგორც წიგნი.

თვალწინ ლამის მთელი მეოცე საუკუნე ჩაივლის. ერთი ადამიანის ცხოვრების თავი და ბოლო – მთელი ეპოქის პანორამა.

ირაკლი აბაშიძის ლექსები, წერილები, დღიურები, სიტყვები, მის შესახებ დაწერილი სტატიები, მოგონებები, შეფასებები, მიძღვნები და ფოტოები საოჯახო ალბომებიდან და ფოტოგრაფიის არქივებიდან.

იხატება პოეტის შემოქმედებითი პორტრეტი, ცხოვრების უნივერსიტეტები, სამსახური, საქვეყნო მოღვაწეობა, ოჯახური ცხოვრება, შეხვედრები, ურთიერთობები, დიდი სიცოცხლის შეჩერებული წამები.

გაცოცხლებული წარსული, მოახლოებული შორეთი, მართალი, ნამდვილი, უბრალო, ადამიანური ხედები, ყველაფერი ის, რაც აღარ გახუნდება, არ გაქრება, არ გაგისხლტება ხელიდან, შენთან დარჩება, რათა წაიკითხო, შეინახო, გაუფრთხილდე, აჩვენო, გადასცე.

ეს არის, ალბათ, ტრადიციის ერთგულება, ფასეულობათა დაცვის ინსტინქტი. მაშ, სხვა რაღა უნდა იყოს ის თავდადება და უანგარობა, რასაც იჩენს გამოცემის იდეის ავტორი და მეცენატი ვახტანგ ვეფხვაძე.

ამასთანავე, აღსანიშნავია წიგნის შემდგენლისა და რედაქტორის, აკადემიკოს ვალერი ასათიანის, ცნობილი ჟურნალისტისა და ფოტოხელოვანის, დემიკო ლოლაძის, დიზაინერ კახა ბახტაძისა და სხვათა ღვაწლი.

როგორც ვახტანგ ვეფხვაძე წიგნის შესავალში წერს, ეს არის ძველი ჩანაფიქრის გზაზე გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი.

საინტერესოა შემდეგი ნაბიჯი, – ვის მიეძღვნება მომდევნო წიგნი?

რეჟისორის უთქმელი სათქმელი



ინტერვიუ გ. შალუტაშვილთან

გვ. 3

ათვლის წერტილები

ბადრი სულაძე

გვ. 7

უცნაური ამბები



ჩარლზ ბუკოვსკი

გვ. 8-9

უანგაროდ დახარჯული სიცოცხლე



დოდო ხიმშიაშვილი – 100

გვ.11

პირველი რესპუბლიკის სათავეებთან

პაატა სურგულაძე

გვ. 14

▶▶ პირველი გვერდიდან

ეძღვნება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს

ყიჭას იუბილე

წყاროსთან, იფნების კორომის ბოლოს,
იქ, სადაც ყურცქვიტა კურდღელი ცხოვრობს,
გახურდა თონე და ხაბაზობს ტურა,
ტყის ყველა კუთხიდან ელიან სტუმარს.

სუფრაზე რა უნდა ჭინჭარს და ღოლოს,
ნამგალს ატრიალებს ბურდღუნა სოლო.

„რად მიყვარს სტაფილო," – სცენიდან კიჭას,
უმღერებს ანსამბლი – „შაშვების ქორო".

დილაადრიანად, გაუხმეს ენა,
ქვეყანა შეყარა კაჭკაჭმა ლენამ.
მოხუც ფოსტალიონს გაუწყდა ქანცი,
რა მნიშვნელობა აქვს, ათოვს თუ აწვიმს,

მცხოვრებნი ზემოთის,
მცხოვრებნი ქვემოთის –
კურდღელს დააფასებს დღეს ქუდზე კაცი.

ყველა მიაწყდება მოცუცქნულ სოროს,
სადაც მარტოხელა კურდღელი ცხოვრობს.

სადაც ყალიონი დილამდე ხრჩოლავს,
და ატკბობთ ჭრიჭინას გაბმული „სოლო".

მელამაც გაიგო,
ცბიერმა ღადომ,
საჩუქრად კონვერტში ქათმის ფრთა ჩადო.

ქუცუნა, ზანტი და ჭამაში მარდი,
ქაქანით მოათრევს მუხის რკოს პარკით.

თხუნელამ – ახალი მოთხრილი მიწა,
ველურმა ფუტკარმა – თაფლუჭას ფიჭა,
ბუს კვერცხი მოართვა თრითინამ კიჭას,
ნუკრმა – ნეკერი და ბალახი ღიჭა.

ჩიბუხს რომ ახრჩოლებს დათუჩა სოლო,
იქ იუბილარი კურდღელი ცხოვრობს.

გავაპლაკუნოთო, ნაფაზი თითოც,
კალთაში ჩაისვამს პატარა ცქვიტოს.

ზამთარშიც თუთუნს არ გასდის ყავლი –
ბუხრიდან ამოდის ჩიბუხის კვამლი.
ბუზღუნებს მეუღლე –
დაშტერდი, დაბერდი,
ძილშიც არ გეთმობა კვესი და აბედი.
ეწევი, წევხარ, თუ კამათელს აგორებ –
ბუნაგი გაბოლე,
უბანიც გაბოლე!

ჰოდა, დათვს, ყურცქვიტას გვერდით რომ ცხოვრობს,
ჩიბუხისწევია სოლომონს, სოლოს,
ჭკუაში დაუჯდა,
ბოლოს და ბოლოს,
მეზობელს მიართმევს თუთუნის კოლოფს.

ანი და, ბანი და, განი და, დონი,
კარზე კაკუნია, სარკმელზეც – მგონი,

თავბრუ დაახვიეს,
არა აქვს მოცლა,
ვინ „გულებს" უგზავნის,
ვინ მხოლოდ კოცნას.

ისევ იძახიან,
გაუღეს კარი,
ფოსტალიონია,
ფეხმარდი ქარი.

არც შინდის კერკი ან კომპოტი მოცვის,
მგელმა მოგართვაო ეს მოსალოცი.

კითხულობს ნეკერჩხლის ფოთოლზე ნაწერს:
„სიზმარშიც ვნახულობ
შენს ფაფუკ „ფაცებს",
გილოცავ, გასუქდი, პირობას გაძლევ,
არ შეგახრამუნებ, კიჭუნა, ამ წელს!"

კიდევ ვინ მობრძანდა,
გარეთ ვინ დადის –
„პაწუას" მიერთვას ეს ამანათი.

აბა, მოგვასვენეთ, ხუმრობას მორჩით –
სად არის სტაფილო
ან ჭარხლის ფოჩი?

ციყვმა ამ მოსალოცს რა მოაყოლა? –
ზამთრისთვის თხილი და კაკალი კროლა!

კაკუნი!
– ვინ არის?
– გაუღეთ კარი! –
შემოაფრიალებს დეპეშას ქარი:

„იფრთხილეთ, ბაჭიას რამე არ ავნოს,
არც დიდი ანდოთ და
არც ბავშვი ანდოთ –
ცოცხზე გადამჯდარი,
ამა და ამ დროს,
სუფრას გადაუფრენს
ტყის ქაჯი, ლამრო!..

შორიდან დავტკბები კერძების სურნელით,
სახელს ვერ გაგიმხელთ!..
„კეთილის მსურველი."

კოდალას- მატლი და,
იჩქარეთ, დროა,
ბელურას ნისკარტით თავთავი მოაქვს.

რომ მოაცუნცულა წრუწუნამ ფრთხილად,
თვითონ გამოტლიკა კარაქის ქილა...

ჭამეს და დალიეს,
სიმღერით, ხმაურით,
შეძრეს უღრანეთის ამერ-იმიერი.
თავის მოტანილი თვითონვე შესანსლეს,
იუბილარი კი...
დატოვეს მშიერი!

ტაშ-ფანდურისა და ზეიმის ბოლოს,
სოროს, სადაც ჩვენი კურდღელი ცხოვრობს,
ცაზე მეოცნებე მთვარე რომ გაჩერდა,
„შაშვების ქორო" და ქარიც რომ ჩაჩუმდა,
წინ დაუსკუპდა და
ყელმოღერებულმა
ბულბულმა კურდღელს გალობა აჩუქა...

ვიდრე ერთგულებით ერთმანეთს ვწამლობთ,
ვერ გადეფარები ნაკვერჩხალს, ნავლო,
თავის ცოცხიანად მოთქვამს და წვალობს,
ძეძვებში გაბმული ალქაჯი ლამრო!..

ანი და, ბანი და, განი და, დონი,
ეს ჩვენი
ამბავიც
დასრულდა, მგონი!

ვბვბვნა

ჩამოჰყივის პირსაბანს
მამალივით ონკანი:
– ასე როგორ იქნება,
წყურვილით რომ მომკალით?

ვინ ყოფილა ეს ლიზი,
ზარმაცი და თავნება,
ერთხელაც არ მომიშვა,
ახლოს არ მეკარება!

აიჯაგრა ჯაგრისიც:
– დამასკუპეს აქ რისთვის,
„პასტის" გემო არ ვიცი,
ლიზი – თხილიტეხიას
კიჭუნები აქამდე
ჯერ არ გაუხეხია!

– არ ვარ სადღაც ნაპოვნი! –
აბუზღუნდა საპონიც,–
თენდება თუ ღამდება,
არც მე არ მეკარება!

წუწუნებს პირსახოცი:
– ნეტავ ბოლო მომეღოს –
სარეცხი მანქანიდან
თავი არ გამომეყო!

უთომ რისთვის დამნამა,
ვისთვის გამატკიცინა,
სახე როგორ შევწმინდო
ამ პატარა ტიტინას,
ხელები და პირი თუ
ჯერ არ გაიღვრიჭინა?!

მოკლედ, აბაზანაში
გნიასი და ომია,
ლიზის საყვედურები
სულ არ გაუგონია.

საქმე არც ისე არის,
მორჩეს კაკაფონია,
როგორც საბაზანოს
ჭორიკანებს ჰგონიათ.

ნახეთ, ამ პირცმაცუნას,
მუთაქაში ტენიან –
ონკანს როგორ შესწვდება,
მიწას არ ასცდენია.

ჯერ ისეთი ჩვილია,
ითვლის პირველ ნაბიჯებს,
საწოვარა აძინებს და
ცელქი სხივი აღვიძებს.

– დაუფიქრდით, სირცხვილით
როგორ არ დაიწვებით,
რანაირად გატეხავს
თხილს სარძევე კიჭებით?

გაზრდას რომ არ აცდიან,
დავიფიცებ დედილოს,
თუ ამ ენაჭარტალებს
ხმა არ ჩააკმენდინოს!
უკვირს რიკის:
– რა ხდება,
ღმერთო, ეს რა დონეა! –
ახლაც აბაზანაში
გნიასი და ომია!

ვანო ჩხიკვაძე

მხცოვანი ჟურნალი და ნორჩი მკითხველები

ამა წლის 20 მაისს დიდი ჟრიამული და ხალხმრავლობა იყო ზანდუკელის პირველ ნომერში. ეზო სავსე იყო ბავშვებითა და უფროსებით.

აქ, ამ ეზოშია განთავსებული საყმაწვილო ჟურნალ „დილას" რედაქცია. იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში დაგეგმილი იყო უძველესი საბავშვო პერიოდული გამოცემის ახალი ნომრის (2023 წ., 1-2) წარდგინება.

პრეზენტაცია გამომცემლობა „დილის" დირექტორმა, ქალბატონმა დოდო წივწივაძემ გახსნა, რომელმაც ისაუბრა ჟურნალ „დილის" დაარსებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. ღონისძიება კი ჟურნალ „დილის" რედაქტორმა თამარ ნინიკაშვილმა განაგრძო და სტუმრებს ქალბატონი ლალი ჯაფარაშვილის შესახებ უამბო, რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც გამოიცა ჟურნალის ეს ნომერი.

წარდგინებას უძღვებოდა საბავშვო მწერალი ლალი ღაჭავა. სტუმრებს მიესალმნენ საბავშვო მწერლები და პოეტები: ლალი ჯაფარაშვილი, თინათინ ჭეჟია, მზია მექერიშვილი, ნინო არსენაშვილი, ნინო მზესელი, ნინო ქუთათელაძე, მაია დიაკონიძე.

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ლიტერატურული კლუბის „კალმოსანის" აღსაზრდელებმა (ხელმძღვანელი ლალი ჯაფარაშვილი) – ლიზა აბაშიძემ და ანა გაბრიჭიძემ წაიკითხეს „დილაში" გამოქვეყნებული თავიანთი თხზულებები.

სტუმრების წინაშე სიტყვა წარმოთქვა ჟურნალისტმა მარინე გიგინეიშვილმა.

წარდგინებაზე „დილას" თბილისის 114-ე (პედაგოგი ლირა ბერაია) და 120-ე საჯარო სკოლის (პედაგოგები ნაირა ჯანჯღავა, გვანცა ღაჭავა, ნონა ღვდელაძე) მოსწავლეები ეწვივნენ, სტუმრად მობრძანდნენ სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს" აღსაზრდელებიც (პედაგოგები ირმა ბაკურაძე, ნინო აბესაძე), მათმა დირექტორმა, ნატალია ბეიტრიშვილმა „დილას" „მადლობის სიგელი" გადასცა.

*

ჟურნალ „დილის" ახალი ნომრის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის" მაღაზიათა ქსელში, პრესის გავრცელების ჯიხურებსა და სტენდებზე 1. თავისუფლების მეტროს მიმდებარედ; 2. ვერის პარკის მიმდებარედ; 3. 51-ე სკოლის მიმდებარედ; 4. ვაკის პარკის მოპირდაპირე მხარეს, „ქართუ ჯგუფის" მიმდებარედ; 5. ავლაბრის მეტროს უკანა მხარეს; 6. დიდუბის მეტროს გამოსასვლელის მიმდებარედ; 7. გადასასვლელი ხიდის მიმდებარედ (ნაძალადევი); 8. მეტრო „ახმეტელის" წინ; 9. დიღომი. ყოფილი დიღმის ბაზრის მიმდებარედ; 10. მეტრო სამგორის მიმდებარედ. ავტობუსის გაჩერების უკან; 11. ლეონიძის (ყოფილი კიროვის ქუჩა), მაჩაბლის ქუჩის დასაწყისში; 12. მეტრო „მარჯანიშვილის" მარჯვენა მხარეს, ამოსასვლელთან; 13. „დინამოს" სტადიონის მიმდებარედ; 14. აკ.წერეთელის ბაღის წინ; 15. დელისის მეტროს მიმდებარედ; 16. ვარკეთილის მეტროს ამოსასვლელთან; 17. სადგურის (ვაგზლის) მეტროს ამოსასვლელთან; 18. ოპერის მოპირდაპირედ.

გელა გველესიანი

უპასუხოდ ვერ დავტოვებ...

ძვირფასო მკითხველებო, ასეთი წერილების გამოქვეყნება არ მჩვევია, მაგრამ იძულებული ვარ. მსგავსი რამ იშვიათად ხდება და უპასუხოდ, რეაგირების გარეშე, ვერ დავტოვებ. მოკლედ მოგახსენებთ: უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს გიორგი დვალაშვილს აუღია ჩემი გამოკვლევები „ჯრუჭის მონასტრის ისტორიისათვის" (პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ისტორიანში", № 2, 2012 წ., nplg.gov.ge/bitstream/1234/51950/1/ისტორიანი–2012–N2.პდფ; ამბიონი, საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერნეტჟურნალი, http://www.ambioni.ge/jruwis-wmida-giorgis-saxxelobis-eklesia) და „ველტყევის მონასტერი" (ამბიონი, საზოგადოებრივ—რელიგიური ინტერნეტჟურნალი — http://www.ambioni.ge/veltyevis-monasteri) და მთლიანად შეუტანია თავის წიგნში „ჭიათურა-საჩხერის ტურისტული ცნობარი" (გამომცემლობა „თბილისი", 2013 წ.). არსად ჩემი, ანუ ავტორის, სახელი და გვარი ნახსენები არ არის. უფრო ადრე ვნახე, რომ ეს ნარკვევები ინტერნეტში გამოქვეყნებულ ცნობარში ჰქონდა შეტანილი, რა თქმა უნდა, ისევ ავტორის მოხსენიების გარეშე. დავურეკე, მკაცრად ვესაუბრე, ბოდიში მოიხადა და წაშალა. მაგრამ რა ვიცოდი, რომ იგივე მასალა წიგნში ჰქონდა შეტანილი და მალავდა. ახლაც აღშფოთებულმა მივწერე და ბოდიშები იხადა, მაგრამ არ უნდა საჯაროდ, წერილობით მოიხადოს ბოდიში და აღიაროს თავისი შეცდომა. იმიტომ ვწერ ამ წერილს, რომ ყველამ გაიგოს, რას კადრულობს ეს კაცი.

ეს გამოკვლევები გამოქვეყნებული მაქვს ინტერნეტ სივრცეში, დაბეჭდილია ჟურნალებსა და ჩემს წიგნებში, ვერავინ ვერასდროს წამართმევს, მაგრამ რომ წარმოვიდგენ, ჩემი სიყვარულით ნაწერი და ნაკვლევი, ჩემი სალოცავებისადმი მიძღვნილი ნარკვევები (ჩიღვინაძეები საეკლესიო გლეხები ვიყავით და ჯრუჭის და ველტყევის მონასტრებს ვემსახურებოდით) სხვის წიგნში ჩემი სახელის გარეშე არის შეცდომებით, აბდაუბდად ჩადებული, გულის ტკივილი მეწყება. თანაც სრულიად ზედმეტია ეს ნარკვევები მის წიგნში. იქ საჩხერისა და ჭიათურის სოფლების მოკლე მონაცემებია წარმოდგენილი. ჩემი გამოკვლევა ჯრუჭის მონასტერზე სოფელ ცხომარეთის მონაცემებში ჩაუსვამს, ამ დროს ეს მონაცემები დაახლოებით ერთი გვერდია და ჩემი ნარკვევი სამი გვერდი. ჩემივე „ველტყევის მონასტერი" სოფელ უზუნთის მონაცემებში შეუტანია. როგორ მოგწონთ, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორმა რაჭის ცნობილი მონასტერი იმერეთის სოფელს მიაკუთვნა! თან არ იცის, რომ მონასტრები განცალკევებული არიან სოფლებიდან. თუ მათი ისტორია უნდოდა წარმოედგინა, ცალკე უნდა შეეტანა წიგნში.

ან რა ტოპონიმების ამხსნელია იგი, უფიქრია „ჯრუჭის" ან „კვეშლევის" ეტიმოლოგიაზე როდისმე, ან მათი დაარსების თარიღი უკვლევია?! არა, ნახა სხვისი ნაშრომი ინტერნეტში, აიღო ასლი და ჩააგდო თავის წიგნში! განა მარტო ჩემი, იმ ცნობარში სხვათა, უფრო მეტად საჯარო სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნაშრომებსაც შეხვდებით, თანაც უმეტესად რედაქტირების გარეშე. მოხვის საჯარო სკოლის მოსწავლეები წერენ: „ჩვენმა მასწავლებელმა გვითხრა, რომ 1985 წელს ბზანარის ეკლესიის ნანგრევებიდან ამოღებული იყო ლითონის ფირფიტაო", ასევე აქვს გადატანილი პროფესორს.

ვთხოვ აღნიშნული წიგნის მფლობელებს, მიაწერეთ მის შესაბამის გვერდებზე (გვ. 66,67,68, 73,74,75), რომ იქ განთავსებული მასალა მე მეკუთვნის. სამაგიეროდ, გჩუქნით ჩემს ახლად გამოსულ, სიმართლით და სიყვარულით ნაწერ წიგნებს „ჩვენი ჯრუჭის მონასტერი" და „წინაპართა ნაცქერი სივრცეები", სადაც სხვა მრავალ მასალასთან ერთად ეს ნარკვევებიცაა სრულყოფილად წარმოდგენილი.

გივი ჩიღვინაძე

რეჟისორის უთქმელი სათქმელი

გიორგი შალუტაშვილი – *ხელოვნების დოქტორი, პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.*

დაიბადა 1965 წლის 1 სექტემბერს თბილისში. 1987 წელს დაამთავრა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი; 1987-1992 წლებში იყო მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი; 1992 წლიდან მუშაობს პედაგოგად თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში; 2008-2009 წლებში იყო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი; 2020 წელს აირჩიეს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად; დადგმული აქვს 50-მდე სპექტაკლი და გადაღებული აქვს 20-ზე მეტი ფილმი. წაკითხული აქვს ლექციები ლონდონის, თელ-ავივის, ვარშავის, ბუდაპეშტის, გოტებორგის, ლოძის, ვროცლავის უმაღლეს თეატრალურ სასწავლებლებში. არის ეროვნული დრამატურგიის ფესტივალის ერთ-ერთი დამფუძნებელი ახალციხეში.

– „მთელი სამყარო თეატრია და ჩვენ ყველანი მის სცენაზე ვმსახიობობთ – ქალიც და კაციც: ხან შემოვდივართ, ხან გავდივართ და ცხოვრებაში ყოველ ჩვენგანს ბევრი ნიღბის მორგება უწევს...“ – ამბობდა შექსპირი. თქვენ რომელ როლს ასრულებთ ყველაზე კარგად?

– შექსპირი ბრწყინვალე პოეტი იყო და ესეც მისი პოეტური მეტაფორაა. ლეონარდოსაც ასეთივე წარმატებით შეეძლო ეთქვა, რომ სამყარო ფერთა პალიტრაა და ყველანი ვცდილობთ, საკუთარი ავტოპორტრეტი დავხატოთ. თავად პოეზიაც კი ერთისთვის ქნარის წკრიალია, მეორისთვის კი – კრწანისის ველი. ასე რომ, ადამიანმა ჯერ ის უნდა განსაზღვროს, თუ რა არის სამყარო მისთვის.

– ხელოვანისათვის განსაკუთრებით რთულია, დარჩეს რეალისტად, რადგან მუდმივად გამოგონილ, წარმოსახვით სამყაროში უწევს ყოფნა. თქვენი აზრით, რამდენად შეინარჩუნეთ ბალანსი რეალურ და ირეალურ სამყაროს შორის?

– ბალანსის შენარჩუნებას კი არა, მე პირადად ვერ ვპოულობ ზღვარს რეალურსა და ირეალურ სამყაროს შორის.

– „ხანდახან ადამიანები ისე სრულყოფილად ატარებენ არჩეულ ნიღაბს, რომ დროთა განმავლობაში ეს ნიღაბი მათ ნამდვილ სახედ იქცევა,“ – სომერსეტ მოემი.

– ხელოვნება და ნამდვილი შემოქმედება შენიღბვას კი არა, საკუთარი ნამდვილი სახის ჩამოყალიბებას ემსახურება.

– გარდასახვა და სხვის როლში შესვლა, სხვისი სახის მორგება, ცნობილია, რომ ფსიქიკაზე მოქმედებს და, რამდენადაც ვიცი, ბევრ მსახიობს კარგახანს უჭირს როლიდან გამოსვლა. რამდენად ცხოვრობენ მსახიობები საკუთარი ცხოვრებით და რამდენად – გამოგონილ სამყაროში? ამ დროს შეიძლება საკუთარი თავი დაკარგო და ვერ მიხვდე, ვინ ხარ სინამდვილეში. ალბათ, მხოლოდ ძლიერი ფსიქიკის ადამიანები უძლებენ ასეთ ფსიქოლოგიურ ზეწოლას. საინტერესოა თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით.

– რასაკვირველია, ეს საშიშროება არსებობს, მსახიობები ყოველდღიურად ცდილობენ, იცხოვრონ პერსონაჟების მსოფლმხედველობით, გრძნობებითა და ემოციებით. ეს მათ ფსიქიკასა და ნერვულ სისტემას დაუცველსა და მოწყვლადს ხდის. ამაზე ხშირად გვესაუბრებოდა ჩემი პედაგოგი - თემურ ჩხეიძე და ყოველთვის მოგვიწოდებდა, გავფრთხილებოდით მსახიობს. გარკვეული თვალსაზრისით შემიძლია ვთქვა, რომ ეს ურთულესი პროფესიაა ამქვეყნად, ან პროფესიათა სიაში არც შეიძლება საერთოდ შევიყვანოთ.

– თუ აძლევთ მსახიობებს საკუთარი ინდივიდუალიზმის გამოხატვის შესაძლებლობას, როლის შესრულების დროს აქვთ თუ არა იმპროვიზაციის თავისუფლება?

– რასაკვირველია, იმპროვიზაციის გარეშე შეუძლებელია მსახიობის ინდივიდუალიზმის დანახვა. ამ უნარის აღზრდა მსახიობში უაღრესად რთულია.

– ზოგადად, რა არის თქვენთვის თავისუფლება? რას ნიშნავს, იყო თავისუფალი პიროვნება? ზოგიერთის განმარტებით, თავისუფლება გარკვეული წესების შესრულებას გულისხმობს, საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვას და ა.შ. მე კი ვფიქრობ, ამას უფრო სიღრმისეული ახსნა აქვს, რაც სულიერ მდგომარეობას უკავშირდება. თქვენ რას ფიქრობთ?

– მარკუს ავრელიუსი კეისარსა და ალექსანდრე მაკედონელზე წერს, რომ მათ მსოფლიოს ბატონ-პატრონნი ეგონათ თავი, სინამდვილეში საკუთარ ვნებათა მონები იყვნენ მხოლოდ. სადღაც ვეთანხმები ამ მოსაზრებას. ადამიანი არ უნდა მოქმედებდეს ვნებებისა და ინსტინქტების კარნახით. მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს ის ნამდვილად თავისუფალი. ამას ამბობს შოთაც: ,,ნუ სდევ წადილთა ნებასა“.

– თუ გაქვთ თქვენი დაკვირვებები სამსახიობო ხელოვნებასთან და რეჟისურასთან დაკავშირებით, რომლებიც ამ სფეროში მოღვაწეობისას ჩამოგიყალიბდათ.

იქნებ გაგვიზიაროთ?

– ეს იმდენად ყოვლისმომცველი კითხვაა, რომ ამას ცალკე მონოგრაფია დასჭირდებოდა.

– შესაძლებლობა რომ გქონოდათ, რომელ მსოფლიო მნიშვნელობის მსახიობს მოიწვევდით თქვენს სპექტაკლში და რით გხიბლავთ ეს მსახიობი?

– შესაძლებლობა რომ მქონდეს, ჩემს აღზრდილ მსახიობებს დავაკავებდი უპირველესად ჩემს სპექტაკლში. სამწუხაროდ, ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე პრაქტიკულად არ მქონია იმის ფუფუნება, ყველა პერსონაჟი განესახიერებინათ იმ მსახიობებს, რომლებიც მსურდა, მყოლოდნენ გვერდით.

– რა როლი უკავია ქართულ თეატრს მსოფლიო თეატრალურ ცხოვრებაში? რამდენადაც ვიცი, ჩვენი თეატრალური ინსტიტუტი მსოფლიოს თორმეტ საუკეთესო ინსტიტუტს შორის არის დასახელებული.

რით მოიპოვა ეს საპატიო ადგილი?

– მართალია, ჩვენ 2016 წელს გავხდით მსოფლიო თეატრალური განათლების ალიანსის დამფუძნებლები, ევროპისა და აზიის წამყვან თეატრალურ სკოლებთან ერთად. ეს ალბათ ქართული სამსახიობო სკოლის მდიდარმა ტრადიციამ განაპირობა. მის სათავეებთან იდგა ისეთი გენიალური ფიგურა, როგორიც იყო კოტე მარჯანიშვილი, ის ნამდვილად უსწრებდა დროს და, შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ მის გარეშე ჩვენი ესთეტიკური ხედვა, ჩვენი თეატრალური და სახელოვნებო ტრადიცია გაცილებით დაბალ დონეზე იქნებოდა.

– როგორც რეჟისორისთვის, ცნობილ პერსონაჟთაგან რომელია თქვენთვის განსაკუთრებულად საინტერესო და რატომ? რომელ მათგანთან გრძნობთ თქვენს მსგავსებას?

– თუ პიესა საინტერესოა, რეჟისორი ვალდებულია, ყველა პერსონაჟში საკუთარი თავი აღმოაჩინოს ან პირიქით – მან უნდა იპოვოს პერსონაჟის მოქმედების მიზანიცა და მოტივაციაც.

– ზოგჯერ რეჟისორები თვითონვე ასრულებენ როლს თავისივე დადგმულ წარმოდგენაში, მაგალითად, ელდარ რიაზანოვი, ოთარ იოსელიანი, რომლებმაც საკუთარ ფილმებში მიიღეს მონაწილეობა.

თქვენ თუ გქონიათ ამის სურვილი, თუ გიფიქრიათ, როლი შეგესრულებინათ თქვენივე სპექტაკლში. თუ შეასრულებდით, რა როლი იქნებოდა ეს?

– ფილმსა და სპექტაკლში მონაწილეობის მიღება თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან. რეალურად ამის სურვილი არასდროს მქონია.

– რას ურჩევდით მათ, ვინც ოცნებობს მსახიობის პროფესიაზე, ნიჭთან ერთად, რა პიროვნული თვისებებია საჭირო მსახიობის წარმატებისათვის?

– ახალგაზრდა ქართველ მსახიობებს ვურჩევდი, ჰქონდეთ უპირველესად დისციპლინა, შრომისმოყვარეობა და მაღალი მოტივაცია. ნიჭიერების დეფიციტს ნამდვილად არ განვიცდით.

– ბავშვობაში რაზე ოცნებობდით ყველაზე მეტად? კვლავ თუ ოცნებობთ რამეზე?

– ვყოფილიყავი საქართველოს განმათავისუფლებელი, ახლაც ვოცნებობ ჩემი ქვეყნის მთლიანობაზე და ერის ერთობაზე, ქართველობაზე, რომელთაგან ყოველს დანთებული ექნებოდა სიყვარულისა და სიკეთის შუქი თვალებში.

– როდესაც წარსულზე ფიქრობთ, რა იწვევს თქვენში განსაკუთრებულ ნოსტალგიას?

– სითბო, სიკეთე და ადამიანთა განსაკუთრებული უნარი, ეზრუნოთ ერთმანეთზე.

– რას იტყოდით თქვენი მშობლების შესახებ?

– ბედნიერებაა, რომ დღესაც ვამაყობ მათით, რომ დღესაც უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებენ მათ მეგობრები და პროფესიონალები. რაც დრო გადის, მით უფრო ვაფასებ მათ ამაგს, ღვაწლს, პატრიოტიზმსა და უაღრეს პატიოსნებას.

– სახელოვან წინაპართაგან რომელს გაიხსენებდით განსაკუთრებული პატივისცემითა და აღფრთოვანებით და რატომ?

– ძალზე რთულია, გამოვყო ვინმე და ავხსნი, რატომ: ჩემი მშობლები ძალზე აქტიურად იყვნენ ჩართული საზოგადოებრივ და სამეცნიერო საქმიანობაში და ჩვენი აღზრდა-განათლებით ძირითადად ჩემი ბებია – ნინო მაყაშვილი იყო დაკავებული. მისი ბებია — მანანა ჭავჭავაძე გახლდათ ილია ჭავჭავაძის ბიძაშვილი. ახლო ნათესავები იყვნენ კოტე აფხაზი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ბებიაჩემის ძმა, იყო პირველი ქართველი იუნკერი, რომელიც 1920 წელს ბოლშევიკურ თავდასხმას შეეწირა; ბიძაშვილი იყო საქართველოს ეროვნული გმირი – მარო მაყაშვილი; მეუღლე — ლადო კოტეტიშვილი, ქართული მედიცინის ისტორიის ფუძემდებელი; მაზლი — ვახტანგ კოტეტიშვილი, ერთადერთი შავჩოხოსანი, რომელიც 1937 წელს დახვრიტეს. მათ შესახებ ახლა კარგად იცის ქართველმა საზოგადოებამ. მაგრამ, იყო დრო, როდესაც მათი ხსენებაც კი აკრძალული იყო. თავად თაობა იყო საოცარი, ღირსებითა და კეთილშობილებით სავსე. აღსანიშნავია ისიც, რომ უამრავი ადამიანი იყო ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლი, რომელთა სახელები არც კი შემორჩენია ისტორიას. მაგალითად, 90-იან წლებში პარიზში ყოფნისას ბაბო დადიანის დამ – მია დადიანმა მომითხრო მამაჩემის ბიძის – შიო გელაშვილის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ნიკო დადიანთან ერთად ის იყო ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი საქართველოს განთავისუფლების საიდუმლო ორგანიზაციისა – „თეთრი გიორგის ფარი“. ამის შესახებ მისი ოჯახის წევრებმაც კი არაფერი იცოდნენ. მე მიმაჩნია, რომ ასეთი ადამიანების ცხოვრება და მოღვაწეობა უნდა ისწავლებოდეს სკოლებში, უნდა ვიღებდეთ დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს, ვწერდეთ პიესებს, ვდგამდეთ სპექტაკლებს, რათა ამ „განწირულმა სულისკვეთებამ“ ღრმა კვალი დატოვოს მომავალი თაობის ცნობიერებაში.

– თქვენ ცნობილი თამადა ხართ. კარგი თამადობა კი ნამდვილი ხელოვნებაა. რას ნიშნავს თქვენთვის ქართული სუფრა?

– მე მიმაჩნია, რომ ქართული სუფრაც და თამადობის ინსტიტუტიც არამატერიალური კულტურის ძეგლად უნდა იყოს აღიარებული, რადგან ის არასდროს გულისხმობდა ღრეობას, უზომო სმასა და თრობას. 90-იან წლებში საქართველოში იმყოფებოდა ლეგენდარული ამერიკელი ფსიქოლოგი კარლ როჯერსი, რომელმაც თქვა, რომ ქართველ ერს შექმნილი აქვს ერთგვარი ინსტიტუცია, სადაც ყველა ადამიანს ეძლევა საშუალება, კონკრეტულ დროს კონკრეტული ადამიანების წინაშე ხმამაღლა გამოთქვას თავისი სათქმელი როგორც მარადიული საკითხების ირგვლივ, ისე მის ყოველდღიურობაზე, პოეზიაზე, ხელოვნებაზე, ოჯახზე, სამშობლოზე და ა.შ. და ეს ინსტიტუცია არის ქართული სუფრა. მასში როჯერსმა დაინახა ერის ფსიქოლოგიური თავდაცვის ერთგვარი მექანიზმი და უნარი ღირებულებებისა და ფასეულობების შენარჩუნებისა კოლექტიურ აზროვნებაში. ჩვენს ოჯახში ხშირად თამადობდა ხოლმე ბიძაჩემი – ვახუშტი კოტეტიშვილი და, შემიძლია ვთქვა, რომ ის სუფრები ნამდვილად იყო ერთგვარი აკადემია.

– შექსპირი ამბობდა: „თუ გიყვარს, თუ ლოცულობ და თუ იტანჯები, დიდი ადამიანი ხარ“. თუ ეთანხმებით ამ აზრს?

– არა მაქვს არანაირი საფუძველი, დიდ შექსპირს არ დავეთანხმო.

– ყოველ ეპოქას თავისი ხიბლი აქვს. თქვენთვის რომელია უფრო ახლობელი?

ჩვენს დროში რა იწვევს თქვენს განსაკუთრებულ გულისტკივილს?

– ყველა დროსა და ეპოქაში შეიძლება იყო ბედნიერიც და უბედურიც, ყველა ეპოქას მოაქვს თავისი გამოწვევები და შესაძლებლობები. პაპაჩემი – ლადო კოტეტიშვილი ერთ-ერთ წერილში წერდა: „ადამიანი ისე სწორად უნდა იყოს აშენებული, რომ რანაირ პირობებშიაც არ უნდა იბრუნოს, არცერთი ნაკვთი გონებისა და ზნეობისა არ უნდა დაკარგოს — არსად არ უნდა გაიბზაროს, მაგარი უნდა იყოს, როგორც ძველი დამასკის ქაშანური...“. ჩემს დიდ გულისტკივილს იწვევს ის, რომ ჩემმა თაობამ, მიუხედავად უდიდესი მსხვერპლისა და ტკივილისა, მაინც ვერ მოახერხა, ბოლომდე გადაეცა მომავალი თაობისთვის ეროვნული ცნობიერების მთლიანობის, ეროვნული ღირებულებებისა და რელიგიური ფასეულობების მნიშვნელობები.

– ადამიანისათვის სამშობლოს განცდა ინდივიდუალურია. თქვენთვის რა არის სამშობლო? თუ შეძლებდით მისგან შორს ცხოვრებას?

– ამ შემთხვევაში დავიმოწმებ ნოდარ დუმბაძის სიტყვებს, რომელიც ბავშვობაში უთხრა მასწავლებელს: ,,ვიცი, მასწავლებელო, რაც არის სამშობლო, მაგრამ ვერ ვამბობ...“.

– „არ სცადო იმის შეკავება, რაც შენგან მიდის, არ ჰკრა ხელი მას, რაც შენთან მოდის და მაშინ ბედნიერება თავად გიპოვის“ – ომარ ხაიამი. ჩემი აზრით, ბედნიერება არის ჰარმონია საკუთარ თავთან და სამყაროსთან. თქვენ რას იტყოდით ამის თაობაზე? როდის გრძნობთ თავს ბედნიერად?

– როდესაც ვეზიარები ხოლმე მშვენიერებას, მის ნებისმიერ გამოვლინებას ხელოვნებაში, ადამიანურ ურთიერთობებსა თუ ოჯახში. ანდრეი ტარკოვსკი ერთგან წერდა: „მშვენიერებას მივყავართ აზროვნებამდე, ხოლო აზროვნებას – ღმერთამდე“.

– დენი დიდრო სიყვარულის შესახებ ამბობდა: „სიყვარული ხშირად ართმევს გონებას იმას, ვისაც აქვს და აძლევს იმას, ვისაც არ გააჩნია“... „სიყვარული იმას ნიშნავს, რომ სხვის ბედნიერებაში საკუთარი ბედნიერება იპოვო“ – გოტფრიდ ლაიბნიცი. „შეიძლება, ამ სამყაროში მხოლოდ ადამიანი ხარ, მაგრამ ვიღაცისთვის მთელი სამყარო ხარ“ – გაბრიელ მარკესი. თქვენთვის რა არის ჭეშმარიტი სიყვარული?

– იცით რა, ვფიქრობ, რომ თქვენი კითხვების უმრავლესობაზე პასუხის გასაცემად არ არის საკმარისი სტატია. ხელოვნება სწორედ იმიტომ იქმნებოდა, რომ გამოეხატა ის უთქმელი სათქმელი, რომელსაც თითოეული შემოქმედი ატარებს და გრძნობს. შეუძლებელია, სიტყვებით გადმოსცე, რა არის სამშობლო, სიყვარული, ბედნიერება და მარადისობა. ეს არის ხელოვნების შექმნის საფუძველი.

– მადლიერი თუ ხართ საკუთარი ბედისწერის? ფიქრობთ, ადამიანი თვითონ განაგებს საკუთარ ბედს?

– ვმადლობ უფალს ყველაფრისათვის, ხოლო რაც შეეხება იმას, განაგებს თუ არა ადამიანი საკუთარ ბედს, აქაც გავიხსენებ ერთი მწერლის ხუმრობანარევ ნათქვამს — „ღმერთო, მომეცი იმის ძალა, რომ შევცვალო ის, რისი შეცვლაც შემიძლია, მოთმინება, რათა ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია და გონება, რათა განვასხვავო ერთი მეორისაგან“.

ესაუბრა

ნათია ხორნაული

ᲒᲘᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲔ – 70

ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔ



ახალგაზრდული ენერგია, ტრადიციული გზიდან გადახვევის, გაბატონებული ლიტერატურული ფორმების მსხვრევისა და სიახლის შემოტანის სურვილი – ეს 80-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში შემოსულ პროზაიკოსთა ახალი თაობის ხმაა, თაობისა, რომელსაც დასაწყისიდანვე შეეტყო, გაკვალული გზით სიარულს რომ აღარ აპირებდა. იმ ათეულობით სახელში სულ რამდენიმე აღმოჩნდა, რომელმაც გაგრძელება შეძლო, მათ შორის გია ლომაძეცაა, თუმცა მთავარი, რაც მათ გააკეთეს, მაინც იმ წლებში დარჩა.

80-იანელთა პროზის, რაც ჟანრობრივად მცირე ფორმაში – მოთხრობებსა და ნოველებში – გამოიხატა, მთავარი თემატური მარკერი ეგზისტენციალისტური პრობლემატიკა და სამყაროში მარტოდ დარჩენილი, მიუსაფარი ადამიანის ტრაგიკული ბედია – „დამსხვრეული სამყარო“, მასთან გაწყვეტილი კავშირი და ამის შედეგად გაჩენილი სევდა, შიში, მარტოობა, უიმედობა... „თაბაშირის კაცში“ მწერალი ორ სამყაროს უპირისპირებს ერთმანეთს: ერთში მხოლოდ თაბაშირის კაცი დგას, მეორეში – მანონ ლასაურა და ყველა დანარჩენი. პირველში სიწმინდე, გულწრფელობა, პატიოსნებაა, მეორეში – ქაოსი, გულგრილობა, პირფერობა, ანგარება და ეგოიზმი. ამ ორ ანტაგონისტურ სამყაროს საერთო წერტილი არ აქვს. თაბაშირის კაცი წარსულის დავიწყებით ახერხებს მშვენიერების შენარჩუნებას. დავიწყება აქ გადარჩენის ერთადერთი პირობაა, მწერლის პოზიცია კი – საკმაოდ შემაშფოთებელი: ადამიანი და მისი საარსებო გარემო იმდენად შეიცვალა, რომ რეალობისა და სილამაზის თანაარსებობა შეუძლებელი გახდა. ისინი, როგორც ამბივალენტური მოცემულობები, მხოლოდ ერთმანეთის გამორიცხვით არსებობენ. „სხეულში – სიძვა, სულში – სიცარიელე“, – ეს განაჩენი მოთხრობის თითქმის ყველა პერსონაჟზე ვრცელდება, რომლებიც, თავის მხრივ, უპიროვნებო მასის წევრები არიან და მხოლოდ ზედაპირულად ასრულებენ საკუთარ სოციალურ როლებს. გარშემო სიყალბეა, თაბაშირის კაცის ცხოვრება კი გულწრფელი და მართალია, ამიტომაც იგი მარტოა სამყაროში. მისი შერქმეული სახელი (თაბაშირის კაცი) და მისი პოზა (მთელი დღეები კედლისკენ ზურგშექცეული და გაშეშებული დგომა) გრძნობათა სამყაროსაგან გათიშვის, გაუცხოების მანიშნებელია და იმის ცდაა, ადამიანთაგან თაბაშირის კედლით გამიჯნულმა მოსალოდნელი გულისტკივილი აიცილოს თავიდან. მაგრამ შესაძლებელია კი ეს, როცა „ჩვენ ყველანი ერთი ჯაჭვით ვართ გადაბმულები?“

ორი სამყაროს თემა გია ლომაძეს გამოყენებული აქვს უფრო ადრეულ მოთხრობაშიც „კაცი გალავანზე“. როგორც მაშინდელი სალიტერატურო კრიტიკა შენიშნავდა, ეს მისი ხერხია – კომპოზიციურად გაერთიანებული მთავარი სიუჟეტური ხაზი და გადამკვეთი მინიატურები (ლადო ავალიანი), რომელსაც იგი ხშირად იყენებს. ამ მოთხრობაშიც ორი სამყაროა, გალავანი მათი გამყოფია, ზღვარია, რომლის სხვადასხვა მხარეს სხვადასხვა ცხოვრება ვითარდება. ერთ მხარეს მყოფთათვის დაფარულია მეორე მხარე და ამიტომაც ინტერესი მის, უცხოს, შეუცნობლის მიმართ ბუნებრივია. მაგრამ კაცი, რომელიც გალავანზე დგას, ორივე სამყაროს ჭვრეტს, თუმცა მისი არჩევანი სხვაა. მაგრამ მესამე გზა არ არსებობს სამყაროში, ეს აბსურდის გზაა და ამიტომაც იღუპება პერსონაჟი. „გია ლომაძის გმირთა ტრაგედია ინტელექტუალური ტრაგედიაა, ტყვეობაც ინტელექტუალური ტყვეობაა“ (თენგიზ წოწონავა).

80-იანი წლების ქართულ პროზაში სათქმელის სიღრმითა და მნიშვნელობით, ასახვის სპეციფიკური ფორმით, ალეგორიულ-სიმბოლური პლანით გამორჩეული მოთხრობაა „კროსვორდი“. ასეთი მძაფრი პოლიტიკური კონტექსტი, თანაც საკმაოდ ღია, მანამდე არ გვხვდება. აქ პირდაპირ, გაშიშვლებული სახითაა მოცემული ტოტალიტარული სახელმწიფოს მოდელი. აღნიშნული მოთხრობა ანტიუტოპიის ჟანრის პირველი მხატვრული ტექსტია მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ჟანრის ყველა მახასიათებლით: მასა – ნებაყოფლობით მორჩილთა უმრავლესობა, რომელიც იერარქიული სახელმწიფო მანქანით იმართება, დიქტატორი ლიდერი – ამ მანქანის სათავეში მდგომი მმართველი და მისი მორჩილი, პოლიტიკის გამტარებელი ფენა.

მოთხრობის უმთავრეს პრობლემას თავისუფალი ნების გარეშე დატოვებული ადამიანი წარმოადგენს, რაც არის ღვთიური ნების, სამყაროსეული წესრიგის დარღვევა. ერთი ადამიანის ფიქრი და მისი ფიქრის შესაბამისად მრავალი ადამიანის მოქმედება ტოტალიტარული რეჟიმის უმთავრესი ნიშანია. გია ლომაძე დიქტატორი მმართველის ახალ სახეს ქმნის და ამ მხრივ საკმაოდ მდიდარ ქართულ ლიტერატურას კიდევ უფრო ამდიდრებს. მისი დიადი დაგეროიდი არავის ჰგავს, მიუხედავად იმისა, რომ აქვს დიქტატორის ყველა მახასიათებელი და მისმა ნიშნებმა შეიძლება ერთი კონკრეტული მმართველიც კი გაგვახსენოს. დაგეროიდთა ქვეყანაში ყველაზე დიდ კონტროლს შემოქმედებითი უნარის მქონე ადამიანები განიცდიან.

შემდეგ იყო ხანგრძლივი შესვენების პერიოდი და აი, 2003 წელს გია ლომაძე ტოვებს სახელმწიფო სამსახურს და კვლავ ლიტერატურას უბრუნდება. თუმც ამჯერად საკმაოდ მოულოდნელი და არასასიამოვნი სიურპრიზი ელოდა მწერალს: 2009 წელს მისი მწვავე პოლიტიკური დეტექტივი, რომელშიც ქვეყნის იმდრონდელი სოციალ-პოლიტიკური ვითარება ზედმიწევნით ზუსტად და შეულამაზებლად იყო გადმოცემული, „ზემოდან“ გაცემული ბრძანებით აკრძალეს და ბეჭდვა შეაჩერეს. წიგნს დღის სინათლე მხოლოდ 2013-ში ეღირსა. „სალამი საქართველოდან“ მიმდინარე, ნამდვილი ამბების მხატვრული სურათია. იგი უამრავი რეალური შტრიხის შემცველია და არც ისე მომხიბლავ და იმედიან ცხოვრებას ხატავს: გასასტიკებული ადამიანი, სულიერი ღირებულებებისაგან დაცლილი საზოგადოება, მთავრობისაგან დავიწყებული ხალხი და ეროვნული მისწრაფებანი, ძალიან გამჭვირვალე პერსონაჟთა გალერეა – ეს ყველაფერი იყო კიდეც იმის მიზეზი, რაც ამ წიგნს გადახდა 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე. გარდა ზემოაღნიშნულისა, გია ლომაძე აქაც ნოვატორი გახლავთ – მან ჩვენს ლიტერატურას, რომელსაც არ აქვს დეტექტიური ჟანრის ტრადიცია, შესძინა ამ მხრივ პირველი და ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, დაძაბული სიუჟეტითა და ჟანრის კანონების სრული დაცვით აგებული მწვავე პოლიტიკური დეტექტივი.

წელს გია ლომაძეს 70 წელი შეუსრულდებოდა. მან, 80-იანელთა თაობის ერთ-ერთმა გამოკვეთილმა სახემ, ინდივიდუალური სტილის მქონე მწერალმა, ნოვატორმა, რომელმაც შეძლო უმწვავეს პრობლემებზე წერა ახალი, მანამდე უცნობი მხატვრული ფორმების მორგებით, თანაც არცთუ უმნიშვნელო რისკის ფასად, თავისი გამორჩეული სათქმელი თქვა და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც, როგორც განახლების მომტანი თაობის ერთ-ერთმა გამოკვეთილმა სახემ.

ᲐᲓᲐ ᲜᲔᲛᲡᲐᲫᲔ

ᲒᲐᲨᲘᲨᲕᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲝᲢᲐᲚᲘᲢᲐᲠᲘᲖᲛᲘ

გია ლომაძის 1985 წელს დაწერილ მოთხრობაში „კროსვორდი“ გაშიშვლებულია ტოტალიტარიზმის ყველა მანკიერი თვისება და რეალობა მთელი ადამიანური სიმძაფრითაა წარმოჩენილი.

ნაწარმოების დასაწყისს უკვე შევყავართ იმ მანკიერ წრეში, რომელშიაც ჩართულია დაგეროიდთა ქალაქი თუ სახელმწიფო და რომლისგან გამოსვლასაც ამაოდ ცდილობს მთხრობელი... და თვით სათაური, „კროსვორდი“ ვფიქრობ, ნაწარმოების აგების არქიტექტონიკაზე მიანიშნებს. მოგეხსენებათ, კროსვორდი იხსნება როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური მიმართულებით. და, აი, ამ ჩვენს დღიურებით მოთხრობილ ამბავსაც ამგვარი სახე აქვს. ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლი, ნომრით დაღდასმული, საზარელ რეალობაში აღმოჩენილი მამა სწერს წერილებს თავის შვილს, და იმედოვნებს, რომ ის მაინც შეძლებს საბოლოო თვითგამორკვევას და დასვამს იმ კითხვას, რომელსაც ვერც ერთი დაგეროიდი ვერ სვამს — რატომ?! ეს არის ჰორიზონტალური მხარე — მართულ ადამიანებს შორის ურთიერთობა. ამასთან, ვერტიკალურია მიმოწერა სექტორის მეთვალყურე დაგეროიდსა და მის აგენტს შორის, რომელიც, როგორც ბოლოს ირკვევა, სწორედ ამ მოაზროვნე და მოფიქრალ დაგეროიდს უთვალთვალებს, ვინაიდან იგი რეჟიმისთვის აშკარად საშიშია.

რაც შეეხება ტექსტის სიუჟეტს: დაგეროიდულ საზოგადოებაში არსებობს იერარქიული წყობა, სადაც „ა“ „ბ“ „ც“ „დ“ და „ე“ ლიტერებში შემავალი ადამიანები განსაზღვრული წესებით არიან განაწილებულნი კონკრეტულ ფართობებზე. ისევე, როგორც ტოტალიტარულ სახელმწიფოში, აქ ყველაფერი ჰიპოთეტურ, თუმცა, არარსებულ ოპტიმიზმზეა აგებული. ყველა კმაყოფილი და ბედნიერია იმ ცხოვრებით, რომელიც აქვს. ისინი საკმაო რაოდენობის საკვებს იღებენ, რომ გაძლონ და აქვთ ერთადერთი სპორტული შეჯიბრება. მოკლედ, პურისა და სანახაობის ცნობილი ტანდემი შენარჩუნებულია და ამით მასები დამონებული და მართულია. გუმბათი, როგორც სისტემა, რომელზედაც ზუსტად არავინ არაფერი იცის, აშკარად სისტემის სიმბოლოა. და ეს სისტემა, ანუ ტოტალიტარული სახელმწიფო, გამოყოფილია სხვა დანარჩენი მსოფლიოსგან. ამიტომ, მმართველი ბელადი სხვა ხალხებისგან ქმნის მტრის ხატს და მუდმივ თავდაცვით რეჟიმში ამყოფებს საკუთარ დაგეროიდებს. და თვით ყოველი დაგეროიდის ზემდგომი და მამა-მარჩენალი, დიადი დაგეროიდი აშკარად მიანიშნებს იმ ტირანზე, რომელიც შესაძლოა, სტალინის, ლენინის ან ჰიტლერის სახეც იყოს დაგეროიდთა ქვეყანაში ნიჭი მხოლოდ ლაპარაკია. „ყოველ მითითებას ისე ღებულობენ, როგორც აქსიომას.“ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთები“, სადაც ერთ-ერთი პერსონაჟი, კერძოდ მუშა ამბობს, რომ მართალია მან იცის, რა არის სიმართლე, მაგრამ მისი არსებობა ქვევრსა ჰგავს. ამიტომ, რასაც ზემდგომი ჩასძახებს, ის უნდა ამოსძახოს. მაშასადამე, ინდივიდის მაგიერ სახელმწიფო წყვეტს მის ბედს!

ტექსტის მიხედვით, სიტყვის თავისუფლებას განსაზღვრავს თანამდებობა და არა ადამიანის უფლება და დემოკრატიულობა. ამრიგად, ვხედავთ, რომ პიროვნულობა ჩაკარგული და ათქვეფილია მასაში...

საოცარია კადრი, როცა მთხრობელი იხსენებს საკუთარი შვილის ბავშვობას, დამალობანას თამაშსა და უდარდელ ჟამს. ხოლო ახლა იმოდენა კონტრასტია ჩვეულებრივი ბავშვის თამაშსა და სამხედრო დაგეორიდი ბავშვის თამაშს შორის... სისტემის მსხვერპლი ბავშვი გაუცინარია... მისთვის თამაში თითქოს სამსახურია... მაგრამ, ტრაგედია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თვით ისინი, ბავშვები, უკვე ვერ აცნობიერებენ, რომ ბავშვობა წაართვეს...

გარდა „კროსვორდის“ სიუჟეტის განვითარების ამ ჰორიზონტალური ხაზისა, მამის წერილებისა, ჩვენ ვხედავთ მეორე ხაზს, ვერტიკალურს, როგორც ზემოთ ვახსენეთ. ზემდგომსა და ქვემდგომს შორის საუბარი ძალიან საინტერესოა. აქ აგენტი, ანუ მოთვალთვალე თავის უფროსს გააცნობს „ც“ ლიტერაში შემავალი საეჭვო პირის შესახებ ინფორმაციას, რომელიც, როგორც აღმოჩნდება, სწორედ ის მთხრობელია, რომელიც შვილს წერილებს წერს და ამხელს ტოტალიტარულ სტრუქტურას, ბელადს. ამის გამო, მასზე, როგორც ობიექტზე, იწყებენ თვალთვალს.

მთხრობელი გამუდმებით შენიშნავს, რომ ადამიანი ციფრია. რომ ტექნიკა ბოლომდე იმონებს და აკონტროლებს მას. შეიძლება დავინახოთ ანტიპარალელი ოთარ ჭილაძესთან: „ჯერ არ არსებობს ტვინის რენტგენი და ვერ გაიგებ, რას ფიქრობს კაცი.“ თუმცა, ტექსტის მიხედვით, უკვდავი დაგეროიდის მაჯა აკონტროლებს ადამიანებს... ეს ტირანის ხელია, რომელიც ერთგვარი ბედისწერაა ყოველი ადამიანისთვის. თუმცა, ტერმინი „ადამიანი“ ასე მიუწვდომელია რიგითი დაგეროიდისთვის!

ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მინიშნება ნაწარმოებში არის ის, რომ საათს ანაცვლებს სირენის ხმა... საათის არარსებობა არის ერთგვარი მინიშნება, რომ არ არსებობს პირადი სივრცე და დრო... დრო, როგორც ყოფიერების მოდუსი, როგორც ადამიანის პირადი და ინტიმური სფერო, არ არსებობს. ადამიანი თავისი იმანენტურობის მოდუსში, მარტოობაში არ არსებობს. არსებობს მხოლოდ საჯარო პირად. იმანუელ კანტის ტერმინით რომ ვთქვათ, იგი მხოლოდ საჯარო პირია. მისი კერძოობა არავის აინტერესებს. არც თავად მას! ხოლო ეს კერძო, ანუ მეტად ინტიმური და პიროვნული სივრცე დაგეროიდს არ აქვს! და ვისაც აღმოაჩნდა, ისიც ტრაგიკულად ასრულებს სიცოცხლეს! ყოფიერების არსი დაგეროიდად ყოფნაა. დიადი დაგეროიდი თვლის, რომ სხვები „ვალდებულნი არიან, ჯოგურად გამოხატონ ემოციები.“ ამაშე მიანიშნებს ზუსტად იდენტური ავეჯი, ჩაცმულობა, ვარცხნილობა...

ხოლო თვით სახელმწიფოს თუ ქალაქს, ვფიქრობ, არაშემთხვევით ჰქვია „გუმბათი“. ესეც ერთვვარი ირონიაა ავტორის მხრიდან. ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში ხომ ცნობილია გუმბათი, როგორც ცის, თავისუფლების, ღმერთთან მიახლების სიმბოლო... ხოლო „კროსვორდში“ ღმერთის სახელიც კი არ არის ნახსენები. ვფიქრობ, არც ესაა შემთხვევითი, რადგან ტოტალიტარული სისტემა კლავს ღმერთს და ანაცვლებს მას ტირანის, ანუ დიადი ბელადის კერპით. ამრიგად, გუმბათის მაცხოვრებლები არიან არა ტაძრულ, ანუ თავისუფალ ყოფიერებაში მცხოვრებნი, არამედ მონურ სისტემაში დეტერმინირებული არსებები. ეს განწირული მთხრობელი, საბოლოოდ სვამს ადამიანად ყოფნისათვის ასე უმნიშვნელოვანეს საკითხებს: „იქნებ სადღაც, სამყაროში ვიპოვოთ პატარა კუნძული, პატარა, სულ პატარა კუნძული, რომელიც მეოცნებეთ დაგვიტევს მხოლოდ. განდევნილ მეოცნებეთ და გვაცალონ ოცნება!“ „ტოტალურად გვატყუებენ.“ „შიში ყოფაა ჩვენი არსობისა!“ იგი წერს თავის შვილს უკანასკნელ წერილს... და უტოვებს მარადიულ კითხვებს: რატომ?! რატომ ვართ ასე?! რატომ ვატარებთ ნომრებს, გაიაზრებ?! „რატომ არ უნდა ვიცოდეთ, რა ხდება იქ, გუმბათის მიღმა?“

საოცარია, რომ მას სწორედ იმ დროს აიყვანენ, როცა დაგეროიდისთვის შეუფერებლად იქცევა, უკრავს და მღერის! მამას ენანება, რომ შვილი, რომელიც გაიზრდება, შესაძლოა, მისი უარმყოფელი იყოს. იგი ეჭვობს, ფიქრობს, განიცდის! განიცდის, რომ ვერ ამოხსნა ეს კროსვორდი. ვერ შეძლო, მაგრამ, იმედოვნებს, რომ ახალი სისხლი, ანუ შეცვლილი თაობა გადააფასებს დაგეროიდად ყოფნის აუტანლობას და საბოლოოდ ადამიანი იზეიმებს და გამოვა ტოტალიტარული სისტემის მანკიერი წრიდან, ესე იგი, ადამიანი ხელახლა დაიბადება! თუმცა აწ უკვე გაზრდილი შვილი მამის დღიურს სისტემას ჩააბარებს, იგი დაასმენს საკუთარ მამას, რის გამოც აუცილებლად დააჯილდოვებენ! ტრაგედიაა არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ შვილი მამას გაწირავს და ჩინისა თუ მედლის გამო მიდის ამაზე... არამედ უფრო ის, რომ იგი ვერ იგებს, რა წერია დღიურში. იგი ვერ იაზრებს წლების წინ დაწერილი დღიურის სულისკვეთებას, რადგან უკვე მონაა, ჭეშმარიტად, წელში გამართული, გასწორებული, მაგრამ მაინც მონა!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲯᲘᲜᲭᲐᲠᲐᲫᲔ

სამდურავი და სადიდებელი

ჯუმბერ სარდლიშვილის პოეტური ნარატივი 90-იანების თემაზე



ოთხმოცდაათიანი წლები ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ კარგად არის ასახული. მრავალი რომანი, მოთხრობა, ლექსი თუ პიესა დაიწერა და დღესაც იწერება, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ამ თემას ეპიკური პოეზია თითქმის არ შეხებია. ყოველ შემთხვევაში, გაჭირდება ერთი-ორი პოემის დასახელება, რომლებშიც მრავალმხრივ იქნებოდა აღწერილი 90-იანი წლების საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიური მოვლენები.

ჯუმბერ სარდლიშვილი ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანია, რომელმაც გაბედა და პოემის ჟანრში ასახა თანამედროვე საქართველოს ისტორიის გარდამტეხი პერიოდი. ეს არ არის იოლი საქმე. პირველი იმიტომ, რომ დღევანდელი თვალთახედვით, პოემა არ ითვლება „რენტაბელურ“ ჟანრად და მეორეც, ჩვენ თვალწინ მომხდარ მოვლენათა პოეტური განზოგადება ყოველთვის ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული. თუმცა, მიუხედავად ამისა, ჯუმბერ სარდლიშვილისთვის პოეტური ფორმა აღმოჩნდა ის საშუალება, რისი მეშვეობითაც უნდა გამოეხატა თავისი სათქმელი.

სათქმელი კი მას მართლაც ბევრი აქვს, ბევრი შეკითხვა, ბევრი ფიქრი, ბევრი აზრი დაჰბადებია, რადგან შეგნებული ცხოვრების განმავლობაში მოვლენების პასიური მოწმე არასოდეს ყოფილა, სულ წუთისოფლის ორომტრიალშია და კარგად ხედავს, კარგად იცნობს, კარგად არჩევს „ქვეყნის უბედურების ნაცარტუტას“.

შესავლიდანვე კარგად იკვეთება პოემის შინაარსობრივი კონტექსტი. ეს არის 90-იანი წლების ქაოსი, აფხაზეთის ომი, გაჭირვება, შიმშილი, შიში, გაძნელებული ურთიერთობები, გაუფასურებული მორალი, გაშიშვლებული ინსტინქტები, საყოველთაო კრიზისი.

ერთი ოჯახის ამბავი მასშტაბურად არის განზოგადებული. მოხუცი ბექა, ნაწარმოების მთავარი გმირი, სიხარულით ხვდება აფხაზეთის ომიდან დაბრუნებულ შვილს, ნოდარს, რომლის გმირობასა და თავდადებაზე ყველა ლაპარაკობს, თვით თავდაცვის მინისტრიც კი, მაგრამ მამას, პატიოსან, ფაქიზი ბუნების კაცს, რაღაც ეჭვი არ ასვენებს და ეს ავი მოლოდინიც მალე აუხდება. ნოდარი ცოლად მოიყვანს ულამაზეს ქალს, ნანას, რომელიც თურმე ღალატობს ქმარს და ამას პირველი ბექა შეიტყობს. თავზარდაცემული, სასონარკვეთილი, ოჯახის ღირსების დამცველი მამა ცდილობს გამოაფხიზლოს შვილი, მაგრამ ნოდარი მონუსხულია, გაგიჟებით უყვარს ცოლი, რომელიც გულგრილია ქმრისა და ოჯახის მიმართ, თავნება, ურჩი, უტეხი ეგოცენტრისტია, მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. ნოდარი მოკლავს ცოლის საყვარელს. მოკლულის ძმები შურისძიებით ემუქრებიან და იძულებულია, ნანასთან ერთად ტყეში გაიხიზნოს.

აქედან სიუჟეტის განვითარება ფანტასმაგორიულ გრადაციებში გადადის. სიზმარ-ცხადი ერთ რეალობად წარმოგვიდგება. ეშმაკ-ქაჯების კარნავალურ როკვაში საბედისწერო ნიშნები იკვეთება. მგელთან ბრძოლაში დაჭრილ ნოდარს დათვი მოასულიერებს. გამოქვაბულში დარჩენილ ნანას მგელი დაეუფლება. ნოდარი კლავს მგელს. ნანა მგლად გადაიქცევა. ფანტასმაგორიული ხილვები კიდევ უფრო რთულდება. ავანსცენაზე, სატანასთან ერთად, გამოდიან: ალქაჯები, ეშმაკები, შიმპანზეები, დევები, გველეშაპები, ურჩხულები, ჯადო-მჩხიბავნი. გაპიროვნებული სიძვა თავისი ლაშქრით გამოდის ქვეყნის დასაპყრობად. ამ დროს კი ნოდარი ტყეში დადის, დახეტიალობს, დაეძებს ნანას, თუმცა ამაოდ. ნოდარს კლავენ. ბედსა და ადამიანებზე გამწყრალი ბექა ცდილობს, მარტო დამარხოს შვილი, ხალხს ზურგს აქცევს. მოკლული ნოდარის ხმა კი აფხიზლებს ბექას:

– გეყოფა, ცოდვებს სხვას ნუ აჰკიდებ,
ხალხს ნუ ემდური, ხალხი მსხვერპლია!

ვგონებ, ავტორის კონცეფციის ქვაკუთხედი აქ უნდა ვეძებოთ და არა იმ აღმსარებლობით მიმართვებში, სამდურავსა და სამადლობელში, რომლებითაც იწყება და მთავრდება პოემა. რა თქმა უნდა, ჯუმბერ სარდლიშვილი ანტირელიგიური მეამბოხე არ არის. „სამდურავი“ მხოლოდ გამოსავლის მოძებნის, წონასწორობის ცენტრის აღდგენის საშუალებაა. ამიტომაც მიმართავს უფალს:

სასონარკვეთა მაიძულებს ვიყო გულწრფელი,
რწმენის სიმძიმე სამდურავით შევამსუბუქო.

სასონარკვეთა ათქმევინებს ადამის შვილს – „მე ცხოველი ვარ!“ ეს სიტყვა მარტო მკითხველს კი არა, ავტორსაც აშინებს. ცხოველური ინსტინქტებით დამუხტული ადამიანი მგელივით მარტოა ამქვეყანაზე, მტაცებლური ინტერესებით ცხოვრობს, ეგზისტენციურ ნიჰილიზმს შეუპყრია მისი გონება, მაგრამ სული მაინც გადარჩენას ლამობს. ამიტომ არის, რომ, როგორც აღვნიშნე, სამდურავით დაწყებულ თხრობას ავტორი სადიდებელით ამთავრებს:

უდიადესი ნახტომია ცხოველის ღვთისკენ,
კამარა ცაში ლამპარია სულის განწყობის,
რომელიც ბადებს სიამაყეს, რწმენას თავისას.

ცხადია, იკვეთება ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგელის“ ანალოგია, მაგრამ თემა ანალოგიაზე შორს აღარ მიდის. საკითხი აქ უფრო ღიად, პირდაპირ, ასე ვთქვათ, ბიოლოგიური რაკურსით არის დაყენებული. მახსენდება ერთი ჩანაწერი ბაჩანა ბრეგვაძის წიგნიდან „დრო და მარადისობა“. სათაურად „დისპროპორცია“ აქვს ამ ჩანაწერს: „ბუნებაში ყველაფერი ბუნებრივია. ადამიანში – ადამიანური? არა, ცხოველურიც. ცხოველურიც და მხეცურიც“ (გამ. „ინტელექტი“, 2022, გვ. 571).

პოემის მორალურ-ზნეობრივი მოტივაციების გასააზრებლად, რასაკვირველია, აუცილებელია მხატვრულ სახეთა გათვალისწინება.

ბექა, ნაწარმოების პროტაგონისტი, წესიერი, მართალი, პატიოსანი ადამიანია, რომელსაც ეთიკური მრწამსი წინაპრებისგან აქვს მიღებული და გაზიარებული. მისთვის სიკეთე ფარდობითი ცნება არ არის, ეს არის მაღალი მორალური კატეგორია, რომელსაც აღიარებს, იცავს, ითვალისწინებს. აქტიური ქმედების კაცია და თან რეფლექსიურიც. განსჯის ცხოვრებას, ფიქრობს ადამიანურ ვალზე, ფუნქციაზე, მისიაზე. ფიქრობს იმაზეც, თუ რისთვის გაჩნდა, რისთვის არსებობს, რისთვის ცხოვრობს ამქვეყანაზე. არის მასში რაღაც მინდიასეულიც, რაღაც მისნური, მისტიკური, მჭვრეტელური. იცის ბუნების ენა, ესაუბრება მცენარეებს, მათგან ითვისებს ცხოვრების სიბრძნეს. რამდენადაც გასაგებია ბექას ეთიკური კრედო, იმდენად რთულია მისი მსოფლმხედველობა, სოციალური საზრისი, სამყაროსადმი დამოკიდებულება.

ნოდარს ვეცნობით როგორც 90-იანი წლების კატაკლიზმების დროს დაწინაურებული სამხედრო ფენის რიგით წარმომადგენელს, რომლისთვისაც მთავარი პირადი, სუბიექტური, კერძო ინტერესებია. ცხოვრობს ინსტინქტების კარნახით, პრაქტიკულ ალღოს მიჰყვება. არის ეგოცენტრისტი, მომხვეჭელი, მედროვე. თუმცა მეორე, ფანტასმაგორიულ ნაწილში უაღრესად ტრაგიკულ პერსონაჟად მოჩანს. ანტიკური გმირივით მსხვერპლად ეწირება იმ გარემოსა და ვითარებას, რომელიც, ბედისწერის კარნახით, თვითონვე შექმნა. მისი ხასიათის გასაღებად გამოდგება ეპილოგის სიტყვები: „ადამიანი ცხოველს ებრძვის საკუთარ თავში“.

ნანა, ეს არის საბედისწერო ქალის ტიპური სახე, ხატი, სიმბოლო, რომელშიც რეალისტური იმდენია, რამდენიც ალეგორიული. ემანსიპირებული, თავისუფალი ქალია, რომლისთვისაც თავისუფლება თვითმიზანია, ქმარი, ოჯახი, ოჯახური ურთიერთობები კი – მარტივი პირობითობა. მთავარია, ინსტინქტები და მათი რეალიზაცია. ამ თვალსაზრისით, ნანას სახე, ცოტა არ იყოს, სქემატურად მოჩანს, თუმცა, როგორც ჩანს, ავტორის ჩანაფიქრიც ეს იყო, რათა ტრადიციული სქემის ფონზე კარგად გამოეკვეთა თავისი მორალური მრწამსი და, შესაძლოა, მთელი პოემის იდეაც – რომ მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი რყევები ანგრევს ადამიანის პიროვნულ მთლიანობას და საჭირო ხდება ბრძოლა ახალი რეალობის შესაქმნელად, ადამიანური ღირებულებების აღსადგენად, ინსტინქტები უნდა დაძლიო და მოუხმო ნებელობას, გააერთიანო ფიზიკური და სულიერი ძალები, გახდე საკუთარი გრძნობებისა და გონების საჭეთმპყრობელი.

ასეთია ჯუმბერ სარდლიშვილის „მსხვერპლის“ იდეურ-მხატვრული სტრუქტურა თვალის ერთი გადავლებით. პოემაში, რომელიც ღვთის სამდურავით იწყება და სადიდებელით მთავრდება, ბევრი საკითხი, თემა, პრობლემა თუ საფიქრალი ერწყმის ერთმანეთს. ფილოსოფიური, ეთიკური, სოციოლოგიური, ეგზისტენციური და მისტიკური მოტივები, რომლებიც აქ ვულკანივით ფეთქავს, საბოლოო ჯამში მხატვრულ სამოსელს იძენს და ერთ რამეს ამბობს: არ დაივიწყო უფალი ღმერთი, როდესაც ცხოვრება შენგან მსხვერპლს ითხოვს.

ივანე ამირხანაშვილი

სურვილი შესაძლებლობებს ბიღმა

წარმოიდგინე, რომ ვერ მოძრაობ ან ვერ ლაპარაკობ, მაგრამ იცი, ვინ არის შენი მეზობლის მკვლელი ან საყვარელი ადამიანის გამტაცებელი. უნდა ელოდო, როდის ამოხსნის პოლიცია თავსატეხს, რომლის პასუხებიც შენ დიდიხანია იცი. მე წარმოვიდგინე და მინდა გითხრათ, რომ კითხვის დროს დაუოკებელი სურვილი მიჩნდებოდა, ჯემას ნაცვლად მელაპარაკა. ყველასთვის უსუსური არსება, ისეთ საქმეებს ხსნის, რომლებსაც პოლიცია თვეებია ეწვალება. ვფიქრობ, წიგნის მთავარი აზრიც ესაა, მწერალმა ყველას დაუმტკიცა, რომ ჯემა უსარგებლო არ არის, ამით მან მკითხველს და ყველა სხვა დანარჩენს მიახვედრა, რომ არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ამ ქვეყანაზე დანიშნულება არ აქვს.

წიგნი ადვილად იკითხება, ყველა სიტყვა ერთმანეთს ებმის და სურვილს გიჩენს, უფრო მეტი წაიკითხო. ყველაზე მეტად მომწონდა დენის და ჯემას დაძაბული მომენტები. კითხვის დროს მთელ სხეულზე ტაო მაყრიდა, ძალიან მინდოდა, ვინმეს დენი დაენახა და გაეაზრებინა, სინამდვილეში რა ორპირი და მატყუარაა იგი, მაგრამ მაინც უმეტესად მეგონა, რომ დენი სინამდვილეში არაფრის მაქნისი იყო და ასეთ რაღაცებს მხოლოდ იმიტომ ამბობდა და აკეთებდა, რომ ჯემა შეეშინებინა, მეგონა, ამით უბრალოდ ერთობოდა. ველოდებოდი, რომ ავტორი სხვა პერსონაჟს აიღებდა და აქცევდა სარას გამტაცებლად. ამასთანავე, ძალიან გაკვირვებული დავრჩი, რომ ბილი იყო რაიანის ნამდვილი მკვლელი, ვერ ვხვდები, როგორ გამომრჩა იგი, როგორც ეჭვმიტანილი, ალბათ, დიდად ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან უმეტესად დაეჭვებული რაიანის მამაზე, გრაემზე, ვიყავი. ზედმეტად უცნაურად იქცეოდა იმისთვის, რომ უდანაშაულო ყოფილიყო.

როგორც დეტექტივის ჟანრის მკითხველი და მოყვარული, წიგნით საკმაოდ ნასიამოვნები დავრჩი. მომწონდა, რომ იგი სხვადასხვა გრძნობას იწვევდა ჩემში. გამახსენა ის დრო, როცა „გონების მიღმა“ წავიკითხე, მაშინ შედარებით პატარა ვიყავი და ცრემლებიც მომდიოდა ხოლმე კითხვის დროს. შეიძლება, მაშინ რომ ეს წიგნი წამეკითხა, მეტირა კიდეც. ალბათ, ახლა გავიზარდე, რადგან წიგნები ასე ადვილად ვეღარ ახდენენ ჩემზე ზეგავლენას, მხოლოდ იმ პატარა გაელვებას მიტოვებენ სხეულში და გონებაში. განა ახლაც არ ვტირი, მაგრამ პატარა დიანას შეეძლო, ყველა წიგნზე ეტირა, თუნდაც კარგი დასასრულის გამო. ახლა უკვე წიგნზე ტირილი იშვიათ, სასიამოვნო გრძნობად გადაიქცა, რადგან უმეტესად ყველაფერი გულში რჩება, რაზეც ძილის წინ სიბნელეში ვფიქრობ ხოლმე.

წიგნის კითხვის დროს სხვადასხვა დეტალზე თუ ამახვილებდით ყურადღებას? მაგალითად, დანას, რომლითაც ოლივია ჯემას დაემუქრა, ამას თუ შეამჩნევდით? ეს დანა რაიანის მკვლელობის იარაღი აღმოჩნდა. ნუთუ დენი ისეთი სულელი იყო, რომ ადგა და მნიშვნელოვანი სამხილი იმ სახლის ეზოში დამალა, სადაც ბავშვები ცხოვრობენ?! როგორ ვერ მიხვდა, რომ დანას აუცილებლად იპოვიდნენ? თუ ის იმდენად ჭკვიანი იყო, რომ ბილს რაიანი მოაკვლევინა და სარა ისე გაიტაცა, რომ საკმაო ხანი ვერავინ ვერაფერს მიხვდა. როგორ იფიქრა, რომ დანის დამალვა ასეთ ადგილას კარგი აზრი იყო? ცამეტი წლის თინეიჯერი ვარ და მეც კი უფრო კარგ ადგილს მოვიფიქრებდი სამხილის მოსაშორებლად. შეიძლება, უბრალოდ ჩათვალა, რომ მასზე ეჭვს არავინ მიიტანდა და ბევრი ამიტომაც არ იწვალა დანის დამალვაზე. ახლა უკვე უკეთესად ვაანალიზებ, თუ როგორ მიხარია რომ ჯემამ მას ბოლო მოუღო. დენი ზედმეტად ამაყი იყო იმისთვის, რომ „თავისი გაეტანა“. ძალიან იმედგაცრუებული დავრჩებოდი, წიგნის ბოლოს სიმართლე რომ არ დამტკიცებულიყო.

ალბათ, ჯემა ახლა ბედნიერია, სუნთქვის აპარატის დახმარებით უკვე სხვებთან კონტაქტი შეუძლია, იპოვა ტყუპისცალი, რომელმაც, ჩემი აზრით, სარას წასვლით გამოწვეული ტკივილი დააძლევინა. მის ცხოვრებაში დენი აღარ არის და ყველამ იცის, რომ ის გმირი გოგოა, რომელმაც თავისი მომვლელი გადაარჩინა და მკვლელობის საქმე გახსნა. ვგრძნობ, რომ უკვე დაიწყო იმის გაანალიზება, რა კარგია ცხოვრება. უკვე შეუძლია, დედამისს უთხრას, უნდა თუ არა „კეტჩუპი“ და რომ ძალიან უყვარს „გლოულაითი“.

პენი ჯოლსონს მართლა დიდი გამოცდილება ჰქონია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მუშაობის, ვინაიდან მან შეძლო და ასე კარგად წარმოადგინა ჯემას პერსონაჟი და მისი გრძნობები. შეიძლება, სადღაც მართლა მოხდა ასეთი ამბავი, შეიძლება, პენმა ერთ დღეს უბრალოდ დასახა წიგნის სიუჟეტი თავის გონებაში ან სიზმრად ნახა რამე მსგავსი. რაც არ უნდა იყოს, მადლობელი ვარ, რომ ამ წიგნმა ამდენი საფიქრალი გამიჩინა, საერთოდ, მიხარია, რომ ამ თემის დაწერა გადავწყვიტე. წიგნის ხელახლა კითხვის დროს ბევრ ისეთ მონაკვეთზე გავამახვილე ყურადღება, რომლებზეც აქამდე, როგორც მნიშვნელოვანზე, არ მიფიქრია. შევეცადე, სხვა პერსონაჟების გადმოსახედიდან დამენახა ყველაფერი, რომ ესა თუ ის ნაწილი უკეთესად აღმექვა. მინდა, მეც გავიგო, როგორია ტრიუმფის გრძნობა, რომელიც ჯემამ განიცადა მაშინ, როცა დენი გამოიჭირა.

წიგნის მთავარი აზრი ფურცლებს მიღმა უნდა ვეძებოთ, უნდა მივხვდეთ, რამ განაპირობა თითოეული პერსონაჟის ქცევა და იყო თუ არა იგი გამართლებული. ეს ყველაფერი, ალბათ, ყველა ჩვენგანს განსხვავებულ აზრამდე მიგვიყვანს. ჩემი გადმოსახედიდან, ავტორმა ჯემა თავიდან საბრალო არსებად იმიტომ წარმოადგინა, რომ ბოლოს დაემტკიცებინა, თუ როგორი ძლიერია იგი სინამდვილეში. ამით მან ხაზი გაუსვა ადამიანის შესაძლებლობებს და მათი არსებობის მნიშვნელობას. ყველა ადამიანს აქვს რაღაც დანიშნულება – აი, რას გვახვედრებს ეს წიგნი.

დიანა ლიქოკელი

ქ. თბილისის 59-ე საჯარო სკოლის
მე-8 კლასის მოსწავლე

▶▶ გაგრძელება. დასაწყისი "ლს„ №3-8

წიგნიდან – „რქაწითელის მჯევანი“

ემზარ კვიტაიშვილი

თამაზ ჩხენკელის გვერდით

(გახსენება)

25.08.2014. ერთ ზაფხულს (აგვისტო იყო), ოჯახთან ერთად, ქობულეთში ვისვენებდი. ბავშვები პატარები იყვნენ. დიასახლისი, ტანმაღალი, ორმოცდაათს მიტანებული აჭარელი, საკმაოდ ლამაზი და, ჩემდა გასაკვირად, გაუთხოვარი ქალი (გულიკო ერქვა, გვარი აღარ მაგონდება), ჩვენდამი კეთილად იყო განწყობილი. ცალთვალა, მოჭუჭკნული ძმა ჰყავდა, ხასანა, შეუხედავი, ხმას არ იღებდა, თავჩაქინდრული იჯდა ეზოში. დილიდანვე ზღვაზე გადიოდა, ანკესობდა, სტავრიდას იჭერდა. ახალი თევზი გამოუღევლად ჰქონდათ, მაგრამ მე მაინცდამაინც არა ვარ თევზის მოყვარული. იქვე, მახლობელი სასადილოდან მოგვქონდა სასურველი კერძები, იოლად გავდიოდით.

თბილისიდან გამოვიყოლე თომას მანის ახალგამოცემული გენიალური რომანი „იოსები და მისი ძმები“, სოლომონ აპტის მიერ საუცხოოდ თარგმნილი. ამ მხრივაც არ მაკლდა სიამოვნება, გვერდებზე გამორჩეულ ადგილებს აღვნიშნავდი. ეს ცუდი ჩვევა დღემდე შემომრჩა.

ჩვენგან ხუთიოდე წუთის სავალზე თამაზ ჩხენკელი ისვენებდა, სრულიად მარტო, რამაც ძალზე გამახარა. გაგონილი მქონდა თამაზის თანატოლების, მისი მეგობრების ხუმრობა – ცოლი რომ შეირთო, ლილი გოგია, საქორწინო მოგზაურობაში მარტო წავიდა, ქობულეთისკენ გასწიაო. იმ ზაფხულსაც ქობულეთში წამოვიდა, განმარტოებული. გრძელი სანაპიროს გასწვრივ, ფიჭვების მაგრილობელ ხეივანში დიდხანს ვსეირნობდით, ათას რამეზე ვლაპარაკობდით. უკვირდა, ამ ორომტრიალში თომას მანის ურთულეს რომანს როგორ კითხულობო. ვუთხარი, რომ შეჩვეული ვიყავი აურზაურს და ხმაური ხელს ნაკლებად მიშლიდა. მაშინ მისახსოვრა ქსეროქსზე გადაღებული გრიგოლ რობაქიძის ესსეები რუს მწერლებზე და ჩემი ერთი, მისგან მოწონებული თეთრი ლექსის გამო („ძილი“), ზედ მეტად პოეტური რამ წააწერა. სამწუხაროდ, ის საჩუქარი ერთ ნაცნობს, ირინა რობიტაშვილს, ვათხოვე და აღარ დამიბრუნა. ასე ბევრი წიგნი დავკარგე.

ოჯახი, სადაც მოზრდილი ოთახი გვქონდა დაქირავებული, ავადმსაგონარ ოცდაჩვიდმეტ წელს, შინსახკომის ჯალათებს, ძირფესვიანად აეოხრებინათ. დიასახლისმა მითხრა, სამი ერთმანეთზე უკეთესი ძმა მყავდა, სამაგალითო, ტანადი ვაჟკაცები, დამიხვრიტეს და აი ხასანაი, ბრუციანი და გონჯი, ქი დატიესო.

ერთ დღეს თამაზი და მე ავირეკეთ და ბათუმში წავედით, ჩვენი მეგობარი, ნიჭიერი მწერალი და ჟურნალისტი ალი სამსონია (იმხანად გაზეთს რედაქტორობდა) ვნახეთ. ალის უზომოდ გაუხარდა ჩვენი დანახვა, მაშინვე თავის უფროს მეგობარს, დიდად განათლებულ პიროვნებას, დინჯ მეცნიერს, არჩილ რუგოშელს დაურეკა, დაუთქვა დრო და ადგილი. მალე ოთხივენი ბათუმის ინტურისტის სახელგანთქმულ რესტორანში ვისხედით. სუფრას ალი სამსონია უძღვებოდა, ლაღად, გულითადად. ბატონ არჩილს გრძელი თმა კეფაზე ჰქონდა დაფენილი. დამამახსოვრდა მისი გამჭოლი მზერა და გონებამახვილობა. ახალი წაკითხული გვქონდა, როგორ შეეკამათა ტიტულოვან პროფესორს რუსთაველის პოემის ერთი ადგილის გაგებაში და კიდევაც შეარცხვინა კოლეგა, როგორც იტყვიან, მარჯვედ გამოიჭირა, თავისებური გაკვეთილი ჩაუტარა.

ეს ის პერიოდია, როცა ავთანდილი ტარიელის საძებნელად მიდის და, მოშიებული, ტყეში წაინადირებს. დავას იწვევდა ერთი სტროფი, სადაც ასეთი სტრიქონია: „ისრითა მოკლა ნადირი, როსტომის მკლავუგრძესითა.“ ამის გამო თანამეინახეს ხუმრობით ვუთხარი: „რა ჰქენით ეს, ბატონო არჩილ, იმოდენა რეგალიების მქონე სწავლულს „როსტომის მკლავუგრძესი“ ისარი პირდაპირ დუნდულებში გაურჭვეთ!“ ამაზე სიცილი ატყდა.

თამაზმა ალი წინასწარ გააფრთხილა – რამდენ ზოგად, უმისამართო სადღეგრძელოს იტყვი, იმდენჯერ ოფიციანტს შამპანურს მოვატანინებო. თამაზის ყოველ შეძახილსა და ტაშის შემოკვრაზე (ეს ბოთლის მოტანის ნიშანი იყო), ალის ეღიმებოდა, ეტყობოდა, თვითონაც არ იყო დათრობის წინააღმდეგი და სამსაათიანი დროსტარების მერე, გვარიანად შექეიფებულები, გამოვედით რესტორნიდან, ბაღში ჩამოვჯექით, რომ ზღვის მაცოცხლებელ ნიავზე ღვინო გამოგვნელებოდა.

ალი ახოვანი იყო, ხუჭუჭთმიანი, შავგვრემანი. თამაზსა და მე გული გვწყდებოდა, რომ იმისთანა მოხდენილი გარეგნობის ვაჟკაცმა ცოლი არ შეირთო, უმემკვიდრეოდ გადაეგო. ბევრი კარგი შემთხვევა მახსოვს მისი სტუდენტობის წლებიდან, როცა თბილისში ცხოვრობდა და ზაურ ბოლქვაძესთან მეგობრობდა. ხშირად, სტუდქალაქის მოედანზე ფეხბურთს ვთამაშობდით. არ დამავიწყდება ალის გუნდის ერთი წევრი, თანაკურსელებზე რამდენიმე წლით უფროსი ფოთელი იასონ დოლბაია, პატარა ტანისა, ცქვიტი, თმაშეთხელებული. უცნაური, მჩხიბავი თვალები ჰქონდა, წაწვეტებული ცხვირი. ერთ-ერთი შეტევისას, რომელიც ჩაიშალა, ალიმ დატუქსა იასონი: „რა დაგემართა, ერთხელ მაინც გამიგე ჩანაფიქრი, პასი დროზე მომაწოდე, შენ გოლის გამტანი არ ხარ!..“ სასაცილო, კომიკური იყო მათი ტანდემი. გულდასაწყვეტია, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

ალი სამსონიას მეტად ესიამოვნა, როცა წლების მერე, ზაურ ბოლქვაძე ბათუმელების სიძე გახდა. ზაურმა მითხრა ერთხელ – ყმაწვილობისას ალის ლამაზი, ეშხიანი გოგო უყვარდა, არ აეწყო მათი ამბავი, ის გოგო სხვას გაჰყვა ცოლად და მერე ოჯახის შექმნაზე გული აიყარაო.

მწერლობისადმი მიდრეკილება ადრევე გამოამჟღავნა. ემარჯვებოდა ტიპების ცოცხლად დახატვა და სხარტი, ოსტატურად აგებული დიალოგი. პატარა იუმორესკებს აქვეყნებდა „ნიანგში“ ნოდარ დუმბაძის რედაქტორობისას. მოგვიანებით „ცისკარშიც“ დაიბეჭდა მისი დიდი, ხალისიანად წასაკითხი მოთხრობა „ მზე, ზღვა, სიყვარული“, რომელიც სხვა რამეებთან ერთად წიგნადაც გამოიცა. უსამართლობად მიმაჩნია, რომ ეს ხალასი ნიჭის კაცი დღესდღეობით მივიწყებულია.

გასაკვირი არ იყო, რომ ალისთანა ალალი პიროვნება ასე უყვარდა თამაზ ჩხენკელს. სასიამოვნოდ დამრჩა, როცა ალი სამსონია თავის მოგონებათა მშვენიერ წიგნში მადლიერებით მოიხსენია ჩვენმა გამოჩენილმა თეატრმცოდნემ ვასილ კიკნაძემ; კიდევ ერთხელ ვირწმუნე – კაცური კაცის დათესილი სიკეთე არ იკარგება.

ზოგჯერ საშინელი ნაღველი შემომაწვება. უამრავი ადამიანი, რომლებთანაც ახლო, თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა მქონდა, ამ ქვეყნად აღარაა და იძულებული ვხდები, მათზე მოგონებები ვწერო. არაა ჩემი მდგომარეობა მთლად სახარბიელო, მაგრამ რას გავაწყობ, ხვედრს უნდა შევურიგდე.

ყველაზე კარგი თავმჯდომარე

30.08.2014. საკმაოდ გავისარჯე და დავამთავრე საიუბილეო წერილი გრიგოლ აბაშიძის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი. გადათეთრებული ოც გვერდამდე გამოვა და „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნებ.

მისგან ბევრი სითბო და ყურადღება მახსოვს. სხვადასხვა დროს, როცა ეს საჭირო იყო, არც მე დამიკლია ყურადღება. ვიდრე წერას დავიწყებდი, შესაფერისი მასალები მომაწოდა თოლიამ, ანგელოზური ბუნების პიროვნებამ, გრიგოლის ქალიშვილმა. მისნაირი გულუხვი, უბრალო და წმინდა სულის ადამიანი იშვიათად შემხვედრია. ვაჟიშვილი, ჩინოც, ასეთივე უსაზღვროდ კეთილი და მოსიყვარულე იყო, დიდად განათლებული ისტორიკოსი, საქართველოს ბედზე მოფიქრალი. ძალზე დამაღონა მისმა ნაადრევად დაღუპვამ. მანამდე თოლიამ მთხოვა და ერთად წავედით პატრიარქთან, რათა უწმიდესსა და უნეტარესს დაელოცა განსაცდელში მყოფი. ოჯახმა ყველაფერი იღონა, მაგრამ ძალისხმევა ამაო გამოდგა, საშინელი ფორმის ავთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა, თორემ ისე მალე ვერ მოაშთობდა.

თანამედროვე ფრანგი, მეტად ნიჭიერი მწერალი, პროფესიით მუსიკოსი, პასკალ კინიარი თავის ერთ საუკეთესო რომანში – „ვილა ამალია“ – წერს: „ვისაც სიკვდილი უახლოვდება, კუნთები უდუნდება და მზერა გაფანტული უხდება.“ სწორედ ასეთი დაბინდული გამოხედვა ჰქონდა ჩინოსაც და ამან შემაწუხა. კიდევ კარგი, მშობლები რომ არ მოესწრნენ მის დაღუპვას.

ბატონ გრიგოლს სიცოცხლის ბოლო წლებში განსაკუთრებით დავუახლოვდი და მრავალი რამ გულახდილად მიამბო. ნაწილი მასთან საუბრებისა ჩაწერილი მაქვს, შევეცდები მოვაწესრიგო და ცალკე დავბეჭდო.

შეიძლება ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ითქვას – გრიგოლ აბაშიძისთანა ჭკვიანი, განათლებული და ტაქტიანი თავმჯდომარე მწერალთა კავშირს სხვა არავინ ჰყოლია. აშკარად შეცდომა იყო მისი ამ თანამდებობიდან გადაყენება. ჩვენს ძვირფას ნოდარ დუმბაძეს ვატყობდით, ძალიან ეწადა, მწერლების წინამძღოლი გამხდარიყო, თუმცაღა სახელ-დიდება და ფული არ აკლდა. ერთხელ, როცა ბატონ გრიგოლს სამოცი წელი შეუსრულდა (ეს თარიღი ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე აღნიშნა), „ლიტერატურულ საქართველოში“ მილოცვები გამოქვეყნდა. იმჟამად გაზეთის რედაქტორი ჩვენი გამოჩენილი მოღვაწე, თხემით ტერფამდე ინტელიგენტი ბატონი ვახტანგ ჭელიძე გახლდათ. სხვებთან ერთად, ნოდარიც გულთბილად მიესალმა სახელოვან იუბილარს. იქ იყო აბზაცი, ეშმაკურად გადაკრულ სიტყვას რომ წააგავდა. მისალმების ავტორი ჭეშმარიტი პოეზიის მაგალითად სამართლიანად მიიჩნევდა გრიგოლ აბაშიძის საქვეყნოდ ცნობილ ლექსს და მოხდენილი ციტატაც ჰქონდა მოხმობილი:

მე დაჭრილი ვარ, როგორც ხოხობი
და თბილისში ვარ ჩამოვარდნილი.

ამ სტრიქონებს მოსდევდა რიტორიკული შეკითხვა – ბატონო გრიგოლ, იქ, აბანოთუბანში, ხომ არ მიგიხედ-მოგიხედავთ, იქნებ სადმე მეორე ხოხობიც ეგდო. მიმხვედრი იოლად მიხვდებოდა, რა აზრიც იყო შეფარული მაკვარანცხულად დასმულ შეკითხვაში. ნოდართან ადრიდანვე ახლო, მეგობრული ურთიერთობა მქონდა და პირისპირ დარჩენილს ვუთხარი: ყველანაირი პირობები გაქვს, არაფერი არ გაკლია, რა ჭირად გინდა თავმჯდომარეობა და ზედმეტი ხათაბალა. ათასი გრაფომანი და მანიაკია საქართველოში, კარებში ჩაგიდგებიან, გულს შეგიღონებენ, ზოგი მანქანას მოგთხოვს, ზოგი – ბინას და წიგნის გამოცემას, ისედაც ვერ ხარ ჯანზე, სიცოცხლეს შეგიმოკლებენ-მეთქი. დამეთანხმა, მაგრამ მაინც თავისაზე იდგა – მართალი ხარ, ძამა, მაგრამ თავმჯდომარე რომ არ გავხდე, უფრო მალე მოვკვდებიო (თავის უმძიმეს, უსაშველო დაავადებას გულისხმობდა). რაღას ვეტყოდი. ამაზე ლაპარაკი ახლა ყოვლად უაზროა, ყველაფერი დიდი ხნის ჩავლილია.

რკინეულობის შემსყიდველი

03.09.2014. მრავალი რამის მომსწრე ჩვენს ქუჩაზე, დღისით, რამდენჯერმე ჩამოივლის ხოლმე ასე, ორმოცი წლის ჩაფსკვნილი, სქელკისერა, შავგვრემანი კაცი. მოკლე, ვერცხლისფერი რუპორი უჭირავს, გამაძლიერებელი და შიგ (ინტერვალებიც მოკლე-მოკლეა) გამყივანად, მჭახედ ჩასძახის – თითქოსდა ლითონშერეული, მონოტონური, დაბენჟღილი ჟანგიანი ხმა აქვს:

„ჯართს ვიბარებ!..“
„მაცივრებს ვიბარებ!“
„გაზის კალონკებს ვიბარებ!“
„რადიატორებს ვიბარებ!“
„კონდიციონერებს ვიბარებ!“

ბოლო შემოთავაზებას წაგრძელებულად გამოთქვამს („ვიბარეებ!“). მერე ყველაფერი თავიდან იწყება, გრამფირფიტასავით ბრუნავს ქუჩის ჩათავებამდე. მეცოდება, გული მწყდება, რომ შარშან უამრავი რკინეულობა უფასოდ მივეცი ვიღაც თავხედ თათარს (სარეცხის მანქანა, ღუმელი, მილები). კიდე რაღაცის გამოძალვა უნდოდათ და მოვიშორე. ჯობდა ეს საცოდავი მომემადლიერებინა.

სულ ოთახში მესმის მისი ხმა და ერთხელ, ქუჩაში ჩასული, დაველოდე მოედნის მხრიდან მომავალს. მისი გარეგნობა მაშინ დავიმახსოვრე, თუმცა ჩაცმულობაზე არაფერი მითქვამს.

სამოსელითაც დიდად არ გამოირჩევა – შავზოლებიანი, ჩაჩაჩული ყვითელი მაისური აცვია. იმ განივი ზოლების გამო ვეება კრაზანას გავს, ოღონდ მიწაზე მოსიარულეს. დაბალი რკინის ურიკა ალბათ სადმე ეზოში ჰყავს დაყენებული და როცა ხარახურას მოაგროვებს, იქ მიიტანს და დატვირთავს. ნეტა რამდენ ლარს შოულობს დღიურად, ჭაპანწყვეტით ცოლ-შვილის მარჩენალი.

სასურველად ვერ დავხატე მისი სახე და ხმა, რაც ჩემზე უცნაურ, შემაძრწუნებელ ზემოქმედებას ახდენს. როგორღაც ბავშვობისდროინდელ მეწვრილმანეებსა და შეშის დამხერხავებს მაგონებს, ეზოში შემოსულები, ხმამაღლა რომ გაჰყიოდნენ.

ამგვარ რამეებს, ეტყობა, ვერლენის თვალი და ოსტატობა ჭირდება, რაც მეტწილად მან „ქვრივის ჩანაწერებში“ გამოავლინა. ციხეებიც და საავადმყოფოებიც (მისი ხშირი სამყოფელი) უნაკლოდ აქვს აღწერილი. გენიალური პოეტი, ამავე დროს, უაღრესად ღვთისმოსავი პიროვნება ჩანს, მიუხედავად მამაკაცისათვის საძრახისი მიდრეკილებებისა, რასაც მუდამ ინანიებდა. ეს გაუკუღმართებანი, როგორც სჩვეოდა, შეუდარებელი ოსტატობითაა არეკლილი მისი ლექსების ერთ წყებაში.

მოთხრობები ამ უდიდესი ლირიკოსისა (თუნდაც „ლუიზა ლეკრერკი“) გულუბრყვილობის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ დეტალების შემჩნევისა და აღნუსხვის უზარმაზარი ნიჭი რომ დაჰყვა, ამას ვერავინ უარყოფს.

ვერლენის მსგავსად, არაბესკები საუცხოოდ გამოსდიოდა გიუისმანსაც (მანდელშტამმა აღფრთოვანებული წერილი უძღვნა მას). ერთ მინიატურაში მახსოვს, იგი თევზის, ქაშაყის, კანს ხატავს, მეტალის ბზინვას რომ აგონებს. ურიგო არ იქნებოდა, ეს მშვენიერი მცირე პროზა, ვინმე ფრანგულის კარგ მცოდნეს, შესაფერისად ეთარგმნა. მდიდარი სიმბოლისტური ლიტერატურის ქართულ ენაზე გადმოღების მხრივ მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობა არა გვაქვს მაშინ, როდესაც, ყოველწლიურად, უამრავი მაკულატურა ისტამბება.

გაუკვირდებათ – საიდან სად გადავხტი. თავსაც ვუჭირვებ საქმეს და სხვასაც ვაწვალებ. ეტყობა, შემარხეველ, სულის ამაფორიაქებელ გადახვევებს ანუ ახირებულ თვისებას სიცოცხლის ბოლომდე ვერ მოვიშლი – ჩემს გაუხარელ არსებაში უნდა იყოს ჩაფესვებულ-ჩამარხული.

საკვირველი სახე

04.12.2014. ხშირად ვამოწმებ, რამდენად გამძლეა, რამდენ ხანს გამყვება ქუჩისმიერი შთაბეჭდილება. თუ არ განელდა და გაფერმკრთალდა, მერე ჩავიწერ ხოლმე, მეხსიერებით აღვადგენ ნანახს.

რანაირ ადამიანს აღარ გადაეყრები ქალაქში გასული. ერთი თვის წინ, უცხოელების აგებულ წაგრძელებულ სასტუმროსთან, მიდიოდა მაღალი, მეტისმეტად გამხდარი, სოფლური შესახედაობის, სამოცდაათს მიტანებული, თალხსამოსიანი ქალი. ჩემდაუნებურად დავაკვირდი. გამცდა და სოლოლაკისკენ გაუხვია. უცნაურად ბრტყელი სახეც შავი ჰქონდა. გეგონებოდა, ცეცხლშენთებულ სამფეხაზე წლობით ნადგამი სპილენძის თუნგის მჭვარტლი გადაკვრიაო. სიფრიფანა ნესტოები ისე შეწებებოდა ერთმანეთს, შევწუხდი, ჰაერს რანაირად ისრუტავს-მეთქი. ალბათ არ უჭირდა სუნთქვა, თორემ ფეხზე ვეღარ დადგებოდა, მით უფრო, სიარულს ვერ შესძლებდა, წაიქცეოდა.

წამიერად შევავლე თვალი ძირს დაშვებულ, წამახულ, წასინისილებულ ცხვირს. წელში ნახრილი გამშორდა, წალასლასდა თავის გზაზე. რამდენი ვინმეა ასეთი, მოულოდნელად შეგეფეთება, მზერას ვერ მოწყვეტ და სამუდამოდ გაუჩინარდება. მერე მიდი და ეძებე. ყველას ბედსა და საცოდაობაზე რატომ მეკუმშება გული ანდა რას ვუშველი ამდენ ამბოკარს. ის დედაბერი ვერასოდეს შეიტყობს, მისმა ერთმა შეხედვამ რამოდენა საფიქრალი გამიჩინა, ვინ და რაღა არ მომაგონა. ყველაფერს არც ვამხელ.

▶▶ გაგრძელება იქნება

ათვლის წერტილები

ბადრი სულაძე

ლექსების ამ ციკლისთვის ბადრი სულაძეს მიენიჭა თამაზ წივწივაძის სახელობის ლიტერატურული პრემია „ფრთხილად, წინ მკითხველია!“ (2022 წ.)

მეტამორფოზა

ფანჯრის რაფაზე ვფრთხიალებდით ბეღურებივით, –
და ჩვენი ქუჩის მარჯვენა თუ მარცხენა მხარეს,
ვუცქერდით რკინის მოლაპლაპე უწყვეტ ნაკადში, მფრინავი რაში
თუ ვის მხარეს ჩაიქროლებდა... (ვირჩევდით ფერის, სისწრაფის და
ძალის მიხედვით...) და ვერ ვიგებდით ბეღურების უწყვეტ ფორიაქს,
მათი სულ მცირე ადგილიც რომ დავიკავეთ ფანჯრის რაფაზე... ბედის არფაზეც,
მესამეზე, ის მეოთხედან, მკვახე ტყემლებს და ალუბლებს რომ ჩვენს ხისტ ხელებში
მომარჯვებულ ნეილონის ფარდაში ყრიდა, არ მთავრდებოდა მოუთმენლობის
დიდი ნაკადი... გემოს ვატანდით ნაადრევი ტყემლის არომატს, ჯერ კიდევ
კურკაგაუმაგრებელს... და გაზაფხულიც, ნეილონის სუფთა ფარდაზე,
ალუბლების და მზის ლაქების დროშით ცურავდა... მოცვის მურაბაც,
მთვარის ქვების კრიალა სპექტრში, მშვიდად ბრწყინავდა, როგორც ფერი
ლორწოვანი შავი ქვირითის, და ქვით გაფატრულ თართის მუცელს
შევადარეთ ცის სამურაბე... თან საცდურამდე გატკეპნილი გზაც
შევაჩვენეთ, სადაც სიწრფელე გაფატრული თართივით კვდება...
სადაც არავინ არ კითხულობს საღამოს ლოცვანს... და მერე,
როცა ქოთნის თიხისფერ აივანზე გადმოდგა ბალბა,
ჩვენ გაგვახსენდა დარდისფერი სოფლის ორღობე,
„კალოშების“ ქვეშ აზელილი აყალო მიწით
და ქვის კბილებით ჩაღეჭილი ვაშლის
სიწითლით...
გაგვახსენდა და
ბალახისფრად
შევღებეთ
სახლი.

***

მიწას დამჭკნარი ხელებივით
უწყვია გულზე, –
თოვლის სიმძიმით
დამტვრეული
ჭერმის
რტოები.

***

ახლაც ვუმადლი
ჩემი ვენახის
შემოუსვლელ
მწვანე გულაბებს
იმ სულგრძელობას, –
ძველი კარადის
გაზეთგადაკრულ
თაროებზეც
რომ
ყვითლდებოდნენ!...

***

ჭანჭურის ხეზე გამეფდა ფერი,
თოვლის სითეთრით ანთებულ ხედის,
როცა ფიქრებად ღამენათევი,
ჩამოფრთხიალდნენ ქათმები
ხიდან...
ვით მორღვეული ჟამის თერძები,
თოვლის მიმართაც ბევრის მკადრებნი,
მოურიდებელ ჟინით ეძებენ,
დაკარგულ მიწას სველ
ნისკარტებით...
ეძებენ ხორბლის დაკარგულ მარცვლებს,
ზეცაც ღრუბლით რომ უკმევს უეცრად,
და პოულობენ ფქვილივით გაცრილს
მას, რაც უფლისგან უკვე მიეცათ...
ფორიაქობენ სრულ სითეთრეში,
გადმოსულები მიწაზე ციდან,
რაც ჟამთა ქროლვის
პირნათელ რაშთან
გადამტერების
მეტადრე
ცდაა...
დაკარგულ სივრცეს რად უნდა ძებნა,
რთულად შესაცნობ ხმით და კრიახით,
როცა ცისგანაც იხსნება გზები,
კართან მომდგარი უფლის
კარნახით...
უნდა წავშალო რუხიც და მწვანეც,
გზა უნდა დათმოს შავმაც, ყვითელმაც,
რადგან ყოველთვის მადლივით მწამდა,
სამყაროს თეთრად
გადაფითრებაც...
როცა ფიქრებად ღამენათევი,
ჩამოფრთხიალდნენ ქათმები
ხიდან, –
ჭანჭურის ხეზე გამეფდა ფერი,
თოვლის სითეთრით ანთებულ ხედის...

***

დედის საფლავზე, შვილის ხელით
დასმული ჯვარი, სამადლობელო პასუხია,
ნუთუ ჯვრებისთვის, – დედა რომ კეცში
გამოსაცხობ ჭადებზე
სვამდა?!.

მამას...

თუმცა ყოველთვის
ჰგავდი – ხნულში ხარს,
და ეს ზღაპრადაც
მაქვს მოყოლილი,
შენ ჩემთვის მაინც
კვამლის სუნი ხარ, –
ნაწვიმარ პალტოს
გამოყოლილი.

***

სხეულს მამისას, ვერაფერი რომ ვერ დააკლო,
მის ნაქონ ნამგალს, რა გულით ჭამს,
ნეტავ ეს ჟანგი?!..

***

ჩემი ფიქრების უწყვეტი ძაფი,
ბებიაჩემის კაბის კალთაში
ეხვევა გვრიჭად...

***

ცა ვერასოდეს დახატავს კვირტებს,
რომ მიახატოს მზე სახრჩობელად, –
და მთაც მუხლებზე ვერ გადამიმტვრევს,
ჩემი ტკივილის შესაცნობელად...
ვერც სასოების გამტეხავს გვემა,
თუმცა მომიწევს ატანა სახრის,
გული კი ისევ ცვარს ემგვანება,
როგორც ჩიტების პატარა
სახლი...
გულს ვეპაექრო – არც კი მიცდია,
ამწყდარ ბოგირებს ანდა სად ვუხმო...
ისევ ლივლივა ტბები მიცდიან,
ცოდვის მარილით რომ დავამწუთხო, –
მაგრამ საწუთროს კილომეტრები,
ერთ ციდა გულში თუ ჩამეტია,
შემიფარებენ ვიწრო კედლებიც,
როცა კლდეები ლურჯ ცას
ელტვიან...
მე შევურჩიე სიმაღლე ციskენ,
ქარიშხლებისგან მოთელილ მანძილს
და რადგან ვერხვის დიდ ნაღველს ვიტევ,
დავიმეგობრე ფოთლების ლანდიც...
მთებიც ჩავძირე ხსოვნის წიაღში,
წლობით წარბშეკრულ ბერიკაცებად,
რაც ბევრჯერ ზომეს თოვლშიც, წვიმაშიც,
ხელისგულების ბედის ხაზებმა...
და მეც სიბნელის ნაცნობ ფუძეზე,
თუმცა სიცოცხლეს წამით ვზომავდი,
სინათლის ბოლო კვლავ მოვუძებნე
ღამეს – გაკვანძულს მთვარის
ზონარით...
მჯერა, სიცივით მკერდდაბერილი
ყველა საფიქრალს ლოცვით მოილევს
და შემლოცველი დედაბრების წინ,
დილაც კი, შვებით მოილოგინებს...
და თუ ხელებმაც ვერ შემილოცეს,
ზეცას დავიკრავ მხრებზე ნალივით
და – ტკივილზედაც მზეს
შევიხორცებ, გადამტვრეული
ხერხემალივით...

***

როგორ განვიცდი, როცა ათვლის წერტილებს ვკარგავთ, –
საწყის წერტილებს, როგორც პირველ გამოქვაბულებს,
სადაც ვცხოვრობდით ერთმანეთთან ძალიან ახლოს...
და რომ გვეგონა, ჩვენში მეფობს მხოლოდ სიკეთე,
ჩვენივე ნებით გადავსახლდით სულ სხვა პოლუსზე,
სადაც უსისხლო ბოროტებას ედგა კარავი...
და როგორც დედა, მენჯებიდან ამოვარდნილი,
რომ მივატოვეთ ყველა გრძნობა
პირველყოფილი,
ხარებს ცოცხლადვე ავათალეთ საშოლტე ტყავი,
ჩვენს ბაღ-ვენახში უკითხავად რომ გადმოვიდნენ...
მომცრო კუნძულსაც შევესიეთ კაჟის თოფებით
და ერთიანად ამოვწყვიტეთ თეთრი კურდღლები,
(სისხლით გაჟღენთილ ღრუბლის ქულებს
რომ დავამსგავსეთ),
როცა გავიგეთ იმ მეთევზის გარდაცვალება,
ვინც ეს კურდღლები მოაჯიშა მდინარის გაღმა...
როგორ განვიცდი, როცა ათვლის წერტილებს ვკარგავთ,
და როგორ მინდა, მეც ეს სიბნელე რომ გადავტეხო,
ცაცია ხელის ორ თითს შუა მომწყვდეული
კურდღლის ძვალივით,
რომ მერე იქნებ კუზიანი ღამეც გვეგონოს, –
მენჯებიდან ამოვარდნილი დედასავით ძალიან კარგი,
ანუ დავბრუნდეთ პირველყოფილ გრძნობებთან ახლოს,
რომ ცოცხალ ხარებს არ ავათალოთ საშოლტე ტყავი,
და არც კუნძული დავამძიმოთ სისხლიანი
ღრუბლის ქულებით...

***

პატარა ხიჭვი
რბილ ქსოვილში
ასე თუ მძლავრობს,
პატარა გული
ამ დიდ ჩხვლეტებს
როგორღა უძლებს!?..

***

ის მარტო იყო, –
მიტოვებული ჯარასავით,
მაგრამ გულიდან ამოხვეული
ჭრელი ძაფებით სიკეთეს ქსოვდა...
ის მარტო იყო, –
მიტოვებული ხის გობივით,
მაგრამ სიცოცხლედ მოზელილი
დარდის გუნდებით პურსაც აცხობდა...
ის მარტო იყო, –
მიტოვებული საყდარივით,
მაგრამ სიტყვები საგალობლად
ამოსდიოდა ოქროს ყელიდან...
ის მარტო იყო, –
და მარტო დარჩა მისი ეზოც,
რომლის სიღრმეში მიგდებული
თონის ნატეხი, – ძირს დაგდებული
მისი გული უფრო მგონია,
მიწის ზემოთ რომ დარჩენილა
დაუმარხავი, –
და ზედ მიმხმარი ცომის ნარჩენით
ჭიანჭველებსაც ეხმარება დაპურებაში...

***

მსურდა, სამყარო ისე შემეცნო,
არსთაგამრიგემ რაც ჩაიფიქრა...
თითქოს გაფრენა მზისკენ შემეძლო,
ანდა მთვარისკენ... ვარსკვლავს იქითაც...
ველარც სინდისმა ველარ მოთოკა,
ეს სითამამე, თაგვივით მხდალი, –
და უმწეოდ რომ ვწევარ სოროსთან
მაინც დაღლილი ხარივით ვბღავი...
აპრილი დადის მწვანე სამოსით,
სანთლებს რომ სევდის ნაცვლად არიგებს,
თუმცა სინათლეს, ძალაგამოცლილს,
უკან უბრუნებს არსთაგამრიგეს...
არ ვიცი, საით მეწევა ულვთოდ,
ყელზე მობმული თმენის ბაწარი...
ან, სინანულსაც როგორღა უხმობს,
აზრი – გველივით ხვრელში ჩამძვრალი...
მე სიცრუესთან ჯერ კიდევ ვდავობ,
სულში რომ სამტროდ შემომესია...
და წართმეული სიმართლის გამო,
დარდობს აპრილიც
და ეკლესიაც...

***

დეკემბრის ღამემ ციდან მთვარე ისევ ჩამოხსნა
და ჩამოშალა ყველა სხივი – კლდეს მიჭედილი,
მაგრამ სიცივის უმთვარეო ქიმზეც გამოჩნდა
თეთრი გუმბათი, – აღერილი შენი ყელივით...
მეგონა, თმენით ჩემთვის უცხო გზებს გავივლიდი,
თუნდაც მოლოდინს შენს ფიქრებში უბრად ეთოვა...
მერე კი, თოვლმა გადაფარა ყველა ბილიკი,
როცა მე შენი მარტოობა უნდა მეპოვა...
ნაქანდაკარი თეთრი მხრების რბილი კონტური,
მიხმობდა ჩუმი მონატრების მტკიცე წადილით,
და ნეკერჩხალსაც, ორი ტოტი, ყინვით მორთული,
დარჩა მლოცველის ხელებივით ცისკენ გაწვდილი...

***

ის რკინისაგან იყო ნაჭედი, –
და დედამიწას არ უმძიმდა
მისი ტარება...
მერე კი ისე გაილია
მისი სხეული,
რომ დედამიწას
ხიდან მოწყვეტილ ფოთოლივით
მძიმე ეჩვენა...

ჩარლზ ბუკოვსკი

კაქი

ვისაც არ უნდა ჰკითხო, ყველა გეტყვის, რომ სანდომიანი გარეგნობით არ გამოვირჩევი. ამ სიტყვას საერთოდ ვერ ვიტან. ყოველთვის ათასი ჯურის არამზადა, დამნაშავე და ნაბიჭვარი მიზიდავდა. არასოდეს მომწონდა სუფთად გაპარსული, კოხტად ჩაცმული, ჰალსტუხიანი და ცხოვრებაში კარგად მოწყობილი ბიჭები. მე მომწონს თავზეხელაღებული ადამიანები, კაცები ჩამსხვრეული კბილებით, ნაღრძობი ტვინით და გამრუდებული ცხოვრებით. ისინი მიზიდავენ. ისინი არიან გაძეძგილი სიურპრიზებითა და სიგიჟეებით. ასევე მიყვარს უწესო ქალები, ჩულქჩამოჩაჩული, მთვრალი და ენამყრალი ბოზები, შეშუპებული და უშნოდ შეღებილი სახეებით. წმინდანებზე უფრო, გზას აცდენილები მომწონს. ბოგანოებთან დროს იმიტომ ვატარებ, რომ თვითონაც ბოგანო ვარ. ვერ ვიტან კანონებს, მორალს,რელიგიებს, წესებს. არ მინდა საზოგადოების თარგზე ვიყო მოჭრილი.

ერთი დღე იყო, საღამო, მარტი და მე ჩემს ოთახში ვსვამდით. ნაჯდომი იყო. მე უმუშევარი ვიყავი. არც მინდოდა, სამუშაო მქონოდა. მერჩივნა, შინ ფეხშიშველი ვმჯდარიყავი, ღვინო მესვა, მემუსაიფა და მემხიარულა შეძლებისდაგვარად. მარტი ცოტა მორეგვნო ტიპი იყო, არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ მშრომელი კაცის ხელი, ჩატეხილი ცხვირი, თხუნელას მზერა რაღაც ეშხს აძლევდა.

მომწონხარ ჰენკ, – მითხრა მარტიმ,– შენ ნაღდი კაცი ხარ, ერთ-ერთი ნაღდი კაცი იმათში, ვისაც ვიცნობდი.

ჰო, – ვთქვი მე.

– გეტყობა, რომ კაჟი ხარ.

ჰო.

ერთხანს მაღაროებში ვმუშაობდი...

ხო-ო?

ხო. იქ მე და ერთი ჯეელი ერთმანეთს დავეტაკეთ. ნაჯახის ტარებს დავავლეთ ხელი. პირველივე მოქნევით მარცხენა მკლავი მომტეხა. ბრძოლა მაინც გავაგრძელე. ბოლოს თავის ქალა გავუნგრიე. თვალი რომ გაახილა, თავის ჭკუაზე ვერ იყო. ის თავისი ტვინი მთლად ჩავულაყე. საგიჟეთში გახდა წასაყვანი.

ეს ყველაფერი კარგი. – წამოვიწყე მე...

მისმინე, – თქვა მარტიმ, – ხოში მაქვს მე და შენ ერთი კაცურად დავარტყათ. პირველი მოქნევა შენი იყოს... მიდი, მლეწე.

მარტი სწორზურგიან მწვანე სკამზე იჯდა. მე ნიჟარასთან ვიყავი მისული, ჭიქა ისევ რომ შემევსო. მივტრიალდი და მარჯვენა პირდაპირ სიფათში გავუქანე. სკამიანად ამოყირავდა, წამოვარდა და მეცა. მოქნეული მარცხენა ვერ შევამჩნიე. შიგ შუბლში მრეხვა და ძირს დამაგდო. მივწვდი ნარწყევითა და ცარიელი ჭურჭლით სავსე პარკს, ბოთლი გავაძრე, მუხლზე წამოვიწიე და ვესროლე. აიცდინა. წამოვხტი და სკამს დავავლე ხელი. ის იყო, უნდა მესროლა, რომ ამ დროს კარი გაიღო. ეს ჩვენი სახლის მეპატრონე, ოცს გადაცილებული, მშვენიერი შესახედავი ქერათმიანი გოგო იყო. დღემდე ვერ გამიგია, რას ხეირობდა ის ამ სახლის მოვლა-პატრონობაში. სკამი იატაკზე დავდგი.

შენს ოთახში წადი, მარტი.

მარტი ბავშვივით დამორცხვებული ჩანდა. გავიდა ჰოლში, თავისი ოთახისკენ გაუხვია, შევიდა და კარი მიიხურა.

მისტერ ჩინასკი, – დაიწყო მან, – მინდა იცოდეთ...

მეც მინდა, რომ იცოდე, – შევაწყვეტინე, – ტყუილად ირჯები.

რას გულისხმობთ ?

შენ ქალის ის ტიპი არ ხარ, მე რომ მომწონს. ვერ შემომეტ...ები.

მისმინეთ, – თქვა მან, – მინდა რაღაცა გითხრათ. დაგინახეთ, რომ წუხელ პარკინგში, თქვენი ადგილის გვერდით ფსამდით და თუ თქვენ ამას არ მოიშლით, აქედან გაგაგდებთ. ლიფტშიც ვიღაცა ფსამს. თქვენ ხომ არა?

მე ლიფტში არ ვფსამ.

კარგი, პარკინგში წუხელ დაგინახეთ. დაგაკვირდით. ეს თქვენ იყავით.

არა-მეთქი... არ შემცა!

ისეთი გატიალებული იყავით, არც გეხსომებათ. მეტს ნუ იზამთ.

კარი გაიხურა და წავიდა.

რამდენიმე წუთის მერე, უკვე ჩემთვის რომ ვიჯექი, ღვინოს ვსვამდი და ვიხსენებდი, წუხელ მართლა მე მოვფსი პარკინგზე თუ არა, კარზე დააკაკუნეს.

შემოდი! – დავიძახე.

მარტი გამოდგა.

რაღაცა მინდა გითხრა.

კარგი. დაჯექი.

ჭიქაში პორტვეინი დავუსხი და ის ჩამოჯდა.

შეყვარებული ვარ. – თქვა მან.

პასუხი არ გამიცია. სიგარეტი შევახვიე.

სიყვარულის გჯერა? – მკითხა მან.

აბა როგორ. ერთხელ მეც შემემთხვა.

მერე ის სად არის?

გაქრა. მოკვდა.

მოკვდა? რით?

ლოთობით.

ისიც სვამს. ეს მაწუხებს. სულ მთვრალია. გაჩერება არ შეუძლია.

ყველა ასე ვართ.

ვიყავი მასთან ერთად A.A-ს[1] შეხვედრაზე. იქაც რომ მიდის, მთვრალია ხოლმე. მეტი წილი, ვინც იმ A.A.-შია, სულ მთვრალია. ყარს იქაურობა.

მე ხმა არ ამომიღია.

ღმერთო, ის ჯერ ახალგაზრდაა. ან რა ტანი აქვს! მიყვარს, ძმაო, მართლა მიყვარს!

ეეჰ, მოდი რა, ნუ გაატრაკე, მარტი, გიდგება მაგაზე და ეგ არის.

რას ამბობ ჰენკ, მე ის მართლა მიყვარს, ვგრძნობ ამას.

შეიძლება ასეც არის, რა აღარ ხდება.

ღმერთო, დიდებულო, მეპატრონეებმა სარდაფში გაუშვეს. ოთახის ქირას ვერ იხდის.

სარდაფში?

ხო, მისცეს სათავსო, სადაც ბოილერი უდგათ და ხარახურა უყრიათ.

რას მეუბნები.

ხო, და ის იქ, ქვემოთაა. მე კიდე, გესმის, მიყვარს და ამ დროს ფული არ მაქვს, რომ დავეხმარო.

სამწუხაროა. მაგ დღეში მეც ვყოფილვარ. ეს გულს გიკლავს კაცს.

რომ შემეძლოს გამოკეთება, რომ შემეძლოს ერთი ათი დღით სმისთვის თავის დანებება, მოვღონიერდებოდი, რამე სამუშაოს ვიშოვიდი და ვუშველიდი.

იცი, რა გითხრა, ახლა ხომ ლოთობ. თუ გიყვარს, მაგ ყლურწყვას შეეშვი. ახლა, ეგრეევ.

ღმერთს გეფიცები, – თქვა მან, – დავანებებ! ამ ჭიქას ახლავე ნიჟარაში გადავაქცევ!

მელოდრამებს ნუ მართავ. ჭიქა აქეთ გამოუშვი.

პირველ სართულზე ლიფტით ჩავედი, ხელში იაფიანი ვისკის ბოთლი მეჭირა. სემის სასმელების მაღაზიაში ერთი კვირის წინ ავწაპნე. მერე სარდაფის კიბეს ჩავუყევი. იქ პატარა ნათურა ენთო. მივაბიჯებდი და კარს ვეძებდი. როგორც იქნა, მივაგენი. ღამის პირველი ან ორი იქნებოდა. დავაკაკუნე. კარი ოდნავ გაიღო და დავინახე მშვენიერი გარეგნობის ქალი, საძილე პერანგის ამარა. ასეთს არ მოველოდი. ახალგაზრდა და მარწყვივით ეშხიანი ქერა გოგო. ეგრეევ კარის ჭრილში ფეხსაცმლის წვეტი ჩავაკვეხე, მერე მივაწექი და შიგნითაც შევედი, მიმოვიხედე და კარი მივხურე. არც ისე ცუდი ადგილი ჩანდა.

ვინ ხარ? – იკითხა მან, – გაეთრიე აქედან.

მშვენიერი ადგილი დაგითრევია. ჩემსას სჯობია.

გაეთრიე აქედან! გაეთრიე! გაეთრიე!

ქაღალდის პარკიდან ნახევარლიტრიანი ამოვიღე. იმანაც თვალი შეავლო.

სახელი რა გქვია? – ვკითხე.

ჯენი.

ჯენი, მითხარი ერთი, ჭიქები სად გიწყვია?

კედლის თაროზე მანიშნა. მივედი და ორი ნაგრძელებული წყლის ჭიქა ავიღე. ნიჟარა იქვე იყო. ორივეში ცოტ-ცოტა წყალი ჩავასხი, შემოვტრიალდი, დავდგი, ბოთლი გავხსენი და ვისკი შევურიე. საწოლზე ჩამოვსხედით და დავლიეთ. ის ახალგაზრდა და მიმზიდველი იყო. ვერ ვიჯერებდი. ნერვებმოშლილ, ფსიქოზიან, ისტერიულ ვინმეს მოველოდი. ჯენი ნორმალურად, ჯანმრთელადაც კი გამოიყურებოდა. ოღონდაც ვისკი, იცოცხლე, უყვარდა. ტოლს არ მიდებდა.

ის ჟინი, აქ ჩამოსვლამდე რომ მაწვებოდა, გამნელებოდა და მას უკვე ვეღარ ვგრძნობდი. ვფიქრობ, რაიმე ოდნავი ხინჯი ან თუნდაც გარეგნობის რაიმე თვალშისაცემი ნაკლი, ვთქვათ, კურდღლის ტუჩი რომ ჰქონოდა, ჩემს თვალში უფრო მიმზიდველს გახდიდა. გამახსენდა ამბავი „რეისინგ ფორმ“[2]-ში ერთ დროს რომ წამეკითხა, ჯიშიან ულაყს როგორ ვერ აჯვარებდნენ ჭაკთან. დედალი ცხენი ულამაზესი იყო, მაგრამ ულაყი მორცხვობდა და თავს არიდებდა. მაშინ ვიღაცამ, ვისაც საქმის ესმოდა, აზრი მიაწოდა. პატრონმა ეს მშვენიერი ჭაკი ტალახში ამოაგანგლინა და მაშინ ულაყი ეგრევე შეაჯდა. აზრი კი ის იყო, რომ ულაყი თავის არასრულფასოვნებას გრძნობდა მშვენიერების წინაშე, ხოლო როდესაც ის გასვარეს, დაამცირეს, მან, როგორც იქნა, თავი უკვე ტოლად ან სულაც აღმატებულად იგრძნო. ჰოდა, ეტყობა, ცხენის და ადამიანის ბუნება ერთმანეთს ძალიან ჰგავს.

ამასობაში ჯენიმ კიდევ ჩამოასხა და სახელი და ადგილსამყოფელი მკითხა. მეც ვუთხარი, რომ მაღლა სართულზე ვცხოვრობდი და აქ მხოლოდ მეინახის ძებნაში მოვადექი.

ადრე, ასე ერთი კვირის წინ, – „კლამბერინ“-ში დაგინახე, მითხრა მან, – მშვენიერ გუნებაზე იყავი, ყველა ამხიარულე, ყველას დასალევი უყიდე.

ვერ ვიხსენებ.

მე მახსოვს. ჩემი ღამის პერანგი მოგწონს?

კი.

შარვალს რატომ არ გაიხდი, უფრო შინაურულად არ იქნები?

გავიხადე და ისევ საწოლზე მის გვერდით დავჯექი. ყველაფერი აუჩქარებლად მიდიოდა. მოვახერხე და ვუთხარი, რომ ლამაზი ძუძუმკერდი ჰქონდა, მერე ერთ-ერთს დავეწაფე. უკვე ვიცოდი, რომ ცოტაც და საწადელს ვეწეოდი. შუა გზას გავცდი, მაგრამ რაღაცამ მიმუხთლა. გავჩერდი.

უნდა მაპატიო.

ეგ არაფერი, – თქვა მან, – მაინც მომწონხარ.

ვისხედით, რაღაც-რაღაცებს მივედ-მოვედებოდით და ვისკი ძირამდე ჩაგვყავდა.

მერე ის ადგა და შუქი გამორთო. დარდი მომაწვა, ლოგინში ჩავწექი და მის ზურგს მივეკარი. ჯენი მხურვალე, ეშხით სავსე იყო, მისი სუნთქვა მესმოდა და სახეზე თმის შეხებას ვგრძნობდი. პერანგის მეგობარმა გამოცოცხლება დაიწყო და მას მიედო. ვიგრძენი, რომ ხელით მიწვდა და გზა მიუჩინა.

ახლა, – თქვა მან, – ახლა ყველაფერი რიგზეა...

ეს სასიამოვნო იყო, სასიამოვნო და აუჩქარებელი. მერე დაგვეძინა.

რომ გავიღვიძე, მას ჯერ კიდევ ეძინა, ავდექი და ჩაცმა დავიწყე. გასვლა რომ დავაპირე, გადმობრუნდა და შემომხედა:

ერთხელაც, სანამ წახვიდოდე.

კარგი.

ისევ გავიხადე და ლოგინში ჩავუწექი. ზურგით მომიბრუნდა და გავიმეორეთ, იგივენაირად. რომ მოვრჩით, ჩემკენ ისევ ზურგით იწვა.

კიდევ მინახულებ?

რა თქმა უნდა.

მაღლა ცხოვრობ?

კი. 309-ში. შემიძლია მოვიდე, გინახულო ან შენ შეგიძლია მოხვიდე, მინახულო.

მირჩევნია, შენ მოხვიდე, – თქვა მან.

კეთილი.

ჩავიცვი, კარი გავაღე, გამოვიხურე, კიბეს ავყევი, შევედი ლიფტში და მე-3 სართულის ღილაკს დავაჭირე.

დაახლოებით ერთი კვირის მერე, ერთ საღამოს, ისევ მარტისთან ერთად ღვინოს ვსვამდი. ქვეყნის რამერუმეებზე რომ ვილაპარაკეთ, მერე მითხრა:

ღმერთო, თავს საშინლად ვგრძნობ.

ახლა რაღაა?

ეჰ. ჩემი გოგო, ჯინი. უკვე გელაპარაკე ერთხელ...

კი. ის, სარდაფში რომ ცხოვრობს. შენ რომ შეყვარებული ხარ.

ჰო. სარდაფიდანაც გააგდეს. ის სარდაფის ქირასაც კი ვერ იხდიდა.

საით წავიდა?

არ ვიცი. გაქრა, დაიკარგა. ისღა გავიგე, რომ გააგდეს. არავინ იცის, რას აკეთებდა, საით წავიდა. A.A.-ის შეკრებაზეც ვიყავი. არც იქ არ იყო. ავად ვარ, ჰენკ, მე მართლა ავად ვარ. მე ის მიყვარდა. საცაა ჭკუიდან შევიშლები.

ხმა არ ამომიღია.

შემომხედე და მითხარი, აბა მე რისი მაქნისი ვარ? მართლა განადგურებული ვარ...

ეჰ, მოდი, ამ ჭიქით კაი ბედი ვუსურვოთ, ჩემო მარტი, კაი იღბალი...

კაი გვარიანად შევუბერეთ იმ საღამოს მის სახელზე.

ის კარგი ვინმე იყო, ჰენკ, მერწმუნე, მაგარი რამე...

მჯერა, მარტი, მჯერა.

იმის მერე, ერთი კვირის თავზე, მარტი ქირის გადაუხდელობისთვის გააგდეს, მე კი ხორცის შესაფუთ ხაზზე ვიშოვე ადგილი. იქვე, სამუშაოსთან, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, მექსიკელების ორი ბარი იყო. მაგათი ბარები მომწონს. სამუშაოს მერე სისხლის სუნი ამდის, და იქ ეს არავის ადარდებს. მაგრამ საკმარისია, შინ მიმავალ ავტობუსში ავიდე, იწყება ცხვირის აბზუება და ამრეზით გამოხედვა, და მე ისევ ვგრძნობ, რომ ბოღმა მაწვება. და ეს მშველის.

შენ და შენი ლუდი და შენ რა მაგარი ხარ

ჯეკი შემოვიდა სახლში და ბუხრის თაროდან სიგარეტის კოლოფი აიღო. ენი დივანზე იჯდა და „კოსმოპოლიტანს“ კითხულობდა. ჯეკმა სიგარეტს მოუკიდა და სავარძელში ჩაჯდა. თორმეტს ათი წუთი აკლდა.

– ჩარლიმ გითხრა, არ მოწიოო.

– მეკუთვნის. ამღამინდელი შეხვედრა სასტიკი რამე გამოდგა.

– გაიმარჯვე?

– ხმები გაიყო, მაგრამ მე მომისაჯეს. ბენსონი კერკეტია, ყვერებიანი გამოდგა. ჩარლიმ თქვა შემდეგი პარვინელიაო. პარვინელის თუ ვაჯობებთ, ჩემპიონსაც მოვერევით.

ჯეკი ადგა, გავიდა სამზარეულოში და ლუდით ხელში დაბრუნდა.

– ჩარლიმ მითხრა, ლუდს არ გააკაროო. – ენიმ ჟურნალი გვერდზე გადადო.

– ჩარლიმ მითხრა, ჩარლიმ მითხრა... ყელში ამოვიდა. 16 გამარჯვება ზედიზედ... ლუდიც მეკუთვნის და სიგარეტიც.

– ფორმაში უნდა იყო.

– რა მნიშვნელობა აქვს. ვინც გინდა იყოს, მივბეგვავ.

– კი, ძალიან მაგარი ხარ. რომ ჩაკრავ, იმის მეტი არაფერი მესმის, შენ რა მაგარი ხარ... დავიღალე, აღარ შემიძლია.

– მაგარი ვარ, აბა რა. 16 გამარჯვება ზედიზედ,15 – ნოკაუტით. უკეთესი ვინ გეგულება?

ენის ხმა არ ამოუღია. ჯეკმა ლუდი და სიგარეტი სააბაზანოში გაიყოლა.

– რომ შემოხვედი, კოცნაც კი არ მაღირსე. ეგრევე შენი ლუდისკენ გაქანდი. შენ ისეთი მაგარი ხარ, კი ბატონო. მაგარი ლუდის მყლურწავი.

ჯეკს პასუხი არ გაუცია. ხუთი წუთის მერე მან სააბაზანოს კარი გამოაღო კოჭამდე შორტ-ნიფხავჩამოშვებულმა.

– ამის ღმერთიც არ იყოს, ენ, ნუთუ ასე ძნელია, ტუალეტში ქაღალდი რომ დაკიდოს?

– უკაცრავად. – მივიდა გარდერობთან და ქაღალდის ხვეული მიაწოდა. ჯეკმა თავისი საქმე მოითავა და გამოვიდა. მერე ბოთლი გამოცალა და კიდევ ერთი აიღო.

– შენ მსოფლიოს ქვემძიმე წონის უძლიერეს მოკრივესთან ცხოვრობ და მოთქმის მეტს არაფერს აკეთებ. ქვეყნის გოგო იმას ნატრობს, გვერდით ვყავდე, შენ კიდევ ზიხარ აქ და მასაზიზღრებ.

– ჯეკ, როგორ არ ვიცი, რომ მაგარი ხარ, ალბათ საუკეთესოც, მაგრამ ვერ წარმოიდგენ, რა მომაბეზრებელია აქ ჯდომა და გაუთავებლად იმის მოსმენა, როგორი მაგარი ხარ.

– ეს გაქვს მობეზრებული, ხომ?

– კი, დაწყევლოს ღმერთმა, ეს გაუთა-

[1] A.A. -- ალკოჰოლზე დამოკიდებული ხალხის ანონიმური ასოციაცია.

2 Daily Racing Form /DRF/, ხშირად იხსენიება როგორც Racind Form ან Form -- ტაბლოიდური/ არასტანდარტული ზომის/ გაზეთი დაარსებული ჩიკაგოში/ილინოისი/ Frank Brunell - ის მიერ.

ვებელი ტრაბახი, შენი ლუდი და რა მაგარი ხარ შენ.

– აბა, დამისახელე ვინმე ჩემზე უკეთესი ქვემძიმე წონაში?

– ჩემს ბრძოლებზე არც კი დადიხარ.

– ცხოვრებაში, კრივის გარდა სხვა რამეებიც არის, ჯეკ!

– მაინც რა? ტრაკზე გორაობა და კოსმოპოლიტანის ფურცვლა?

– დიახ, მინდა გონება განვივითარო.

– ნამდვილად არ გაწყენდა. აქ ჯერაც ბევრია გასაკეთებელი.

– კრივის გარდა სხვა რამეც არსებობს.

– აბა? დამისახელე.

– ხელოვნება, მუსიკა, ფერწერა და კიდევ ბევრი სხვა რამ.

– აქედან რომელ ერთში ხარ გაწაფული?

– არა, მაგრამ ჩემს თვალში ამას ფასი აქვს.

– მორჩი ახლა, მირჩევნია, საუკეთესო ვიყო იმაში, რასაც ვაკეთებ.

– ძლიერი, უფრო ძლიერი, უძლიერესი... ღმერთო, ნუთუ არ შეიძლება დააფასო ადამიანები ისეთი, როგორებიც არიან?

– როგორებიც არიან? და რას წარმოადგენს მათი უმრავლესობა? ბეყეები, წურბელები, ყეყეჩები, ჩამშვებები, სუტენიორები, ლაქიები...

– შენ ყველას ზემოდან უყურებ. ვერც ერთი შენი ძმაკაცი, ნუ იტყვი და, შენ რომ გინდა, ისეთი ვერ არის. შენ ხომ, ნუ იტყვი, ზეკაცი ხარ!

– ზუსტად ეგრეა, ჩემო კარგო.

ჯეკი შევიდა სამზარეულოში და კიდევ ერთი ლუდი გამოიტანა.

– შენ და ეს შენი დედაატირებული ლუდი...

– ჩემი ნებაა. ისინი ყიდიან. მე ვყიდულობ.

– ჩარლიმ თქვა...

– გავარტყი ჩარლის!..

– ჭიპის გაფხრეწამდე მაგარი ხარ!

– დიახაც. ყოველ შემთხვევაში, პატიმ ეს იცოდა. ის ამას აღიარებდა. მას ეს ეამაყებოდა. მან ამის ფასი იცოდა. შენ კიდევ სულ წუწუნებ.

– კარგი, მაშინ პატისთან რატომ არ ბრუნდები? ჩემთან რატომ ხარ?

– ამ წუთში ზუსტად ამას ვფიქრობ.

– ჩვენ ხომ დაქორწინებული არა ვართ, როცა გინდა, წავალ.

– მოდი, მაღირსე რა! მე მოვდივარ სახლში მკვდარი, ათი ჯოჯოხეთური რაუნდის მერე და შენ ჩემი გამარჯვება არც კი გიხარია. მარტო მაძაგებ და წუწუნებ.

– მისმინე ჯეკ, ამ ქვეყნად ბევრი რამეა ბრძოლის გარდა. პირველად რომ შეგხვდი, აღფრთოვანებული ვიყავი იმით, რაც იყავი.

– მე მაშინაც მოკრივე ვიყავი. და არაფერი ამ ქვეყნად, ბრძოლის გარდა, ჩემთვის არ არსებობს. მე ეს ვარ – მებრძოლი. ეს არის ჩემი ცხოვრება და მე ამაში ვარ კარგი. საუკეთესო. გატყობ, შენ სულ ის ხელმოცარულები გიზიდავს... ტობი იორგენსონის მსგავსები.

– ტობი ძალიან საყვარელია. მას იუმორის გრძნობა აქვს, ხალასი ხუმრობა შეუძლია. ტობი მომწონს.

– 9 მოგება, კი მიყოლებით, მაგრამ ნოკაუტით მხოლოდ 5. გაგლეჯილი მთვრალიც რომ ვიყო, მაინც ვაჯობებ.

– კი, ღმერთია მოწმე, ამას შენ არ იკლებ. რა გგონია, რას უნდა ვგრძნობდე, როცა წვეულებაზე იატაკზე გალეშილი გორაობ ან დარბაზში დაბოდიალობ და ყველას ტვინს ულაყებ: მაგარი ვარ, მაგარი ვარ, მაგარი ვარ!.. თავი ბითური მგონია..

– იქნებ ხარ კიდეც. ტობი ასე თუ მოგწონს, რატომ მასთან არ წახვალ?

– მე მხოლოდ ის ვთქვი, მომწონს, საყვარელია-მეთქი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლოგინში ჩავუწვები.

– კარგი, ბატონო, ლოგინში მე მიწვები და თან მეუბნები, თავს მაბეზრებო. არ მესმის, მაშინ რა ჩემი ფეხები გინდა?

ენის ხმა არ ამოუღია. ჯეკი ადგა, დივანთან მივიდა, ენის თავი აუწია და ტუჩებში აკოცა. დაბრუნდა და ისევ დაჯდა.

– მოდი, ბენსონთან დღევანდელი ბრძოლის ამბავი მოგიყვე. რომ გეყურებინა, შენც კი იამაყებდი ჩემით. პირველ რაუნდში დამაგდო, შემაპარა და მხია მარჯვენა. ადგომა მოვახერხე და რაუნდის ბოლომდე ახლოს არ მივიკარე. მეორეში დამაჭედა ისევ. რვის დათვლაზე ძლივს ავდექი. რაუნდის ბოლომდე ისევ არ მივიკარე. რამდენიმე მომდევნო რაუნდი ფეხის სიმარდის აღდგენას მოვანდომე. მე-6, მე-7 და მე-8 ჩემი იყო, მერე გავიშხლართე მე-9-ში და ორჯერ მე-10-ში. აბა, აქ რა ხმების გაყოფაზე უნდა ილაპარაკო კაცმა. ასე რომ, 45 ათასი გავირტყი, გაიგე, ლამაზო? 45 ათასი. ხომ ვარ მაგარი? რას მეტყვი?..

ენი ჩუმად იყო.

– მოდი, გაფიცებ, მითხარი, რომ მაგარი ვარ.

– ჰო, კარგი, მაგარი ხარ.

– ასე არ ჯობია?

ჯეკი მივიდა და ისევ აკოცა.

– ახლა ისევ გავხალისდი. გეტყვი, კრივი იგივე ხელოვნებაა. ჯიგარი უნდა, რომ მხატვარი იყო და ჯიგარია საჭირო, რომ მაგარი მოკრივე იყო.

– რა თქმა უნდა, ჯეკ.

– „რა თქმა უნდა, ჯეკ", – სულ ეს არის, რისი თქმაც შეგიძლია? პატი ბედნიერი იყო ხოლმე მე რომ ვიმარჯვებდი. მთელი ღამე ბედნიერები ვიყავით. ნუთუ არ შეგიძლია ჩემი სიხარულის გაზიარება, როდესაც კარგ რამეს ვაღწევ? დედაც არ ვატირე ამის, შენ მე გიყვარვარ თუ ის ლუზერები და უტრაკოები? ასე მგონია უფრო გაგიხარდებოდა, წაგებული რომ მოვსულიყავი.

– შენი გამარჯვება როგორ არ მინდა, ჯეკ, ოღონდ ნუ გიტაცებს ასე, რასაც შენ აკეთებ...

– როგორ? ეს ხომ ჩემი საზრდო, ჩემი ცხოვრებაა. მეამაყება, რომ საუკეთესო ვარ. ეს ფრენასავითაა, ცაში რომ აიჭრები და მზეს დაიჭერ.

– ბრძოლას რომ ვერ შეძლებ, მაშინ რაღა უნდა აკეთო?

– დარდი ნუ გაქვს, ფული საკმარისი გვექნება, ვაკეთოთ, რაც გვინდა.

– გარდა ერთმანეთთან შეწყობისა.

– იქნება მეც ვისწავლო „კოსმოპოლიტანის" კითხვა, განვივითარებ გონებას...

– ნამდვილად არ გაწყენდა.

– დედას არ შე..ცი შენსას?!

– რაო?

– ..გეცი-მეთქი!

– რას მეუბნები, ეს კი კარგა ხანია არ გაგიკეთებია.

– ზოგს მოსწონს წუწუნა ქალებთან ტ....რი, მე არა.

– ესე იგი, პატი არ წუწუნებს?

– ყველა ქალი წუწუნებს, მაგრამ შენ ჩემპიონი ხარ!

– მაშინ რატომ არ დაბრუნდები პატისთან?

– აქ ახლა შენ ხარ. ამ სახლში მხოლოდ ერთი ბოზის ადგილია.

– ბოზის?

– აბა რა.

ენი ადგა და გარდერობში შევიდა, გამოიღო თავისი ჩანთა და ბარგის ჩალაგება დაიწყო. ჯეკი წავიდა სამზარეულოში და კიდევ ერთი ლუდი აიღო. ენი სიმწრისაგან სლუკუნებდა. ჯეკი დაჯდა და დიდი ყლუპი მოსვა. ახლა ვისკი იყო საჭირო, ერთი ბოთლი დახატავდა. და კარგი სიგარა.

– დანარჩენი შემიძლია წავიღო, როდესაც შენ აქ არ იქნები.

– ნუ შეწუხდები. გამოგიგზავნი. ის შემოსასვლელში შეყოვნდა.

– სულ ეს არის, მგონი. – თქვა მან.

– მეც ასე მგონია. – უპასუხა ჯეკმა.

მან კარი მოიხურა და წავიდა. სტანდარტული პროცედურა. ჯეკმა ლუდი გამოცალა და ტელეფონისკენ წავიდა. პატის ნომერი აკრიფა. ყურმილი აიღეს..

– პატი?

– ჯეკ, როგორ ხარ?

– ამ საღამოს მაგარი მოვიგე. ხმები გაიყო. პარვინელისაც უნდა ვაჯობო და მერე ჩემპიონსაც მოვუგებ.

– შენ ორივეს დაურხევ ჯეკ. შენ ამას შეძლებ, ვიცი.

– ამაღამ რას აკეთებ, პატი?

– პირველი გახდა, ჯეკ. ნასვამი ხარ?

– ცოტა. ვზეიმობ.

– ენი სად არის?

– დავშორდით. ჩემი ამბავი ხომ იცი, ორ ქალთან ერთად არ შემიძლია.

– ჯეკ...

– რა არის?

– მე ახლა კაცთან ვარ.

– კაცთან?

– ტობი იორგენსონთან. ის ახლა საძინებელშია...

– მაპატიე.

– მეც მაპატიე, ჯეკ, მიყვარდი... ალბათ ახლაც მიყვარხარ.

– შენ რა გითხარი, ეს ქალები ამ სიტყვას ისე ატყლაშუნებთ...

– ნუ მიწყენ, ჯეკ...

– ჰო, კარგი.

ყურმილი დადო. მერე წავიდა გარდერობში მოსასხამის ასაღებად. ჩაიცვა, დაცალა ლუდი და ლიფტით მანქანასთან ჩავიდა. ნორმანდის ქუჩა 65 მილის სიჩქარით გაიარა, ჰოლივუდის ბულვარზე სასმელების მაღაზიასთან შეაყენა. მანქანიდან გადმოვიდა და შევიდა. ექვსცალიანი ფუთა „მაიკლობი" და ალკაზელცერის კოლოფი აიღო. მერე სალაროს კლერკს „ჯეკ დენიელსის" ბოთლი მოატანინა. სანამ ის ანგარიშობდა, სალაროს ვიღაც ლოთი-შფოთი „კურის" ორი ექვსცალიანით მოადგა.

– ჩვენი ძმა, – მიუბრუნდა ის ჯეკს. – შენ ჯეკ ბაკენველდი ხომ არა ხარ, მოკრივე?

– კი, ვარ. –უპასუხა ჯეკმა.

– ჯეკ, მე ამ საღამოს შენს ბრძოლას ვუყურე, კაცო, ეს რა დაგლიჯე, ეს ვინ ყოფილხარ! კაცი არ ვიყო, მართლაც უძლიერესი ხარ!

– მადლობა, – უთხრა მან შარაფისტს, აიღო თავისი პარკი და მანქანისკენ წავიდა. ჩაჯდა, „დენიელსის" ბოთლს ხუფი მოხსნა და ერთი მამაპაპურად მოსვა. მერე დახია უკან და ჰოლივუდის ბულვარითვე ჩრდილოეთისკენ დაეშვა, გაუხვია ნორმანდიზე და უცებ ძლივს შესამჩნევი ტორტმანით მიმავალი შხვართი გოგო შენიშნა. მანქანა გააჩერა, პარკიდან ბოთლი ამოწია და დაანახვა.

– გავისეირნოთ?

ჯეკს გაუკვირდა, როდესაც ის მანქანაში ჩაუჯდა.

– ამის დაცლაში დაგეხმარები, ოღონდ არანაირი მოჩოჩება და ფათური, მისტერ.

– არა, რას ამბობ.

ახლა ნორმანდის ქუჩას 35 მილის სიჩქარით მიუყვებოდა დარბაისელი მოქალაქე, მსოფლიო კლასიფიკაციის ქვემძიმე წონის მესამე ნომერი. წამით მოუნდა ეთქვა გოგოსთვის, მანქანაში ვის ეჯდა, მაგრამ აზრი შეიცვალა, მისკენ ოდნავ გადაიხარა და მუხლზე ხელი მოუჭირა.

– სიგარეტს მომაწევინებ, მისტერ?

ცალი ხელით კოლოფიდან წკიპურტით ერთი ღერი ამოაგდო, თან მანქანის სანთებელას მიაჭირა. და როდესაც ის ამოხტა, ცეცხლი თვითონვე მოაკიდებინა.

ინგლისურიდან თარგმნა

თეიმურაზ ჭოჭუამ

სალომე სანდროშვილი

დასასრული

მე ვუმკლავდები ამ სიჩუმეს,
დანას მუცელში,
მაგრამ არ ვამბობ და არ ვკივი,
როგორც წესია.
ყველას ჰგონია, უდარდელად გადაგიტანე,
რადგან მე მათთან ერთხელაც არ დამიკვნესია. და რა იციან...

ჩვენ ორს შორის შენ მოგხვდა მხოლოდ,
ჩემი ცრემლების მწარე მჟავა, კანი დაგიწვა,
მე კი, არ გავთქვამ ბოლო სიტყვებს რაც პირში შემრჩა,
შენ დაგკარგე და სიამაყის არ ღირს გარისკვა.

რა უცნაურად ლამაზია ამ გრძნობის ქრობა,
შენი სახელი, წარსულში რომ ჩემად ვიტარე,
ახლა ვივიწყებ, რადგან აზრი აღარ ჰქონია,
მარადისობას... შენ ხომ მაინც ვერ ამიტანე.

არ გავუკიდებ არც სიგარეტს ჩუმი ძახილით,
სახე არ იმჩნევს, გული კიდევ დამალულია,
შენ რომ წახვედი, ველარაფერს ვიძახდი სუსხით აღვსილი
მხოლოდ დავიკივლე – ალელუია...

ისე ჩუმად, რომ მეზობლებმაც კი ვერ გაიგეს,
ისე ჩუმად რომ არც ამბის მთქმელს გაუსკდა ძარღვი,
აღარ უნდაო შენთან ყოფნა, სხვას დააბარე,
მე გავიცინე-არ უნდა და მაგისი კარგიც...

მალე გამივლის. ის ფოთოლიც მალე ჩახმება
და ყველაფერი დალაგდება ბოლოში როცა
თამამად ვიტყვით, რომ დავცურეთ
მკვდრების მდინარე
და რაც კი იყო ჩვენ ორს შორის, ნამდვილად მორჩა.

და გაიცინებს ერთი-ორი შიკრიკი ჩუმად,
და შეამოწმებს, რატომ მჯერა ასე ძალიან

...რადგან ვიცი რომ ხვალ მეტროთი ვიმგზავრებთ ერთად
და ისე მოხდა, რომ საერთოდ არ მიხარია...

***

დამარწმუნე, რომ ისევ გიყვარვარ,
თორემ გავგიჟდები.
ვიქნები ქარში და ვიქნები ყინვაში,
ოღონდ შენი მჯეროდეს.
დამარწმუნე, რომ გიყვარდი მაინც,
ღირსება შემინახე,
მითხარი, გამიმეორე, გამიმეორე,
გამიმეორე...
დამარწმუნე, რომ არ გაცივდა შენი სიყვარული,
არ გასიძულვილდა,
დამარწმუნე, რომ შეზიზღება მხოლოდ ნიღაბია,
გეხვეწები,
დამარწმუნე, რომ თუ ოდესმე ზეცა ჩამოწვება
სამოთხეში მაინც შევრიგდებით.

თავზე დამაწვიმდა. ქუჩაში ვიდექი,
ბოლოს როცა გნახე
გალუმპული,
კბილები მტკიოდა, ძვლები მტკიოდა, მტკიოდა ძარღვები,
რადგან მე დავიჯერე, რომ შენ მიღალატე, ხმა ამოიღე!

არაფერს არ ჰყვები...

დამარწმუნე, რომ ისევ გიყვარვარ,
თორემ გავგიჟდები.
ვიქნები ქარში და ვიქნები ყინვაში,
ოღონდ შენი მჯეროდეს.
დამარწმუნე, რომ გიყვარდი მაინც,
ღირსება შემინახე,
მითხარი, გამიმეორე, გამიმეორე,
გამიმეორე...

გრიგოლ შონია

ფიქრები

მეგობარი მოცავებიდან

რატომ მაწვალებთ, ჩემო ფიქრებო,
ხედავთ, მივსულვარ სამარის კართან,
ან რატომ ტირის ეს ნაზი სული,
თუ მადლი არის სიკვდილი მართლა.

რა ლამაზია სამყარო ირგვლივ,
უკიდეგანო, არმცნობი ზღვართა,
და შიგ ჩაწნული სიცოცხლე შენი,
აქ ყოფნის ნება რომ გქონდეს ნაღდად.

ზუნტლიანო და დაუბანელო,
შენი „თოკებით“ ვინა თქვა დაბმა,
ხარი და კავი, რაც გაბადია,
დარჩება მარად ნუგეშად კაცთა.

***

მოწყენილობა, მოწყენილობა,
მოწყენა – სოფლის მუდმივი სევდა,
როგორ გვიბიძგებს მომავლისაკენ,
დღეს რასაც მხოლოდ უფერულს ვხედავ.
საზრდო ლოთების, ნარკომანების,
ხულიგნების და კრიმინალების,
გადმობირებულ ახალ-ახალი
ნირშეუცვლელი ნაძირალების.

ფიქსირებული ჩვენი ცხოვრების
ნაჭრილობევთა შემავსებელი,
საწყისი ყოვლის განვითარების,
მსოფლიო სევდა განუზომელი.

ზენი

როგორ გავუძლო მე უმისობას,
ჯადოსნურია სოფელი ზენი.
მიმოფანტული ეზო-სახლები,
აქ ჩაკარგულა ბავშვობა ჩემი.

ვინ მოიფიქრა, სად გაგონილა,
მიდამო ასე დაცარიელდეს,
გაქრნენ ხატულა გოგო-ბიჭები,
არ ამშვენებენ ზღაპრულ სავანეს.

მიდამო არა, ეს მე ვარ მხოლოდ,
შემორჩენილი უსაზღვრო სივრცეს,
წამოწოლილი და მარტოხელას
ცრემლები თვალის უპეს რომ მივსებს.

დამშვიდებული და უდარდელი,
ვაბოლებ ნელა თიხის ყალიონს,
ზეიმის დღეზე რომ მაჩუქეს თანატოლებმა
დიდი ხნის წინათ, როდის, არ მახსოვს.

აღარც ბავშვობა, არც მეგობრები,
დღევანდელობა და მომავალი,
მხოლოდ უაზროდ სივრცეში მზერა
შემომრჩენია იმედად ხვალის.

ცოფრვზე

ვუძღვნი ჩემს ოთხმოციანებს

ოთხმოციანებს გვადღეგრძელებენ,
ბიჭობა ჩვენი გადასცდა ამ ზღვარს,
არას დაგიდევთ დრო-ჟამის ქროლას,
ვჯახირობთ, თითქოს მიწაზეც ვდგავართ.

ეს – ერთი სიტყვით, საქმე სულ სხვაა,
წუხელ მივენდე იმას და ამას,
მერე გვერდზე ძლივს გადავბრუნდი და
ასე გადვურჩი მოწეულ ამბავს.

და მაინც ღამით შევწუხდი ძლიერ,
დილით კი ცოლი მისწორებს საბანს,
და მაიმედებს, ასაკიაო,
ნუ წუწუნებო, ბავშვების გაზრდამ.

ოთხმოცს გადავცდი, დიდი ხანია,
გამგზავრებაზე ფეხს ვითრევ ლამის,
ბავშვობა ჩემს ოთხმოციანებს
ეგალობა უკვე ტოროლს.

ბოლოდ

ეს ბოლოდ ბოლოდ ბოლოდ
ბოლოდ ბოლოდ ბოლოდ
ბოლოდ ბოლოდ ბოლოდ

უანგაროდ დახარჯული სიცოცხლე

ასი წელი შესრულდა ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, მთარგმნელის, ისტორიკოსის, მრავალი წიგნის ავტორის, იაკობ გოგებაშვილის, შიო მღვიმელისა და „საგურამოს“ პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენოსანი ბავშვთა გულის მესაიდუმლის – დოდო ხიმშიაშვილის დაბადებიდან.

ქალბატონი დოდო დიდგვაროვანთა უბრწყინვალეს ოჯახში დაიბადა 1923 წლის 15 ივნისს. მამა – ალექსანდრე ხიმშიაშვილი, არაგვის ერისთავთა შთამომავალი, უძველესი გვარის წარმომადგენელი, პროფესიით ფარმაცევტი, ხარკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გახლდათ. დედა – თამარ მამულაიშვილი კი, ბაგრატიონ-დავითაშვილთა შთამომავალი, აკაკი წერეთლის ნათესავი იყო.

დოდო ხიმშიაშვილი თბილისის პირველი სკოლის დამთავრების შემდეგ, 1941 წელს გახდა უნივერსიტეტის სტუდენტი და როგორც თავად ამბობდა: „მაშინ შევედი უნივერსიტეტში, როცა ეგენი წავიდნენ და უნივერსიტეტი სასაფლაოს დაემსგავსაო“. საყვარელი ძმის გავლენით, ქალბატონმა დოდომაც დაიწყო წერა, მაგრამ რეპრესირებული ოჯახის შვილი, ვერ ბედავდა თავისი ნაწარმოებების სხვებისათვის ჩვენებას. 1950 წელს, ოჯახის ახლობელმა, ცნობილმა ლიტერატორმა ლევან ასათიანმა ურჩია დოდო ხიმშიაშვილს, მეუღლის გვარით გამოექვეყნებინა მოთხრობები. მართლაც, დაიბეჭდა „ჭრელი ხელთათმანები“, რუსულადაც ითარგმნა, გადაიცა რადიოთი და ავტორად დოდო ვადაჭკორია დასახელდა, მაგრამ ახალგაზრდა მწერალთა მე-2 ყრილობაზე, ერთ-ერთმა ვაიპოეტმა, ქალბატონი დოდო დაასმინა და განაცხადა, რომ ამ მოთხრობის ავტორი სინამდვილეში ხიმშიაშვილი იყო. აქ დასრულდა წარმატებით დაწყებული ლიტერატურული აღმაფრენა.

ამის შემდეგ, დოდო ხიმშიაშვილმა „თავი შეაფარა“ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს (ამჟამად მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე), სადაც, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანები, პატრიოტული სულისკვეთებითა და ეროვნული თვითშეგნებით ზრდიდნენ ქვეყნის მომავალს – ახალ თაობას. წლების განმავლობაში, დოდო ხიმშიაშვილიც ამ პატრიოტ აღმზრდელთა „ამქარში“ ირიცხებოდა და ისტორიის კაბინეტის პედაგოგად მუშაობდა. სწორედ აქ შეხვდა იგი თავისი ძმის მეგობარს, იმ დროს საბავშვო ჟურნალ „დილას“ რედაქტორს, პოეტ რევაზ მარგიანს. რევაზ მარგიანმა დოდო წაახალისა, წააქეზა საბავშვო ნაწარმოებების საწერად და სამუშაოდ მიიწვია ჟურნალ „დილაში“, სადაც ჟურნალის რედაქტორის მოადგილე იყო, სიკეთითა და სათნოებით

დოდო ხიმშიაშვილი – 100

გამორჩეული ქალბატონი, ყველასათვის საყვარელი პოეტი მაყვალა მრევლიშვილი, რომელიც მოკლე ხანში დოდო ხიმშიაშვილის მეგობარი და მისი ლიტერატურული ცხოვრების სულისჩამდგმელი გახდა.

ქალბატონი დოდოს მეუღლე, სიკო ვადაჭკორია, არაჩვეულებრივი პიროვნება იყო და ჟურნალ „თეატრალურ ხელოვნებას“ რედაქტორობდა. იგი მხარში ედგა არაერთი ტრაგედიის გადამტან ძვირფას მეუღლეს და ყოველმხრივ უმსუბუქებდა ცხოვრებას.

დოდო ხიმშიაშვილი, 2017 წლის 22 დეკემბერს, 94 წლის ასაკში განერიდა ამ წუთისოფელს და გადასახლდა უკვდავებაში, მაგრამ დატოვა დიდი ოჯახი – ორი ქალიშვილი – თათული და ზიზი, მათგან კი შვილიშვილები და შვილთაშვილები, რომელთაც კარგად ესმით სახელოვანი წინაპრების ზრახვებისა თუ მისწრაფებების მნიშვნელობა და ღირსეულ პატივს მიაგებენ მათ ხსოვნას.

უფლის წყალობით, მეც მერგო ქალბატონ დოდო ხიმშიაშვილთან მეგობრობის ბედნიერება, იგი არაერთხელ ყოფილა სტუმრად ჩემს საავტორო რადიოგადაცემაში – „ჩვენი საგანძური“, სადაც არა მხოლოდ ქართულ საბავშვო მწერლობაზე გვისაუბრია, არამედ მრავალი ღირსეული პიროვნებაც გაგვიხსენებია და ათწლეულების განმავლობაში ტაბუდადებული სახელებიც გამოგვიმზეურებია. ბუნებრივია, მათ შორის ქალბატონი დოდოს უსაყვარლესი ძმა კოტე ხიმშიაშვილი და მისი სიკვდილის ძმებიც იყვნენ, რომლებიც სამშობლოს სიყვარულისთვის დაუნდობლად გაწირეს მაშინდელი სისტემის ჯალათებმა.

მეამაყება და ბედნიერებასაც მგვრის იმის განცდა, რომ ჩემი ინიციატივით საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართა ქალბატონი დოდოს დაბადების 90 და კოტე ხიმშიაშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები, რამაც დიდი სიხარული განაცდევინა ძვირფას იუბილარს და სიცოცხლის ბოლომდე ისეთ მადლიერებას გამოხატავდა ჩემ მიმართ, რომ ვიხსენებ, ახლაც ვწითლდები.

ასეთი პიროვნებები მარადიულად რჩებიან ჩვენს ხსოვნაში, რადგან ლევან გოთუას სიტყვებით რომ ვთქვათ, „გარდაცვლილები აღარ ბერდებიან, ისევე როგორც აღარ ქრება მათი მიერი ტკივილი და აღარ ხუცდება მათი ხსოვნა“.

სწორედ ამ სიტყვების დასტური გახლდათ ის ფაქტი, რომ 2020 წლის 15 მაისს, თბილისში, ჩუღურეთის რაიონში ერთ-ერთ ქუჩას, დოდო და კოტე ხიმშიაშვილების სახელი მიენიჭა.

ივანე ჯაფარიძე

სიკეთის მანათობელი სხივი

ქართულ საბავშვო ლიტერატურასთან და ქართველ საბავშვო მწერლებთან ურთიერთობა – ცხოვრების საუკეთესო საჩუქარია ჩემთვის. ბედისწერამ ასე დაალაგა, საბავშვო და სადიდო ლიტერატურის სფერო თანაბრად ახლობელი ყოფილიყო. მაგრამ საბავშვო ბავშვივით მეტ სიყვარულს და ემოციას ითხოვს და გიბრუნებს კიდეც ათმაგად, თუ ბავშვების და თუ ძვირფასი ავტორების სახით, ვისთანაც ურთიერთობა ცალკე ბედნიერებაა, რადგან ისინი არიან ადამიანები მარადიული ბავშვობის უფლებით! ეს წოდება კი ყველას როდი ერგება ბედისგან?!

მეოცე საუკუნის მიწურულს, 1997 წელს ჩემი პირველი პუბლიკაცია ჟურნალ „დილაში“ დაიბეჭდა. მას შემდეგ აგერ მეოთხედი საუკუნისა გავიდა და ერთი დღეც არ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში ისეთი, რომ ამ საქმის ახლოს არ მეარსება, ფიქრით, საქმით, მოქმედებით ეს სფერო არის ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო და საინტერესო სამყარო, რომელშიც მსოფლიო საბავშვო კლასიკიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე ყველაფერი ახლობელი და მშობლიურია, მით უფრო ქართველი ავტორები და მათი წიგნები. მაყვალა მრევლიშვილი, რომელიც არასოდეს მინახავს პირადად, სულ ჩემი უახლოესი ადამიანი მგონია, თითქოს ცოცხალი ურთიერთობა მაკავშირებს მასთან დღესაც, ქეთევან ჭილაშვილი, ჩემი პირველი მასპინძელი ამ დარგში და დამკვალიანებელი, ნინო ბეზარაშვილი, გივი ჭიჭინაძე, ცირა ქიტიაშვილი, გუგული ტოგონიძე, მერი ბოლქვაძე, ლიდა სტვილია, გიორგი წერეთელი, ვაჟა ყუბუსიძე და ვინ აღარ... მაგრამ ამ დიდებულ ადამიანთა შორის არსებობდა ერთი გამორჩეული ქალბატონი, ჩვენი დეიდა დოდო – დოდო ხიმშიაშვილი რომლისთვისაც გვინდოდა მიგვებაძა, ვყოფილიყავით მასავით მშვენიერი, კეთილშობილი, ესთეტი, არისტოკრატული, ლაღი, იუმორის გრძნობით, დიდებული მთხრობელი და კომპანიონი...

დეიდა დოდო – ასე მივმართავდით მას და ამის უფლებას ის თავად გვაძლევდა. ის იყო დიდი გულშემატკივარი არა მხოლოდ საბავშვო ლიტერატურისა, არამედ ყველა ქართული საქმისა, და ზოგადად, ადამიანისა.

მე ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია გავიხსენო ულამაზესი დღეები, როცა ერთად ვესწრებოდი კოტე ხიმშიაშვილზე შექმნილი წიგნის წარდგენას ლიტერატურის მუზეუმში, ან როცა თბილისში კოტე ხიმშიაშვილის სახელი მიანიჭეს ერთ-ერთ ქუჩას. როცა მას მასპინძლობდნენ სკოლები, ან ვხვდებოდით ჟურნალ „დილის“ რედაქციაში. ჩვენ ერთად ყოფნა მოგვიწია წყალტუბოს ახლოს სოფელ გვიშტიბის სკოლაში, თბილისის სკოლებშიც. ლიტერატურულ ღონისძიებებზე, რომლებსაც ირმა მალაციძე და მე – საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის დამაარსებლები ვმართავდით. ასევე ჟურნალ „დილის“ მიერ გამართულ საღამოებსა და შეხვედრებზე ის ყოველთვის იდგა ახალგაზრდების გვერდით. მას უყვარდა და უხაროდა ეს საქმე, უყვარდა ადამიანი, უყვარდა კოლეგა და უხაროდა მისი წარმატება. ყოველთვის გვეხმიანებოდა ხოლმე ჩვენი პუბლიკაციების გამო და შთაბეჭდილებებს გვიზიარებდა.

დოდო ხიმშიაშვილის საბავშვო წიგნებს, საბავშვო მოთხრობებს, ზღაპრებს, თარგმანებს დღესაც და სამომავლოდაც არ დაუკარგავს თავისი ლიტერატურული ღირებულება.

ასე მგონია, ადამიანები მართლა უხილავი ძაფებით ვართ დაკავშირებული ერთმანეთთან და სამყაროს რომელ მხარეზეც უნდა ვსახლობდეთ, მაინც გვესმის ერთმანეთის და მაინც ვგრძნობთ ერთმანეთის გულის სითბოს... ხოლო სინათლეს, რომელსაც ასხივებს ადამიანი ამქვეყნიურ არსებობაში, არასოდეს ეცრიცება შუქი. ადამიანი სწორედ ამ სიკეთის მანათობელ სხივად რჩება, ატარებს თავის თავში წინაპართა მადლს და მომავალსაც უტოვებს ამ მადლის ძალას. ასეთი იყო დეიდა დოდო... დიდი ოჯახის ძვირფასი დედა და დიდედა, დიდი ლიტერატურული ოჯახისა და სამეგობროს ღირსეული წევრი, შიო მღვიმელისა და იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი. უკვე 100 წლის გამხდარა. ლამაზი, ჭაღარა ქალბატონი, საინტერესო შემოქმედი, რომელიც ზუსტად მას ჰგავდა ვინც იყო – საბავშვო მწერალს!

მარიამ წიკლაური



კოტე და დოდო ხიმშიაშვილები

ენძელების ამბავი

ასი წლის მწერალი, ერთი კალთა სიყვარული და ხსოვნა უფროსი ძმისა, რომელსაც ენძელები გულით დაჰქონდა...

მძიმე და ტკივილიანი ცხოვრება განვლო. საბჭოთა რეპრესიები უშუალოდ მის ოჯახს შეეხო და ერთადერთი ძმა — ნიჭიერი მწერალი და მოაზროვნე კოტე ხიმშიაშვილი იმსხვერპლა.

ძმასავით მწერლობის ნიჭი მასაც დაჰყვა. მისი კალამი ათეული წლის განმავლობაში საბავშვო მწერლობას, სიკეთეს და სიყვარულს ემსახურებოდა…

განსაკუთრებით ღელავდა 2017 წლის 20 თებერვალს, საქართველოს მწერალთა სახლში კოტე ხიმშიაშვილის დაბადების 100 წლის საიუბილეო საღამოს წინ... სევდამოძალებული 94 წლის საბავშვო მწერალი, დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია ძმას იხსენებდა:

– ეს თარიღი – 100 წელი ჩემთვის ძალიან უჩვეულოა, ვერ წარმომიდგენია, რომ ჩემი ძმა, რომელიც 25 წლის წავიდა ამქვეყნიდან, 100 წლისაა. ხშირად მიფიქრია, რომ ამ შეთქმულთა ჯგუფს სალოცავად ჰქონდა ის, რაც ჩვენ გვაქვს სალოცავებში: უფალო, დიდება შენდა, ღმერთო, გაამთლიანე და გადაარჩინე საქართველო“!

არ მეგულება ერი, რომ ეს სატირალი ჰქონდეს დასაბამიდან დღემდე. ეს სატირალი, წუხილი ჰქონდათ ამ ახალგაზრდებს, და ისინი უბრალო ახალგაზრდები არ იყვნენ, ესენი იყვნენ უნივერსიტეტელები, შესანიშნავი სტუდენტები და წარმატებული ასპირანტები. ყველა მათგანს უკვე დისერტაცია ჰქონდა მზად დასაცავად. ბრწყინვალე ახალგაზრდები, დიდი პატრიოტები, დინჯები, ლამაზები, ერთმანეთის და ქვეყნის მოყვარულები იყვნენ...

როგორც უწოდებდნენ, ანტისაბჭოთა შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით, სულ 33 ადამიანი დააპატიმრეს. აქედან 17 კაცი ერთად დახვრიტეს. რაც 1942 წლის ოქტომბრის 17-ს მოხდა, ნამდვილი გენოციდი იყო...

– კოტე ხიმშიაშვილს ენძელები გულის ჯიბით დაჰქონდა...

– კოჯორში გაზაფხულის მოსვლა რაღაც საოცრება იყო ჩემთვის და კოტესთვის. ჩვენ დავრბოდით, ვთამაშობდით იქ. პურის დიდი ყანა იყო და თოვლი იდო... პატარა ჭები ჩნდებოდა თოვლში და ვიცოდით, რომ იმ ჭებში ენძელები იქნებოდა ამოსული. ახალ გაზაფხულზე, ჯერ თოვლი რომ არ არის დამდნარი, მივიდოდით ხოლმე და ფესვიანად ვიღებდით ამ ენძელებს, სახლში მოგვქონდა. ბებიას სილის მსგავსი მიწა ჰქონდა გამზადებული და იმაში ჩააწყობდა ხოლმე.

ორ კვირას ცოცხლობდა ენძელები. არაჩვეულებრივი რიტუალივით გვქონდა ამ ენძელების სახლში მოტანა, ისე გვიყვარდა ეს ყვავილი. კოტე მეათე კლასში იყო, კოჯორი რომ დავტოვეთ... და ეს – ენძელების ამბავი ყოველ გაზაფხულზე ხდებოდა...

ამ საუბრიდან მალევე გარდაიცვალა... რა აღარ გადაიტანა, სანამ კოტეს რეაბილიტაცია მოხდებოდა. სიცოცხლის ბოლო წლებში გულდაწყვეტილი იყო, რომ ვერ მიაღწია, 17 ოქტომბრის სამგლოვიარო დღედ გამოცხადებას, დღისა, როდესაც სამშობლოზე გულანთებულ 17 ახალგაზრდას სასტიკად გაუსწორდა რეჟიმი...

ტკივილს წერით და სიკეთით იქარვებდა... წერდა სოფელზე, სიყვარულზე, მადლიერებაზე, კეთილშობილებაზე... მწერლის ერთი კალთა სიყვარული კი მადლს ამრავლებდა, მეგობრობას და ურთიერთგატანას ასწავლიდა ბავშვებს, სამშობლოს მიწა-წყლის სილამაზეს აზიარებდა, მზისა და ცისარტყელების ნათელს აგროვებინებდა...

თვითმფრინავი რომ ტოვებს თეთრ კვალს, ასე ლამაზად გაიხაზა დოდო და კოტე ხიმშიაშვილების სახელით ქართული მწერლობის კაბადონი...

თამარ შაიშმელაშვილი

მაია ცერცვაძე

ჩვენი ლეღვი

ვირჩევ, ვირჩევ ყველა ხეში,
ლეღვს ხეშეშას, მოცლილს,
სოველს – რძიანს, კორძიანს,
ძირებს მისას ვკოცნი.

ემზარ კვიტაიშვილი

საყვარელ რძალს, ილიას ქვრივ ბარბარეს დიდად შეხუმრებული გრიგოლ ორბელიანი, მასა და მის ერთადერთ ვაჟს, გიორგის ერთადერთ სანიმუშო მეურვედ და შემწედ რომ მოვლენოდა, ხშირად უშლიდა ევროპაში მოგზაურობას.

„აქედან მილანამდის იარე, იარე და კუმისის ლეღვი კი ნახე; აბა, რას დარბიხარ ტყვილად“-ო – უთვლიდა ბარბარეს მზრუნველი მაზლი სამშობლოდან.

მილანისა და კუმისის ლეღვისა, აბა, რა გითხრათ, მაგრამ წერილის ამ პასაჟმა კი ბებიაჩემის ძველთბილისურ ეზოში რომ ლეღვის ხე ხარობდა, ის კი მომაგონა.

ჩვენი ლეღვი მთავარ სახლს მოშორებული იმ მომცრო შენობის წინ იდგა. გამუდმებით მდგმურებს რომ ეკავათ ხოლმე. ხის მსხვილი ვარჯი, ამოტეხილი ასფალტის კვადრატში მიწიდან ამოზრდილი, ლამის ზედ ეკვროდა შენობის წინა კედელს, მეჩხერი ზეატყორცნილი ტოტები კი რუხი თიხოვანი ფიქალის მის სახურავს თითქმის მთლიანად ზედ ევლებოდა და ფარავდა.

ჩემი ფიქრით, თუ რომელიმე ხეხილს კეთილშობილ ეთქმის, იმათში ლეღვიც უნდა იყოს.

ლეღვის ხე ბიბლიური ხეხილია, წიგნთა წიგნში, დაბადებიდან ახალ აღთქმამდე ხშირად ხსენებული და შემკობილი იგავური თუ უბრალო ენით.

„ლეღვი ამას მოგახსენებ: ტკბილი ვარ და შვენიერი,
სამოთხიდამ გამოსული, მე ძირი მაქვს ნებიერი,
ქრისტე ღმერთმან მომიწონა, მე საჭმელად მომყო პირი,
თუ გაძღების ჩემით კაცი, მოეცემის მაშინ ფერი“ - ასე შეუმკია ის ჩვენს მეფე-პოეტს თავის „ხილთა ქებაში“.

მახარებლები ლეღვს ზაფხულის მოწურვის მაცნედ სახავენ:

„ხოლო ლეღვსაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩჯან, და გამოვალნ ფურცელი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული“-ო, მარკოზმა.

ჰოდა, ჩვენც, ბავშვები მოუთმენლად ველოდით დადგომას, ბებიაჩემის თქმით, ჯერ თიბათვისა, როცა ადრეული ნაყოფი გამოჰქონდა ხეს და მერე მარიამობისთვისა, როცა მეორედ მოისხამდა ხოლმე ის უგემრიელეს შავ ნაყოფს.

იშვიათად მიგემია ისეთი გემრიელი, არომატული და სურნელოვანი ხილი, როგორიც ჩვენი ლეღვი იყო. უტკბესთან ერთად ულამაზესიც იყო მისი ნაყოფი. შავი ერქვა, მაგრამ უფრო მოლურჯო-იასამნისფერი გადაჰკრავდა. გული მწყდება იმაზე, ხატვა რომ არ მეხერხებოდა, ფოტოგრაფიამ კი მხოლოდ დიდობაში გამიტაცა, თორემ ლეღვის კრეფის ის მომხიბლავი სურათები ქაღალდზე უნდა შემომენახა. ფერწერულად ხომ შეუდარებელია და მრავალთა ნატურმორტს შვენის გუდა თუ მომრგვალო ლეღვის გროვები, მისი ჭრელი, დამსკდარი კანი და გადახსნილი ელვარე ნაყოფი, წითლად რომ ღუის შიგნიდან.

დაკრეფილ ხილს მეზობლებსაც მოვუკითხავდით, მერე კი ბებიაჩემი მისგან ნაირ-ნაირი ნუგბარის კეთებას შეუდგებოდა ხოლმე – ჩირს, ჯემსა და მურაბას ამზადებდა, რომ კარგა ხანს გვეტკბარუნებინა პირი.

ამას წინათ ჩვენს ძველ ეზოს ვესტუმრე. ლეღვის ხე იქ აღარ დამხვდა. გამხმარიყო და ბიძაჩემს, იქაურობის მეპატრონესა და ავან-ჩავანს, მთელი სიცოცხლე მის ყოველ ფოთოლს რომ შეჰხაროდა და ეალერსებოდა და დღეს ჭირთა უფრო ძნელი სენი რომ მოსძალებია, მოეჭრა და მის ადგილზე შავი ქლიავის ხე დაერგა. ლეღვის უძრავი, მსხვილი და კორძიანი ვარჯის ნაცვლად, იმ კვადრატში ახლა ქლიავის ნაზი ტანი თრთოდა, მისი განიერი ფოთლების ნაცვლად კი ხის წვრილი ფოთლები შრიალებდა. ხეხილს უკვე მოესწრო და ერთი-ორჯერ ნაყოფიც მოესხა. ისიც მშვენიერია, განა არა, დიდად მარგებელი ხილიც აქვს, მისი ქებაც უთქვამთ პოეტებს და მისგან შობილა თუნდაც ქართული პოეზიის ერთი უკვდავი შედარებაც, მაგრამ...

ვისი ხმა არის?

ახლახან წიგნად გამოიცა ფრანც კაფკას დღიურები, ქართულად ჩინებულად თარგმნილი რუსუდან ღვინეფაძის მიერ.

დღიურებში ჩართულია მცირე ფრაგმენტი სასიმამროსთან მიწერილი მწერლის ერთი ბარათისა:

ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები

„ჩემთვის აუტანელია ჩემი სამსახური...

ჩემთვის აუტანელია ჩემი სამსახური, რადგან ის ეწინააღმდეგება ჩემს ერთადერთ მოთხოვნილებას და ჩემს ერთადერთ პროფესიას – ლიტერატურას. რადგან მე მხოლოდ ლიტერატურა ვარ და არც შემიძლია და არც მსურს, სხვა რამ ვიყო. ამიტომ ჩემი სამსახური ვერასოდეს გამიტაცებს, მაგრამ სამაგიეროდ, შეუძლია, სრულიად დამღუპოს... ალბათ, მკითხავთ, რატომ არ ვანებებ თავს ასეთ სამსახურს და რადგან არავითარ ქონებას არ ვფლობ – რატომ არ შევეცდები, ლიტერატურული მუშაობით ვირჩინო თავი. ამაზე შემიძლია მხოლოდ უბადრუკი პასუხი გაგცეთ, რომ არ შემწევს ამის ძალა და ჩემი მდგომარეობის გათვალისწინებით, უმალ შევეწირები ჩემს სამსახურს, თან შევეწირები საკმაოდ მალე...“

წავიკითხე თუ არა ეს სტრიქონები, უმალ ძლიერი სუსხი ვიგრძენი, თითქოს სასტიკმა ქარმა დამქროლა. მერე შორიდან, ძლივს გასაგონად მომესმა ნაცნობი სიტყვებიც:

„я чиновник экспедиции суда и расправы... განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა... ... круг чиновников не выгоден для образования нравственности ...“

კითხვა განვაგრძე:

„მე ვცხოვრობ ჩემს ოჯახში, შესანიშნავ და მოსიყვარულე ადამიანებს შორის, უფრო უცხო, ვიდრე რომელიმე უცხო ადამიანი. უკანასკნელი წლების განმავლობაში დედისთვის დღეში საშუალოდ ოციოდ სიტყვა თუ მითქვამს, მამისთვის – მისალმების გარდა თითქმის არაფერი. ჩემს გათხოვილ დებსა და სიძეებს საერთოდ არ ველაპარაკები, თუმცა მათზე გაბრაზებული როდი ვარ. მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ არაფერი მაქვს მათთან სალაპარაკო“.

ჩავიკითხე ესეც და უკვე გარკვევით გავიგონე:

„არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მომძულებია ამდენი მარტოობით. შენ წარმოიდგინე მაიკო სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში!“

ერთი ავსტრია-უნგრეთის, მეორე რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი იყო, პირველზე თითქმის მშვიდი ათეული წლით უფროსი. ერთი მოდერნისტი, აბსურდისტი მწერალი გახლდათ, მეორე – რომანტიკოსი, და მაინც როგორ ჰგავს ერთმანეთისას მათი სულის რხევები – მშობელ მამებთან რთული ურთიერთობა, მოუწყობელი ცხოვრება, ტრაგიკული ბედი და ნაადრევი აღსასრული... ორი მარტოსული გენიოსი, ორი მონათესავე სული...

უხმო ჯალათი ბაგრატიონთა

სკვითთ წაგვართვეს მთლად ქვეყანა

იოანე ბატონიშვილი

ხშირად მიფიქრია, რა მოხდებოდა ნეტავ, ორი საუკუნის წინათ რუსეთს ჩვენი ქვეყანა რომ არ დაეპყრო და მისი სამეფო ტახტი არ გაეუქმებინა, როგორ განვითარდებოდა ან პოლიტიკური მოწყობის როგორი ფორმა ექნებოდა მას? კონსტიტუციური მონარქია? რესპუბლიკა? ძნელი სათქმელია. ტანში მზარავს იმის წარმოდგენაზე, რომ ჩვენსასაც შეიძლება ის საშინელება დატრიალებულიყო, რევოლუცია რომ ჰქვია. თუ რუსეთის ამ დიდ ბოროტებაზე რაიმე კარგი საერთოდ ითქმის, იქნებ ოდენ ის, რომ ქართველ მეფე-დედოფლებს სხვათა მსგავსი შავბედი ასცდათ და მათ ნიკოლოზ მეორისა თუ მარია ანტუანეტას მწარე ხვედრი არ გაიზიარეს.

ბატონიშვილები და სამეფო ოჯახის სხვა წევრები სამუდამოდ გადაასახლეს რუსეთში, საიმპერატორო კარმა მათ იქ საცხოვრისი და ტიტულები უბოძა, არცთუ მცირე პენსიებიც დაუნიშნა და იფიქრა, რომ ისინი უცხოობაშიც ჰპოვებდნენ სიამეს.

გრიგოლ ორბელიანს, თავადაც მეფის შთამომავალს, ახლო მეგობრობა და მიწერ-მოწერა ჰქონდა პეტრეს ქალაქში იძულებით გადახვეწილ ნათესავ ბატონიშვილთა ოჯახებთან. პოეტის გადმოცემით, ბაგრატიონებს და მათ შთამომავლებს უცნაური ხასიათი, გუნება-განწყობილება და ახირებანი დასჩემებიათ.

„ჩემი ქალბატონი როგორს ქეიფზე ბძანდება? ბაგრატიონთ სევდები, ჟინები ხომ არ გამოსჩენია?“–ო, სწერდა ის ირაკლი ბატონიშვილს და ასე მოიკითხავდა მის მეუღლეს თამარ ჭავჭავაძეს, დედით ბაგრატიონს.

თავის „ძალუას“, ილია ორბელიანის ქვრივს, ბარბარე ბაგრატიონს, ვის მიმართაც მთელი სიცოცხლე ენით უთქმელ თანადგომას იჩენდა, პოეტი ხშირად საყვედურობდა მოკითხვის წერილებზე პასუხგაუცემლობას თუ დაგვიანებას:

„მითხარი, თუ ღმერთი გწამს, რად შესწყვიტე ჩემთან მიმოწერა? რა, გველი მოგართვი შემწვარი? როგორც არ უნდა იყოს, არასა ვნაღვლობ, რადგან, ვინ უწყის ბაგრატიონთა ფანტაზიები და მრავალფეროვნება მათის უცნაურობებისა?“ -ო.

რძლის უყურადღებობით განაწყენებული გრიგოლი ამაზე ბარბარეს დას ოლღასაც შესჩიოდა:

„ჩემს სამს წერილზედ, განგებ რო გავუგ ზავნე მისთვის ნაცნობი პირების ხელით, პასუხი არა მაქვს. ვერ გამიგია, რას ნიშნავს ესა. თუკი ეს ბაგრატიონთა სპლინია, კიდევ არაუშავს, წარმავალი მოვლენაა. ოღონდაც ჯანმრთელი იყოს, ჯანმრთელი“–ო.

ვაი, რომ, არ იყო წარმავალი ბაგრატიონთ ეს სევდები და ჟინები და ეს სპლინი, სულს რომ უხუთავდა სამეფო ოჯახის უთვისო, დაობლებულ წევრებს.

თუ ჩაგივლია ვარანცოვისკენ ანუ ჭადრაკი, გლასე და სხვა

არის ჩვენს ქალაქში ადგილი, სადაც არ ვშობილვარ და არ გავზრდილვარ, მაგრამ მაინც მემშობლიურება. ესაა აღმაშენებლის გამზირის მონაკვეთი მარჯანიშვილის მეტროდან ზაარბრუკენის მოედნამდე. თინეიჯერობაში ამ გზის გავლა ყოველ კვირა დილას მიხდებოდა, როცა მე და ჩემი უმცროსი ძმა ჭადრაკის წრეზე დავყავდით მამას ან ბებიას.

თავდაპირველად იქ შეიყვანეს ჩემი ძმა, რომელსაც თამაშის დიდი ნიჭი აღმოაჩნდა, მე კი მხოლოდ მას ვგულშემატკივრობდი მანამ, სანამ მწვრთნელმა, შესანიშნავმა პედაგოგმა, თავისი საქმისა და ბავშვების ძლიერ მოყვარულმა პავლე ხიზანიშვილმა მამას არ ურჩია, მაინც თან დაგყვებათ და ბარემ გოგონამაც ითამაშოსო. მამაც დაყაბულდა. მართალია, ჩემგან მოჭადრაკე არ დადგა, მაგრამ იმ რამდენიმე წლის წყალობით ვეზიარე ჭადრაკის საოცარ და დიდებულ სამყაროს – წარმოშობის ლეგენდას, ნოტაციას, საჭადრაკო თეორიას, ისტორიებსა და რეალიებს. მოგვიანებით, როცა მუსიკალური შვიდწლედის ზედა კლასები უნდა გამევლო, ამხელა დატვირთვას ვეღარ გავუძელი და ჭადრაკს დავემშვიდობე, ჩემი ძმა კი კიდევ დიდხანს თამაშობდა წარმატებით.

გასეირნება პლეხანოვზე, ჩემი მაშინდელი ბავშვური ემოციები და რეფლექსიები ნათელ მოგონებებად შემომრჩა. მოსვენებას არ მაძლევდა, მაგალითად, იმაზე ფიქრი, თუ ვინ იყო პლეხანოვი და რატომ რგებოდა ესდენი პატივი, რომ მისი სახელი რუსთაველის, ილიას, აკაკისა და ვაჟას დარად, თბილისის ერთ მთავარი გამზირისთვის ეწოდებინათ. მარქსისტიო, კი მიპასუხეს, რომ ვიკითხე, მაგრამ მაინც ვერაფერი გავიგე – განა რა ისეთი მარქსისტი იყო, ვფიქრობდი ჩემთვის, ლენინზე დიდი ხომ არ იქნებოდა, რომ ლენინის სახელობისა ქუჩა გვაქვს და მისი კიდევ ამხელა გამზირიმეთქი. მიკვირდა ისიც, რომ ამ ვიღაც პლეხანოვს გიორგი რქმეოდა – გიორგი მაშინ მე მხოლოდ ქართული სახელი მეგონა, ჩვენს უშუალო წინაპრებსა და ძმასაც რომ ერქვა.

გავცდებოდით თუ არა ქალაქის ძველი, ცნობილი საავადმყოფოს შენობას, „მიხაილოვისად“ რომ უხმობ(დნ) ენ და სინამდვილეში, ისევე როგორც პროსპექტს, მასაც კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილის სახელი დარქმეოდა, სადაც ერთ დროს ქართველ ჰომეროსად წოდებული დიდი მწერალი მკურნალობდა და სადაც სული დალია ჩვენმა უპირველესმა მარტოსულმა მხატვარმა, მივადგებოდით ფართო იტალიური ეზოს რკინის ჭიშკარს. შევაბიჯებდით იქ, ავივლიდით ასიოდე მეტრით მოშორებულ ბელეტაჟის კიბეს და მომცრო წინკარის გავლით აღმოვჩნდებოდით ერთ ვრცელ ოთახში, რომელსაც რამდენიმე ნაწილად კარადა-ტიხრები ჰყოფდა და რომელშიც ჭადრაკის წრე ფუნქციონირებდა...

თუ იქეთობას გზას ჩქარი ნაბიჯით გავდიოდით, აქეთობას, როცა აღარსად გვეჩქარებოდა, მას უკვე დინჯად მოვუყვებოდით. ვტკბებოდი ლამაზი პროსპექტისა და მისი შენობების თვალიერებით. ჩავივლიდით თევზის სპეციალიზებულ მაღაზიას, სადაც ხანდახან შინისთვის ვყიდულობდით რასმე, შემდეგ ქორეოგრაფიულ სტუდიას და ცოტა ხნით მაინც შევიჭყიტავდით ხოლმე ანტიკვარული ნივთების მაღაზიაში იქვე, ლენინგრადის ქუჩის კუთხეში.

იქ იშლებოდა ჩემთვის მეორე ზღაპრული სამყარო უძვირფასესი ძველებურ ვარაყიანჩარჩოიანი სარკეებითა და მხატვრული ტილოებით, სამშვენისებით, ფაიფურის ჭურჭლით, ზარდახშებით, მარაოებით, ლორნეტებით, სამკაულებით... მოგვიანებით, როცა „ჯაყოს ხიზნების“ იმ პასაჟს წავიკითხავდი ხოლმე, თეიმურაზის ასეთსავე სალონში შევლაზე რომ მოგვითხრობს და გაღატაკებული თავადაზნაურობის გასაყიდად გამოტანილ საგვარეულო ნივთებს აღწერს მწერალი, უმალ ეს ანტიკვარიატი დამიდგებოდა თვალწინ.

კვირადღეების ამ დიდ გასეირნებებს აგვირგვინებდა პატარა შესვენება მინერალური წყლების მაღაზიაში, სადაც ჩვენთვის, მოშიებულთათვის ფენოვან ხაჭაპურს ყიდულობდნენ უფროსები და რომელსაც თან ვაყოლებდით... გლასეს, უგემრიელეს გლასეს. კოკა-კოლათი, ფანტათი, სპრაიტითა თუ ნაირ-ნაირი ახლანდელი სასმელით დღეს ასე განებივრებული პატარები ვერც კი წარმოიდგენენ, რა იყო ის ჩვენთვის, საბჭოთა ბავშვებისთვის. ლაღიძის წყლები ხომ გვიყვარდა, მაგრამ დიდად გვეგემრიელებოდა გლასეც, რომელიც თბილისში მხოლოდ ორ ადგილას იყიდებოდა, აქ, მარჯანიშვილის მოედანსა და ლენინის ქუჩაზე, ფილარმონიისკენ მიმავალ გზაზე. გლასე მაინც სხვა იყო, რაღაც უცხო, ღვთაებრივი სასმელი.

ეს უბანი დღეს ის აღარაა, რაც უწინ იყო, ფერი იცვალა და უფრო დამშვენდა, ქუჩებსაც სახელი გადაერქვათ, ჩემს ხსოვნაში კი მაინც ძველებური დარჩა, ისეთი, იმ კვირადღეებიდან რომ გამომყვა... დღესაც მენატრება ჭადრაკი, გლასე და ის პლეხანოვის გამზირი – ჩემი ბალღობის გზა.

სასწაული

ეძღვნება მიხასა და სოფოს

ავადმყოფობის ისტორია გერმანელმა ექიმებმა რომ წაიკითხეს, დაეჭვდნენ, აქ რაღაც შეცდომაა, თორემ ასეთი დიაგნოზით, როგორც წესი, ორ წელზე მეტხანს ვერავინ ცოცხლობსო. როცა აუხსნეს, ყველაფერი ზუსტად ასეა, შეცდომა გამორიცხულიაო, გაოცდნენ, მაშინ ანომალიურ მოვლენასთან ან რაღაც სასწაულთან გვაქვს საქმე, რადგან შეუძლებელია, ადამიანმა ხერხემლის მსგავსი დაზიანებით თექვსმეტი წელი იცოცხლოს და თანაც საღ ჭკუაზე იყოსო. მიხა კი, მართლაც, მეთექვსმეტე წელი იყო, რაც იწვა. მეტიც, მის სანახავად მისულ სტუმარს შემთვრალს გაისტუმრებდა, ხოლო თვითონ ვერაფერს შეატყობდი, ისევე დინჯად საუბრობდა, როგორც სმის დაწყებისას.

საეჭვო „უბედური შემთხვევები“ იმ პერიოდში ხშირად ხდებოდა. შეუძლებელია, დაზუსტებით თქვა, რა შეემთხვა; ყველაფერი ბუნებრივად მოხდა თუ მოუწყვეს. ფაქტია, რომ თვალებში რაღაც შეანათეს, თანაც მაინცდამაინც იმ ადგილას, სადაც მშენებარე კორპუსისთვის საძირკველი ამოეთხარათ, ორიოდე ნაბიჯი უკან გადადგა და თხრილში ჩავარდა. მიხა მაშინ რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე იყო. გაურკვეველია, სასტუმრო *აჭარაში* გამართული ბანკეტიდან ფეხით რატომ ბრუნდებოდა, ტაქსი რად არ გააჩერა, რატომ არ გააცილეს ან ხომ არ გაურიეს სასმელში რაღაც, რამაც მეხსიერება დროებით დაუბინდა. მიხა ზვიადისკენ იხრებოდა, რაც გარკვეულ ძალებს არ აწყობდათ, თანაც მალე მნიშვნელოვან თანამდებობაზე უნდა დაენიშნათ...

მიხეილის პოლიტიკიდან ჩამოშორების მოსურნეებს, ჩემი აზრით, მკვეთრად გამოხატული მოტივებიც ჰქონდათ. *რუსთაველის საზოგადოებაში*, ძირითადად, ინტელიგენცია იყო გაწევრიანებული. გარკვეულ ძალებს კი ზვიადსა და ინტელიგენციას შორის შუღლის ჩამოგდება სურდათ, რათა გავლენიანი პიროვნებები გვერდით არ დადგომოდნენ. მიხეილ არაბულის *მრგვალ მაგიდაში* გადასვლას სხვებისთვის მაგალითის ძალა ექნებოდა, რაც შევარდნაძის მომხრეთათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო.

მიხას სიტყვა ეთქმოდა, ექსტრემალურ სიტუაციებში სწორედ მას აგზავნიდნენ მოსალაპარაკებლად. ასე მოხდა მაშინაც, ეროვნული მოძრაობის ზეობის პერიოდში, ქართულ-ებრაული ურთიერთობების გაფუჭების მიზნით, ვიღაცამ ებრაულ საფლავებს სვასტიკები რომ მიახატა. ისრაელიდან საგანგებოდ ჩამოვიდა ეფრაიმ გური. ოფიციალური მოლაპარაკებების შემდეგ ის და ქართველი ებრაელები *რუსთაველის საზოგადოებამ* მცხეთის რესტორანში დაპატიჟა. დაახლოებით ათ-თორმეტკაციანი სუფრა გაიშალა. თამადად მიხეილ არაბული აირჩიეს. ბუნებრივიც იყო, სიტყვაც უჭრიდა და სასმელსაც იტანდა. შეეძლო, ნახევარი ლიტრი არაყი ერთი მოყუდებით დაელია, მერე კი ეთამადა, სასმელი არც მოეკიდებოდა. უბრალოდ, თანამეინახეებს ფორას აძლევდა, რათა ლხინის დასრულების შემდეგ თანაბრად ყოფილიყვნენ შემთვრალები. ხევსურეთში ჯიხვის ყანწი ჰქონდა მოგებული.

– ქალაქელო ხევსურო, სმა ხომ არ დაგავიწყეს თბილისელებმა? – გაეხუმრა თურმე როშკელი წიკლაური, ვის ოჯახშიც ქეიფობდნენ.

– რაზე დავნაძლევდეთ? სმაში რომ გაჯობო, პაპაშენის ყანწს დამითმობ?

– ვერ მაჯობებ.

– რომ გაჯობო?

– ვერ მაჯობებ.

– მე თუ წავაგე, მაშინ სადაც კი შევხვდებით, ლხინის სუფრა იქნება თუ ჭირის, ყველგან მოგემსახურები, – უთხრა მიხამ.

შეთანხმდნენ. პირობა ასეთი იყო – სამი მოკლე სადღეგრძელოს უფლება ჰქონდათ. ყანწში 0,7 ლიტრი სასმელი ჩადიოდა. სმისას არ უნდა შეესვენათ, არც გული უნდა არეოდათ. იმ საღამოს მიხამ სამჯერ დაცალა ჟიპიტაურით სავსე ყანწი, 2,1 ლიტრი არაყი დალია დაახლოებით 10-15 წუთში. მასპინძელმა ჯიხვის ყანწი წააგო. მოგვიანებით დაინვალიდებულ მიხას მეუღლე, სოფიკო ვარდანაშვილი რომ გარდაეცვალა, ის როშკელი წიკლაური მისასამძიმრებლად თბილისში ჩამოვიდა, ეზოში იდგა თავჩაღუნული, მისასამძიმრებლად არც ადიოდა.

როცა ჰკითხეს, ამხელა გზა რისთვის გაიარე, რატომ არ ადიხარო, უპასუხა:

– როგორ ვნახო ის კაცი ლოგინად ჩავარდნილი, პაპაჩემის ყანწი რომ მომიგო?

იდგა თავჩაღუნული და თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.

იმ საღამოს კი ეფრაიმ გურსა და მიხეილ არაბულს შორის მცხეთის რესტორანში უცნაური დიალოგი გაიმართა.

– ქართველებსა და ებრაელებს ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებს. საქართველო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ებრაელებს არც არბევდნენ, არც ავიწროებდნენ, – თქვა მიხამ.

– რატომ მერე, რატომ არ არბევდით? უნდა დაგერბიათ! – თქვა ოდნავ შემთვრალმა ეფრაიმმა.

– რატომ უნდა დაგვერბია? – გაოცდა მიხა.

– ფეხზე წამოდექი, – სთხოვა ეფრაიმმა, – შენც! – ამჯერად ქართველ ებრაელს მიუბრუნდა. – შენც, მოშე!

მიხა მხარბეჭიანი იყო, სიმაღლით მეტრსა და ოთხმოცდაათ სანტიმეტრზე მაღალი იქნებოდა, მის გვერდით მდგომი მოშე ბავშვს ჰგავდა.

– ახლა ხვდები? – განაგრძო ეფრაიმმა. – ებრაელი მაშინაა ძლიერი, როცა დევნიან. წინააღმდეგობების გადალახვა აძლიერებს. ქართველი ებრაელები კი ვერ განვითარდნენ, რადგან მათ არავინ ერჩოდა, პირიქით, გაზუსტულდნენ. შეხედე მოშეს, განებივრებული ბავშვივითაა. ხევსურებს საუკუნეების მანძილზე ხმლის ტრიალი გიწევდათ, სამშობლოსა და მეფეების დასაცავად. ამიტომ ხარ, მიხა, ასეთი ძლიერი, მოშე კი უსუსურია. ჯობდა, თავის დროზე დაგეჩაგრათ მისი წინაპრები, მაშინ მოშეც შენსავით ძლიერი იქნებოდა. ებრაელობა ყველა იმ ქვეყანაში გაძლიერდა, სადაც დევნიდნენ, თქვენ კი დათვური სამსახური გაუწიეთ.

მიხა და მოშე ერთხანს დაბნეულად იდგნენ, მერე კი მიხვდნენ, ეფრაიმი რომ ხუმრობდა და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ლოგინად ჩავარდნილს საღი აზროვნება ჰქონდა. ყველა პატივს სცემდა. მეტიც, ჭკუასაც კი ეკითხებოდნენ. თბილისის ომის დაწყების წინ მასთან მისულან ზვიადთან დაპირისპირებული პარტიის ლიდერები და უთქვამთ, ომის დაწყებას ვაპირებთ და შენ ვის მხარეს იქნებიო. „სიმართლის“, – უპასუხა მიხამ. მალე სუფრაც გაიშალა. სტუმრებმა ხორცს პირი არ დააკარეს, მარხვააო. „კი მაგრამ, ომის დაწყებას აპირებთ, ომში კი ხალხი დაიხოცება, რომელი უფრო დიდი ცოდვაა, მარხვის დარღვევა თუ კაცის კვლა?“ – გაჰკვირვებია მიხას.

თვითონ არ უყვარდა იმ უბედური შემთხვევის შესახებ საუბარი, რომელმაც ხერხემლის მალა დაუზიანა. თხრილში ჩავარდნის წინ თვალებში რაღაც შემანათესო, იტყოდა მოკლედ, მაგრამ აღარ ახსოვდა, რა შეანათეს, მანქანის ფარები იყო თუ სხვა რამ. „ალბათ ღმერთმა ასე ინება, – მითხრა ერთხელ, – შესაძლოა, რაღაც უფრო დიდ უბედურებას ამარიდა, თბილისის ომს, მაგალითად. რომ არ დავინვალიდებულიყავი, იქნებ ჩემი გასროლილი ტყვია ვიღაც ქართველს მოხვედროდა...“

მიხა თითქმის ოცი წელი იყო ლოგინს მიჯაჭვული, ექიმებს კი უკვირდათ, მათ, უბრალოდ, არ ესმოდათ, ამ სასწაულის შემოქმედნი სოფიკო, გაგა და თამუნა რომ იყვნენ, სწორედ ისინი უხანგრძლივებდნენ ცხოვრებას... პოეტებმა რატომღაც მხოლოდ რომანტიკულ გრძნობებს შეასხეს ხოტბა, რომლებსაც ხანდახან საკუთარ მოვალეობათა დავიწყებამდე მიჰყავთ ადამიანი. მშვენიერმა ელენემ მოქმედი და ჯანმრთელი ქმარი მიატოვა პარისის გამო. მის ამ იმპულსურ გადაწყვეტილებას უამრავი ბერძენი და ტროელი ვაჟკაცი შეეწირა. რომეოსა და ჯულიეტას ურთიერთობა აფეთქებას ჰგავდა. ფანტაზიის დიდი ნიჭი უნდა ჰქონდეს ადამიანს იმის წარმოსადგენად, თუ როგორები იქნებოდნენ რომეო და ჯულიეტა წლების შემდეგ. გაუძლებდა კი მათი სიყვარული დროსა და განსაცდელს? შექმნიდნენ კარგ ოჯახს? მსგავსი კითხვები არავის გასჩენია, რადგან მათი სიყვარული მითივით იყო. აუცილებლად ახალგაზრდები უნდა მომკვდარიყვნენ.

პოეტებმა ბევრ ქალს შეასხეს ხოტბა: მშვენიერი ელენეს, პენელოპეს, ჯულიეტას... მაგრამ არავის მოსვლია თავში, დაეხატა ისეთი პერსონაჟი, რომელიც ავადმყოფ მეუღლეს უვლიდა. ალბათ ვერც ხედავდნენ რაიმე პოეტურს ერთფეროვანი ქმედებების აღწერაში (დავრდომილის მოვლა ხომ მომქანცველია და ხშირად თავად მომვლელს აღიზიანებს? ის გამუდმებით ბუზღუნებს, თავბედს იწყევლის და ხანდახან ავადმყოფს აუგადაც იხსენიებს). სოფოს შემთხვევა კი გამონაკლისი იყო. ის სიყვარულით უვლიდა მიხას და არა – მოვალეობის გამო. მას სიამოვნებდა ის, რაც ქმარს სიამოვნებდა; უყვარდა, რაც მას უყვარდა. ორივეს ერთად კი გულწრფელად უხაროდა სტუმრის მისვლა. სტუმარი ღვთის რომ იყო, ბავშვობიდანვე ვიცოდი, მაგრამ ამ გამონათქვამის ჭეშმარიტებაში პირველად მიხას ოჯახში დავრწმუნდი. შეუძლებელია, სტუმრის დანახვისას მასპინძელმა და დიასახლისმა სიხარულის სცენა დამაჯერებლად გაითამაშონ, გამოხედვა ან ერთი უნებლიე მოძრაობა მაინც გასცემს მათ ფარულ გრძნობებს. მიხასა და სოფოს შემთხვევაში კი მსგავსი არაფერი ხდებოდა, მათ ნამდვილად უხაროდათ სტუმრის მისვლა.

მიხას კედელზე გარდაცვლილი მეგობრებისა და პოლიტიკოსების ფოტოები ეკიდა. რამდენიმე სადღეგრძელოს წასულებისას იტყოდა. მხოლოდ შემდეგ გადადიოდა ცოცხლებზე. ადღეგრძელებდა რომელიმე წინაპარს ან მეგობარს და ამბავსაც მოაყოლებდა. ასე შევიტყვე ლეგენდად ქცეული ხევსურის (ლიქოკელის) შესახებ, რუსეთ-იაპონიის ომისას სახალინზე სამურაები რომ ჩახოცა. მიხას ბებიაც ლიქოკელის ქალი გახლდათ, იმ მითიური მებრძოლის შტოდან, კუნძულზე *პრისტავის* მკვლელობისთვის რომ გადაასახლეს. ომის პერიოდში გადასახლებულის სახლი იაპონელთა რაზმს მოუქცევია ალყაში. ათეულობით მებრძოლი შეჭრილა, მაგრამ უკან აღარავინ გამოსულა. მერე რაზმის მეთაური სამურაიც ხმალამოღებული შევარდნილა სახლში და გაკვირვებია, როცა უნახავს, რომ იქ მხოლოდ ერთი ადამიანი იმყოფებოდა, რომლის ირგვლივაც მოკლულ იაპონელ მებრძოლთა გვამები ზვინებივით აღმართულიყო. ლიქოკელს სამურაების მეთაურიც დაუმარცხებია, თუმცა ბოლოს მაინც შეიპყრეს და დახვრიტეს.

მიხას ბავშვობაში თურმე სტუმრების მოსვლა ძალზე ახარებდა, მაგრამ ტიროდა, როცა მიდიოდნენ. ბებია კი ვაჟკაცური სულისკვეთებით ზრდიდა. ერთხელ ატირებულთან მისულა, უჩქმეტია და მკაცრად უთქვამს:

– რატომ ვერ ხვდები, ბეჩავო, მოლოდინი სჯობს მოსვლასა...

წინაპრების შემდეგ მიხა აუცილებლად ადღეგრძელებდა გიორგი ჯაფარიძეს და სვანურ ქუდში გადაღებული მისი ფოტოსკენ გაექცეოდა თვალი.

– ძალიან უბრალო კაცი იყო. სარესტავრაციო სამუშაოზე ყოფნისას სასადილოში შესულა ერთხელ წასახემსებლად, გაუპარსავი და დაუბანელი, სამუშაო ტანსაცმლით, იქ მეგობრისთვის მოუკრავს თვალი, რომელიც ვიღაც გამოპრანჭულ ქალთან სადილობდა. მისულა და თავისუფალ სკამზე ჩამომჯდარა. მეგობარს მისთვის წესიერად არც შეუხედავს, მათხოვარი ჰგონებია, სამმანეთიანი ჩაუკუჭავს ჯიბეში, ალბათ ფიქრობდა, წავა, დალევს, მე კი თავს დამანებებსო. რომ აღარ წავიდა, მხოლოდ მაშინღა შეათვალიერა და იცნო საკუთარი მეგობარი, ფოლკლორისტიკის ფაკულტეტის პროფესორი გიორგი ჯაფარიძე. შერცხვა და მოუბოდიშა, ასე ჩაცმული ვერ გიცანიო. პროფესორი კაცი მათხოვარი ეგონა, აი, ასეთი უბრალო ადამიანი იყო, – იტყოდა მიხა, – ღმერთმა ნათელში ამყოფოს.

სოფოს ამ ამბის მოსმენისას ეღიმებოდა. თვითონაც ძალიან უბრალო და თბილი გახლდათ. დედა რომ გარდამეცვალა და სრულიად მარტო დავრჩი, სამძიმარზე მოსულმა ასეთი რამ მითხრა:

– შენ ძლიერი ხარ, მხრებს ნუ ჩამოყრი, შენნაირ სუფთა ადამიანს ღმერთი არ გაწირავს, – ცოტა ხნის შემდეგ კი დაამატა, – ისეთი სუფთა ხარ, როგორც თოვლი მწვერვალზე...

ასე არავის შევუქივარ, რა თქმა უნდა, ამას არ ვიმსახურებდი. წლების შემდეგ, სოფიკო რომ გარდაიცვალა, მის დაკრძალვაზე ეს სიტყვები გამახსენდა და მივხვდი, რა აძლებინებდა მიხას, ვინ უნარჩუნებდა სულიერ სიმხნევეს. საწოლს მიჯაჭვულს ტარიელ ხარხელაურის ლექსის თქმა უყვარდა:

„ლომი მწოლარეც ლომია,
კაი ყმას წოლაც შვენის,
მეც დიდად მომწონებია,
დროსთან ჭიდილი შენი.“

მიხა რაღაცით ჰგავდა ძველ ქართველებს, ჩვენს მეომარ და გაუტეხელ წინაპრებს, რომლებმაც ზურგის ჩვენება და დანებება რა იყო, არც იცოდნენ.

გერმანელი ექიმები კი დიდხანს გაოცებით ჩასცქეროდნენ რენტგენის სურათსა და ავადმყოფობის ისტორიას, ამდენ ხანს როგორ იცოცხლა, ეს ნამდვილი სასწაულიაო, ამბობდნენ.

თემურ გაგუნია

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნება

პაატა სურგულაძე

ქართველ ხალხს ხანგრძლივი, მრავალფეროვანი ისტორიული მეხსიერება და ძლიერი გენეტიკური კოდი აქვს. სწორედ ეს განაპირობებდა დიდი ისტორიული ქარტეხილებისადმი მის მედეგობას და სიცოცხლისუნარიანობას. ამის გამო ხდებოდა შესაძლებელი, არა მარტო, თავის გადარჩენა, არამედ პერიოდულად ისეთი დიდი გამარჯვებების მიღწევა, როგორიც დავითის და თამარის ეპოქა იყო. საქართველოს სიძლიერის ეს პერიოდი ხომ ოქროს ასოებით არის ჩაწერილი მის ისტორიულ მეხსიერებაში.

საერთოდ, ერის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად შესწევს ამ ერს უნარი, სიღრმისეულად გააანალიზოს თავის მიერ განვლილი ისტორიული გზა და იქიდან შესაბამისი, სწორი დასკვნები გამოიტანოს.

1918 წლის 26 მაისს აღდგენილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ცარიელ ადგილას არ აღმოცენებულა და იგი საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მზადდებოდა.

მას შემდეგ, რაც, რუსეთმა დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები და მოახდინა ქართლ-კახეთის სამეფოს ძალით მიერთება და განახორციელა მისი პირველი ანექსია, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი დაიწყო.

ქართველობისათვის ეროვნული თავისუფლების მიღწევა თანდათანობით დომინანტ იდეად იქცა. ამის დასტურია 1802 წლის ქელმენჩურის პოლიტიკური გამოსვლა და ეროვნული აჯანყებები ქართლის მთიანეთში 1804 წელს, კახეთში 1812 წელს, იმერეთსა და გურიაში 1819-1820 წლებში და 1832 წლის შეთქმულება, რომელიც, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სრულიად განსხვავებულ, ახალ ეტაპს წარმოადგენდა და რომელმაც, იდეურად შეუმზადა ნიადაგი „თერგდალეულთა“ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლას.

რუსეთმა მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში მოამთავრა დასავლეთ საქართველოს ინკორპორირება მის იმ იმპერიაში, რომელიც დაუნდობლად ებრძოდა ყველაფერ „ქართულს“, პირველ რიგში კი ქართულ ენას. ყოველივე ამან კიდევ უფრო გაამძაფრა ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა, რომლის მოთავეობაც დიდმა ილიამ იტვირთა. მისი დევიზი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ ფორმულად იქცა.

ჩვენი ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთებში ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა სხვადასხვანაირი ინტენსივობითა და მეთოდებით მიმდინარეობდა. გარკვეულ ვითარებაში ქართველობა იარაღით ხელში იბრძოდა, სხვა მომენტებში კი იარაღს კალამი და გუთანი ენაცვლებოდა, თუმცა, ყველა შემთხვევაში, ქართველი კაცის მთავარ საყრდენსა და ორიენტირს მისი რწმენა წარმოადგენდა. ეროვნული თავისუფლების მოპოვების დომინანტი იდეის მთავარი მასაზრდოებელიც ხომ რწმენა და სულიერება იყო. ხატოვნად რომ ვთქვათ, ქართველ კაცს თუ ერთ ხელში იარაღი ან კალამი ეჭირა, ორივე სიტუაციაში მეორე ხელში აუცილებლად ეკავა ჯვარი. ჩვენი ეკლესია და დიდი ქართველი მამულიშვილები თავის ხალხს მუდმივად ესაუბრებოდნენ ამ დიად მიზანზე და მის მისაღწევად კონკრეტულ სამოქმედო გზებსაც უსახავდნენ.

მართალია მეცხრამეტე საუკუნის 80-90-იანი წლებიდან მოყოლებული იმ პერიოდის ჩათვლით, როდესაც დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, მარქსიზმის გავრცელების შედეგად, წინა პლანზე სოციალურმა პრობლემებმა და საკითხებმა წამოიწია, ამან მაინც ვერ მოახდინა პოლიტიკური დღის წესრიგიდან ეროვნული საკითხის სრულად გაქრობა და როდესაც შესაფერისი მომენტი დადგა, ქართველმა ხალხმა ბრძნული და სწორი გადაწყვეტილება მიიღო. რა თქმა უნდა, ამაში თავისი როლი მაშინდელმა საგარეო პოლიტიკურმა სიტუაციამ და მისით განპირობებულმა ფაქტორებმაც ითამაშეს.

ასე რომ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება სრულიადაც არ ყოფილა შემთხვევითი. დამოუკიდებელი ცხოვრების არასრული 3 წელიწადის, უფრო ზუსტად, 1028 დღის მანძილზე ქართველმა ხალხმა მტერსაც და მოყვარესაც ნათლად დაანახვა, რომ ის ამ დამოუკიდებლობისათვის მორალურად მზად იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა ყველა მიმართულებით ეროვნული ენერგიის იმ მასშტაბითა და ხარისხით ამოფრქვევა და გამოვლინება, რომელიც იმ ურთულეს და მოკლე პერიოდში მოხდა.

*

1917 წელს რუსეთში მომხდარმა თებერვლის რევოლუციამ დაამხო რომანოვების დინასტია, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდ იმპერიას 300 წლის განმავლობაში მართავდა. თებერვლის რევოლუცია რუსეთის დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით, უდავოდ პროგრესული, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. რუსეთში თვითმპყრობელობის დამხობამ იმპერიის არარუს ხალხებს ეროვნული თავისუფლების მისწრაფებანი საგრძნობლად გაუძლიერა.

ამ დროს საქართველოში პოლიტიკურ ასპარეზს დაპატრონებული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც მასებში ყველაზე დიდი პოლიტიკური გავლენით სარგებლობდა. მაშინ ეს პარტია ეროვნულ საკითხს, ისე, როგორც ადრე, მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა.

ეროვნული ავტონომიისათვის ბრძოლის დიდი ტრადიციები ჰქონდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას, რომელიც თავის პარტიულ პროგრამაში ფართო ავტონომიის საკითხს მუდამ სათანადო ყურადღებას უთმობდა.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მაშინ ყველაზე თანმიმდევრულ ეროვნულ ძალას ქართველ ინტელიგენტთა ის მცირე ჯგუფი წარმოადგენდა, რომელიც 1917 წლის ივნისში ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად ჩამოყალიბდა. სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წიაღში თავიდანვე, 900-იან წლებშივე გაჩნდა ავტონომისტებისაგან განსხვავებული მიმართულება. ეს იყო ე.წ. „მემარჯვენე ფრთა“, რომელიც ეროვნულ საკითხში უშუალოდ „თერგდალეულთა“ პროგრამას იზიარებდა და აგრძელებდა. ეროვნულ-დემოკრატიულ პოზიციაზე მდგომ ამ ჯგუფს პოლიტიკური პარტიის დაფუძნების მცდელობა ჯერ კიდევ 1905 წელს ჰქონდა. ამ პერიოდში ენყობოდა თათბირები, რომლებშიც ილია ჭავჭავაძეც იღებდა მონაწილეობას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უპირობო ლიდერი მომავალი პარტიის პროგრამისა და წესდების შემუშავებაშიც იყო ჩართული, თუმცა მაშინ პარტიის დაფუძნება ვერ მოხერხდა.

ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლთა ჯგუფს თბილისში მოღვაწეობა კონსპირაციულად უწევდა. აღნიშნული ჯგუფის აქტიური წევრები იყვნენ: იაკობ გოგებაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სიმონ ყიფიანი, ალექსანდრე ყიფშიძე, მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, გიორგი გვაზავა, რევაზ გაბაშვილი, ვალერიან გუნია, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვ. ეს ჯგუფი თბილისში გამოსცემდა ჟურნალს — „ერი“, რომელიც ცენზურის დევნის გამო, სხვადასხვა სახელწოდებით გამოდიოდა და საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას გაბედულად მოითხოვდა.

რუსეთის იმპერიაში 1905-1907 წლების რევოლუციის შემდგომ არსებულ რეაქციის წლებში, ამ ჯგუფის ერთი ნაწილი იძულებული გახდა, თავი ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოსთვის შეეფარებინა. გიორგი დეკანოზიშვილი საფრანგეთში გაიხიზნა და 1910 წელს იქვე გარდაიცვალა. ევროპის ქალაქებში თვითმპყრობელური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას ენერგიულად განაგრძობდნენ ემიგრაციაში მყოფი ეროვნული მოღვაწეები. პეტრე სურგულაძემ, ძმებ გიორგი და ლეო კერესელიძეებთან ერთად ჟენევაში ეროვნული მიმართულების ჯურნალი „თავისუფალი საქართველო“ დააარსა. ჟენევის ჯგუფთან და ხსენებულ ჟურნალთან აქტიურად თანამშრომლობდნენ მიხაკო წერეთელი ლონდონიდან და გიორგი მაჩაბელი ბერლინიდან. „დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა! – აი ჩვენი მიზანი“-ო აუწყებდა მკითხველს ჟურნალი.

ეროვნულ-დემოკრატიული ძალების საქმიანობა, განსაკუთრებით, პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ გააქტიურდა. რუსეთის წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში გერმანიის წარმატებებმა და, უშუალოდ, კავკასიაში საომარი პლაცდარმის შექმნამ, აღნიშნულ ჯგუფს, რუსეთის დამარცხების შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იმედები აღუძრა. მეფის რუსეთის ამ მტრულ ძალებთან კავშირი მათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ხელშემწყობ ფაქტორად მიაჩნდათ. ჟენევაში შექმნილმა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ ურთიერთობა გერმანიის უმაღლეს პოლიტიკურ წარმომადგენლობასთან დაამყარა. „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტსა“ და გერმანიის მთავრობას შორის მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის ძალითაც, ეს უკანასკნელი, ომში რუსეთის დამარცხების შემთხვევაში, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ცნობის ვალდებულებას იღებდა.

იმ პერიოდში ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობას ყველაზე მეტად ეროვნულ-დემოკრატიული ძალები გრძნობდნენ. მაშინ ყველაზე აქტიური მაინც სამღვდელოება და ეროვნულ მოღვაწეთა ერთი ჯგუფი აღმოჩნდა. საქართველოს ეკლესიამ კარგად გამოიყენა თვითმპყრობელობის რეჟიმის დაცემა და მაშინვე დაიწყო ბრძოლა თავისი 1811 წელს ჩამორთმეული ავტოკეფალიის დასაბრუნებლად.

1917 წლის 12(25) მარტს საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დაიბრუნა რუსეთის ეკლესიის მიერ წართმეული ავტოკეფალია. ეროვნული მეობის შესანარჩუნებლად წარმოებული ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა. ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე ეს პირველი სერიოზული ნაბიჯი იყო.

1917 წლის 8-17 სექტემბერს თბილისში ჩატარდა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, რომელშიც ეკლესიის მსახურებთან ერთად საერო მოღვაწენიც იღებდნენ მონაწილეობას. კრებაზე შემუშავებულ იქნა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) იქნა არჩეული.

მაშინ მთელი ქართველი ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა დედა ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნებას.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის წართმეული ავტოკეფალიის დაბრუნება მართლაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის პირველ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენდა.

დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი 1917 წლის აპრილში შექმნილი „ინტერპარტიული საბჭო“ გახლდათ. მასში სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების წარმომადგენლები შედიოდნენ. აღსანიშნავია, რომ, „ინტერპარტიულმა საბჭომ“ 1917 წლის სექტემბერში პეტროგრადში საერთო სარუსეთო დემოკრატიულ თათბირზე მონაწილეობის მისაღებად თავისი დელეგაციაც კი გაგზავნა.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ეროვნულ--დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბება. ორგანიზაციულად ეს პარტია 1917 წლის ივნისში ქუთაისში მოწვეულ დამფუძნებელ ყრილობაზე დაფუძნდა. ახალი პარტიის მესვეურები იყვნენ: ნ. ნიკოლაძე, სპ. კედია, გ. გვაზავა, რ. გაბაშვილი, პ. სურგულაძე, მ. წერეთელი, ა. ასათიანი, დ. ვაჩნაძე, გ. მაჩაბელი და სხვები.

ამ პერიოდში მომწიფდა აზრი ეროვნული საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ. ეს საკითხი პრაქტიკულად „ინტერპარტიულმა საბჭომ“ დააყენა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული თვითგამორკვევის სურვილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნების შემდეგ თანდათან კიდევ უფრო გაიზარდა.

ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს ახალი ბიძგი 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მომხდარმა ბოლშევიკურმა გადატრიალებამ მისცა. სამხრეთ კავკასიაში მოღვაწე არცერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, ბოლშევიკების გარდა, ოქტომბრის გადატრიალების კანონზომიერება არ ცნო, იგი „ბლანკიზმის“ გამოვლინებად შეაფასა და ზურგი შეაქცია. პოლიტიკურმა პარტიებმა ბოლშევიკების მიერ საჯაროდ აღიარებული და გაცხადებული ერთა თვითგამორკვევის პრინციპი თავიანთი სამოქმედო პროგრამის ნაწილად აქციეს. აქედან გამომდინარე ის პარტიები, რომლებიც მოვლენათა ფარვატერში იდგნენ პოლიტიკური ძალაუფლების დაპატრონებას დაუყოვნებლივ შეუდგნენ.

პირველი პრაქტიკული ნაბიჯი ამ რთულ გზაზე „ამიერკავკასიის კომისარიატის“ შექმნა იყო. აღნიშნულმა ორგანომ მხარის პოლიტიკურ სიტუაციას ალღო დროულად აუღო და მხარის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად სწორი ნაბიჯები გადადგა.

1917 წლის ნოემბერში რუსეთის იმპერიაში დამფუძნებელი კრების არჩევნები ჩატარდა. მისი დეპუტატები სამხრეთ კავკასიაშიც იყვნენ არჩეულნი. საყოველთაოდ არჩეული კრების მუშაობის დაწყებას დიდი იმედებითა და სასოებით მოელოდა რუსეთის დემოკრატია. მათ შორის გავლენიანი ქართული პოლიტიკური ძალებიც იყვნენ. კრების არჩევნებში ბოლშევიკებმა სასურველი შედეგი ვერ მიიღეს და მას ეჭვის თვალით დაუწყეს ყურება. დამფუძნებელი კრება მუშაობას 1918 წლის 6 იანვარს, სანქტ-პეტერბურგში თავრიდის სასახლეში შეუდგა. კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩასვლა ვერ მოასწრეს სამხრეთ კავკასიაში არჩეულმა დეპუტატებმა. მათგან ამ ფორუმს მხოლოდ ირაკლი (კაკი) წერეთელი ესწრებოდა. ბოლშევიკებმა ხალხის პოლიტიკური ნების შედეგად არჩეულ დამფუძნებელ კრებას ანგარიში არ გაუწიეს და ის დაშალეს (გარეკეს).

„ამიერკავკასიის კომისარიატში“ შემუშავდა მართებული აზრი, რათა სამხრეთ კავკასიაში არჩეული დამფუძნებელი კრების დეპუტატებისაგან ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანო შექმნილიყო. 1918 წლის 22 იანვარს შედგა დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელ დეპუტატთა პირველი სხდომა, რომელსაც 26 მათგანი ესწრებოდა. დადგინდა, რომ სწორედ ამ შემადგენლობით ჩამოყალიბებულიყო „ამიერკავკასიის სეიმი“. მისი პირველი მოწვევის დღედ 10 თებერვალი დაინიშნა. იგი სამხრეთ კავკასიის პარლამენტი უნდა ყოფილიყო. „ამიერკავკასიის კომისარიატისა“ და „ამიერკავკასიის სეიმის“ მიერ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში განხორციელებულ ღონისძიებებს (წოდებრიობის გაუქმება, აგრარული კანონი, ერობათა შექმნა და სხვ.) საზოგადოებრიობის დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

►► დასასრული იქნება

ქაქ ლაკანი

ფსიქოლოგია და მეჯაფსიქოლოგია

▶▶ გაგრძელება. დასაწყისი "ლს„ №8



მართალნი ვართ, თუ არა? ამ კითხვის დასმა ყველა შემთხვევაში ღირს.

მისი დასმა ნიშნავს, ეცადო, აღმოაჩინო რაღაც მომენტი, რომელშიც ცნება ნებას გვაძლევს, საკუთარი თავი თითქოს ჩასახვის მომენტში დაგვანახვოს. ამისათვის ასე შორს წასვლა არ არის საჭირო – ჩვენ წინაშე უკვე სრულიად ცინცხალი მოწმობებია. საკმარისია, დავუბრუნდეთ იმ, ჯერ კიდევ სრულიად ახლო ეპოქას, როდესაც ჩვენს ცხოვრებაში ისეთი სერიოზული ძვრები მოხდა, რომ გვეცინება, როცა ახლა პროტაგორას შესახებ ვკითხულობთ, თუ როგორ მივიდა ვიღაც სოკრატესთან და მის შეძახილზე: „ეი, შემოდით, ვინაა იქ?“ პასუხობს: „ეს მე ვარ, პროტაგორა“. სასაცილოა იმიტომ, რომ, როგორც პლატონი შემთხვევით მოიხსენიებს, ყველაფერი სრულ სიბნელეში ხდება. ამისათვის არავის არასოდეს მიუქცევია ყურადღება, რადგან ამან, შეიძლება, მხოლოდ ის ადამიანები დააინტერესოს, რომლებიც, ჩვენ მსგავსად, უკვე, სულ მცირე, სამოცდათხუთმეტი წელია, რაც ელექტრონული ნათურით სარგებლობენ.

ჩახედეთ ლიტერატურას. თქვენ ამტკიცებთ, რომ თუმცა ყოველივე ეს მართლაც ახასიათებს ადამიანებს, რომლებიც ფიქრობენ, ადამიანებთან, რომლებიც არ ფიქრობენ, რაღაც გაგება თავიანთი საკუთარი მე-სი ასევე ყოველთვის მეტ-ნაკლებად სპონტანურად არსებობდა. მაგრამ თქვენ კი იცით ამის შესახებ? თავად თქვენ ხომ იმ ადამიანებს ეკუთვნით, რომლებიც ფიქრობენ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მემკვიდრენი ხართ ადამიანებისა, რომლებიც ამაზე ფიქრობდნენ. თუმცა, იმის ნაცვლად, რომ ამ კითხვას თავი ავარიდოთ, ვეცადოთ, მასში უკეთ გავერკვეთ.

ამ ჯურის ადამიანებს, რომლებსაც ჩვენ პირობითად დანტისტებს ვუწოდებთ, მსოფლიო წესრიგის არსებობა მყარად სწამთ, რამდენადაც ჰგონიათ, რომ ნათელი აზროვნების კანონები და პროცედურები გადმოცემულია ბ-ნი დეკარტეს მიერ მსჯელობაში მეთოდის შესახებ. თუმცა მისი „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“ – ფუნდამენტური პრინციპი ყველაფრისათვის, რაც ახალ სუბიექტურობას ეხება, – არც ისე მარტივია, როგორც ამ დანტისტებს ჰგონიათ, და მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან, მასში წმინდა წყლის თაღლითობა აღიარონ. თუ მართალია, რომ ცნობიერება საკუთარი თავისადმი გამჭვირვალეა და საკუთარ თავს, როგორც ასეთს, შეიცნობს, მაშინ ნათელია, რომ მე (ჯე) მისთვის ამით უფრო გამჭვირვალე არ ხდება. ის მას ობიექტისაგან განსხვავებული წესით არ ეძლევა. ობიექტის აღქმა ცნობიერებით მას მის თვისებებზე დაუყოვნებლივ წარმოდგენას არ აძლევს. იგივეა დამახასიათებელი ცნობიერების მიერ მე-ს აღქმისათვის.

სხვა სიტყვებით, მაშინაც კი, თუ მე მართლაც რეფლექსიის აქტში წარმოგვიდგება, სადაც ცნობიერება საკუთარი თავისათვის გამჭვირვალეა, როგორც უშუალოდ მოცემულობა, ეს ჯერ კიდევ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს რეალობა – რომლის არსებობაზე დასკვნა უკვე თავისთავად ცოტა არაა – ამით სრულიად ამოწურული აღმოჩნდება.

ფილოსოფიური ხასიათის მოსაზრებებმა ჩვენ თანდათან საკუთარი მე-ს წმინდა ფორმალურ გაგებამდე მიგვიყვანა, მეტიც – მათ ამ ფუნქციისადმი კრიტიკული დამოკიდებულება ჩაგვინერგეს. ადამიანური აზრი ჯერ კიდევ უარყოფს იმ იდეას, თითქოს საკუთარი მე წარმოადგენს სუბსტანციას, განიხილავს რა მას, როგორც უფრო მითს, რომელიც მკაცრ მეცნიერულ კრიტიკას ექვემდებარება. არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, კანონიერ საფუძვლებზე თუ არა, ეს აზრი ეცადა, მასში წმინდა წყლის ილუზია დაენახათ ლოკის, კანტისა და ფსიქოფიზიოლოგების სახით, რომლებსაც – მართალია, თავიანთი მიზეზებით და საკუთარ წინაპირობებზე დაყრდნობით – აღარაფერი დარჩენოდათ, რომ მიჰყოლოდნენ მას. ყველა ისინი უდიდესი ეჭვით ეპყრობოდნენ მე-ს ფუნქციას, რადგან მასში მეტ-ნაკლებად ცხადად მკვიდრდებოდა სუბსტანციონალიზმი, რელიგიურ წარმოდგენას რომ გულისხმობს სულზე, როგორც სუბსტანციაზე, რომელიც, სულ ცოტა მაინც, უკვდავების თვისებით არის დაჯილდოებული.

ასე განსაცვიფრებელი ფოკუსი ჩაგვიტარა ისტორიამ: საკმარისი იყო, ოდენ წამიერად არად ჩაგვეგდო ფროიდის სწავლების ის მხარე, რომელმაც მოასწავა საფუძვლების შერყევა და განსაზღვრული ტრადიციით აზრის განვითარება, და რომელიც შეიძლება პროგრესად მივიჩნიოთ, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ აღმოვჩნდით იმ კრიტიკულამდელ ეპოქაში, რომელსაც ფილოსოფია დიდი ხანია დაშორდა!

თავის დროზე, როდესაც ჩვენ ვახასიათებდით ფროიდის მოძღვრებას, მას კოპერნიკისეული გადატრიალება ვუწოდეთ. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა არაკოპერნიკისეული უსათუოდ ერთმნიშვნელოვანია. დედამიწას ადამიანები ყოველთვის სულაც არ წარმოიდგენდნენ ამგვარ უსასრულო დაბლობად, ზოგჯერ ისინი მას საზღვრებს მიაწერდნენ, სხვადასხვა ფორმებსაც, ვთქვათ, ქალის შლიაპისას. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისინი მივიდნენ აზრამდე, რომ არის რაღაც, ქვემოთ განლაგებული – ვთქვათ, ცენტრში, – და მასზე, როგორც საფუძველზე, შენდება დანარჩენი სამყარო. აი, ამნაირად, თუმცა ჩვენ ძნელად თუ წარმოგვიდგენია, თუ რა შეეძლო, ეფიქრა საკუთარ მე-ზე სოკრატეს თანამედროვეს, მისთვის რაღაც ცენტრში უნდა ყოფილიყო განლაგებული და არ ჩანს, რომ ამას სოკრატე ეჭვის თვალით უყურებდა. ყველაზე მეტად სარწმუნოა, რომ ეს რაღაც მას ნაკლებად ახსენებდა იმ საკუთარ მე-ს, რომელიც დასაწყისს სადღაც XVI საუკუნეში ან XVII საუკუნის პირველ მეოთხედში იღებს. მაგრამ ესეც და ისიც საფუძველში, ცენტრში იდო. და აი, ამ წარმოდგენასთან მიმართებით ფროიდის აღმოჩენა გახლდათ სწორედ კოპერნიკისეული გადატრიალება – ცენტრი გადატანილი აღმოჩნდა. ამ აღმოჩენის აზრს კარგად გამოხატავს რემბოს შესანიშნავი ფორმულა (კარგადაა ცნობილი, რომ პოეტები, რომლებმაც არ იციან, რას ამბობენ, ამბობენ, ამის მიუხედავად, ყოველთვის პირველნი): „მე – ეს სხვაა“.

***

ოღონდ ეპატაჟზე არ წამოეგოთ, აზრადაც არ მოგვიდეთ, გავარდეთ ქუჩაში და იყვიროთ: მე სხვა ვარ, – ეს, დამერწმუნეთ, კარგს არაფერს მოგიტანთ. უფრო მეტიც, აკი ამით არაფერი თქმულა. რადგანაც დასაწყისში უნდა შევიტყოთ, რა არის ეს „სხვა“. არ ღირს, ამ ტერმინით ზედმეტად მოვიხიბლოთ.

ერთი ძველი კოლეგა გვყავს, ცოტა ხნით თანამშრომლობდა ტან მოდერნში (ახალი დრო), რომელსაც, როგორც იცით, ექსისტენციალიზმის ჟურნალს უწოდებენ; აი, ამნაირად, ერთხელ მან განგვაცვიფრა განცხადებით, ფსიქოანალიზის წარმატებით გავლისათვის აუცილებელია უნარი, სხვა აღიქვა, როგორც ასეთი. გამომივიდა ჭკვიანი! „და რა გაქვთ მხედველობაში, როდესაც ამბობთ: სხვა?“ – შეიძლება უმალ ვკითხოთ მას. „სხვა – ეს ვინაა: თქვენი მსგავსი, თქვენი მოყვასი, თქვენი მე-ს იდეალი, ანდა, უბრალოდ, ცარიელი გეჯა? განა ისინი ყველანი სხვანი არ არიან?“ არაცნობიერი სრულად სხლტება სარწმუნო საგნების წრიდან, რომლებშიც ადამიანი საკუთარ თავს შეიცნობს, როგორც საკუთარ მე-ს. სწორედ ამ წრის გარეშე არსებობს რაღაც, რომელსაც სრული უფლება აქვს, მე-დ იწოდებოდეს და რომელიც ამ უფლებას იმ ფაქტით აჩვენებს, რომ სახელდობრ, გააცხადებს რა საკუთარ თავს, როგორც საკუთარ მე-ს, მაშინ ის ქვეყნიერებას ევლინება. და ეს გახლავთ სწორედ ის, რის ცოდნასაც არ ისურვებდა საკუთარი მე-ს სფერო, რომელიც ყოველთვის მზადაა, თავი გასცეს მე-ს ანალიზისას, სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით.

სწორედ ამ რეგისტრში ყველაზე რელიეფურად ჩნდება მნიშვნელობა იმისა, რასაც ფროიდი არაცნობიერზე გვაუწყებს. იმან, რომ თავისი აზრი ტერმინ „არაცნობიერის“ დახმარებით გამოხატა, ფროიდი ნამდვილ წინააღმდეგობებამდე მიიყვანა in adiecto, როდესაც მას მოუხდა ეთქვა, რომ ეს მან თავადაც უწყოდა და (sic venia verba!) ამის გამო განუწყვეტლივ იხდიდა ბოდიშს – არაცნობიერი აზრების თაობაზე. ყოველივე ეს საშინლად უხერხული იყო, რამდენადაც იმ ეპოქის ენობრივ ურთიერთობათა პირობებში, როდესაც მან პირველად ჩამოაყალიბა თავისი იდეები, ის იძულებული იყო, გამოსულიყო წარმოდგენიდან, რომლის თანახმად, ყველაფერი, რომლისგანაც შენდებოდა საკუთარი მე, ასევე ცნობიერების წყობასაც ეკუთვნოდა. მაგრამ ეს სულაც არ გახლავთ ცხადი. თუ ის ზოგჯერ ასეც საუბრობს, ამის მიზეზი იყო განსაზღვრული მსვლელობა ფილოსოფიური აზრისა, რომელიც იმ ეპოქაში განიხილავდა საკუთარი მე-ს და ცნობიერებას, როგორც ორ, თანაბარი ღირებულების სიდიდეს. მაგრამ რაც უფრო შორს ავითარებს ფროიდი თავის აზრს, მით უფრო უარესად გამოსდის მას, რომ ცნობიერებას მისი ადგილი განუსაზღვროს. ასე რომ, შედეგად, ნებსით თუ უნებლიედ, იგი იძულებულია, აღიაროს, რომ ცნობიერებას ადგილს სულაც ვერ მოუძებნი. თანდათან იგება დიალექტიკა, რომელშიც მე უკვე არ ემთხვევა საკუთარ მე-ს. ბოლოს და ბოლოს ფროიდი საბოლოოდ ნებდება: აქ სახეზეა, – ამბობს ის – პირობები, რომლებიც ჯერ კიდევ ხელიდან გვისხლტება; მხოლოდ მომავალი გვაჩვენებს, რაშია აქ საქმე. მიმდინარე წელს ჩვენ ვეცდებით, სწორედ გავარკვიოთ ის, რომელი ადგილი შეიძლება მივუთითოთ ცნობიერებას ფროიდის მიერ წარმოდგენილ ფუნქციონალიზაციაში.

ჩვენ წინაშე ფროიდი ახალ პერსპექტივას ხსნის – პერსპექტივას, რომელიც სუბიექტურობის შესწავლის რევოლუციონიზირებას ახდენს. სწორედ მასში აშკარა ხდება, რომ სუბიექტი არ ემთხვევა ინდივიდს. ეს განსხვავება, რომელიც დასაწყისში მე სუბიექტური პლანით ვაჩვენე, არანაკლებად შეგრძნებადია – რასაც მეცნიერული თვალსაზრისით მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, და ობიექტურ პლანშიც.

თუ ჩვენ ბიჰევიორისტების თვალსაზრისზე დავდგებით, და განვიხილავთ ყოველივე იმას, რაც ობიექტურად გვეძლევა „ადამიანის“ სახელის ცხოველში, ინდივიდში, რომელიც აღებულია, როგორც ორგანიზმი, მაშინ აღმოვაჩენთ რიგ თვისებებს, გადაადგილებებს, მანევრებს, ურთიერთდამოკიდებულებებს და ქცევის ამ წესების ორგანიზების მიხედვით სწორედ რომ განვსჯით იმაზე, რამდენად მეტად აქვს უნარი ინდივიდს, სწორ გზას გადაუხვიოს, რათა მიაღწიოს საგნებს, რომლებიც, განსაზღვრების მიხედვით, მის მიზნებად ითვლება. სწორედ ამით წარმოდგენას შევიქმნით გარე სამყაროსთან მისი კავშირების განვითარებაზე, განვსაზღვრავთ მისი გონივრულობის ხარისხს, დავადგენთ დონეს, შკალას, რომლითაც შეგვეძლება გავზომოთ ხარისხი სრულყოფილებისა, ანუ არეტესი (სათნოებისა), მისი სახე. აი, ამნაირად, ის ახალი, რაც ჩვენ ფროიდმა მოგვიტანა, შემდეგში მდგომარეობს: სუბიექტის ყველა ის სამუშაო, რომელზეც ახლა ვსაუბრობდით, სრულიად არაა მიმართული ღერძისაკენ, რომლის გასწვრივ გადაადგილება დაემთხვეოდა ინდივიდუალური პიროვნების გონივრულობის, ღირსებების, სრულყოფილების ზრდას.

ფროიდი გვარწმუნებს, რომ სუბიექტი – ეს არ გახლავთ მისი გონება, ის სხვა ღერძზე მდებარეობს, იგი გონებისადმი ექსცენტრულია. სუბიექტი, როგორც ასეთი, ესე იგი, მოქმედი, როგორც სუბიექტი, წარმოადგენს რაღაც სხვას, ვიდრე გარეგან სამყაროსთან ადაპტირებული ორგანიზმი, და მთელი მისი საქციელი ლაპარაკობს – მისთვის, ვისაც ხელეწიფება, ეს ხმა გაიგონოს – სრულიად სხვა ადგილიდან, ვიდრე ის ღერძია, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, როცა ამ სუბიექტს განვიხილავთ, როგორც ინდივიდის ფუნქციას, ესე იგი, როგორც ინტერესთა განსაზღვრული ნაკრების მქონეს, ინდივიდუალური არეტეს იდეას რომ ეფუძნება.

ვეცადოთ, ჯერჯერობით ამ ტოპოლოგიურ მეტაფორას მივყვეთ – სუბიექტი ინდივიდთან მიმართებით დეცენტრირებულია. ფრაზა: „მე – ეს სხვა ვარ“ საკუთარ თავში სწორედ ამ აზრს შეიცავს.

ეს აზრი რაღაც ხარისხით უკვე ცენტრალური კარტეზიანული ინტუიციის ველებზე შეიმჩნევა. საკმარისია, დეკარტეს კითხვისას დანტისტის სათვალე მოიხსნათ, თქვენ მასთან უმალვე მთელ რიგ გამოცანებს (ქარაგმებს) აღმოაჩენთ, რომელთაგან ერთ-ერთი, კერძოდ, ეხება ეგრეთ წოდებულ ღმერთ-თაღლითს. საქმე ისაა, რომ იღებთ რა იარაღად საკუთარი მე-ს ცნებას, თქვენ ნებსით თუ უნებლიეთ გულისხმობთ, რომ სადღაც კარტებია შეცვლილი. საბოლოო ანგარიშით, ღმერთი-თაღლითი – ეს იმის რეინტეგრაციის საშუალებაა, რაც უარყოფილი იყო, ეკტოპია.

ზუსტად ამ დროს ერთ-ერთმა თავისუფალმა მოაზროვნემ, რომელმაც საკუთარი თავი სალონური მჭევრმეტყველების სავარჯიშოებს მიუძღვნა (სწორედ იქ, სალონებში, ზოგჯერ საოცარი ამბები ხდება, და ფუჭ გასართობებში (დროსტარებაში) მოვლენათა ახალი წესრიგი ჩნდება), – უცნაურმა ტიპმა, რომელიც ოდნავაც არ პასუხობს კლასიკაზე მოარულ წარმოდგენებს, უმიზეზოდ (არც აცივა, არც აცხელა), ლაროშფუკოს სახელით, გადაწყვიტა, რაღაც საოცარი გვაუწყოს საგანზე, აქამდე განსაკუთრებულ ინტერესს რომ არ იწვევდა, – თავმოყვარეობაზე. სასაცილოა, რომ მისგან ნათქვამი ამდენად სკანდალური აღმოჩნდა, – კაცმა რომ თქვას, აკი რა თქვა მან? მან მხოლოდ და მხოლოდ ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ, ერთი შეხედვით ყველაზე უფრო დაუინტერესებელი ჩვენი საქციელი დიდების გამო ჩაიდინება. – მათ შორის, ისინიც, სადაც ჩვენ გვამოძრავებს მგზნებარე სიყვარული ან სურვილი, ყველაზე უფრო ღრმად საიდუმლოდ ვაკეთოთ სიკეთე.

მაგრამ ზედმიწევნით მაინც რას ამტკიცებდა იგი? ამტკიცებდა კი ის, რომ ჩვენ ყველაფერს სიამოვნებისათვის ვაკეთებთ? ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ფროიდთან ყველაფერი სწორედ მის ირგვლივ გახლავთ აგებული. თუ ლაროშფუკოს სურდა, მარტოოდენ ეს ეთქვა, ის მხოლოდ იმას გაიმეორებდა, რასაც უხსოვარი დროიდან ყველა ფილოსოფიური სკოლა ამტკიცებდა. რა თქმა უნდა, სინამდვილეში უხსოვარი დროიდან არაფერი ხდება, მაგრამ თქვენ შესანიშნავად ხვდებით, მოცემულ შემთხვევაში რა მაქვს მხედველობაში. სოკრატეს დროიდან ადამიანები მიიჩნევენ, რომ სიამოვნება – ეს საკუთარი სიკეთის დევნა გახლავთ. ადამიანი, რასაც არ უნდა ფიქრობდეს, სიამოვნებისაკენ ისწრაფვის, თავის სიკეთეს კვალში უდგას. კითხვა მხოლოდ ის გახლავთ, არის თუ არა ადამიანური მოდგმის კონკრეტული ნიმუში, მისთვის აქ და ახლა დამახასიათებელი ყოველდღიური რეაქციებით, საკმარისად გონიერი, რათა თავისი ნამდვილი სიკეთე გამოიცნოს, და თუ ის ხვდება, სად ძევს ეს სიკეთე, სიამოვნებასაც იღებს, რომელიც მისგან უთუოდ მოჰყვება. ბენტამმა ეს თეორია მის უკიდურეს შედეგებამდე განავითარა.

თარგმნა

მანანა კვატაიამ

▶▶ დასასრული იქნება

სიცოცხლე ლითონში

გზა, რომლითაც გარდაცვალების შემდეგაც ხელოვანი ურთიერთობს საზოგადოებასთან, არის შემოქმედება. მხატვარ **გივი სადალაშვილზე** ახლა უკვე მის მიერ ამეტყველებული ლითონის ფირფიტები საუბრობენ, მხატვარი ისე ეთაყვანება ლითონის ფირფიტას საჭრეთლითა და ქიმიური ტექნოლოგიებით, როგორც ფერმწერი ტილოს, ნახატები ხან საოცრად პლასტიკურია, ხანაც სტატიკური. სტატიკურობა აძლიერებს კიდეც ნაწარმოების მხატვრულ ზემოქმედებას, კომპოზიციათა საგანგებო სტილიზაციის მიღმა შეიგრძნობა, თუ რამდენად კარგად არის დაუფლებული ავტორი აკადემიურ ნახატს და გვევლინება მხატვრული აზროვნების და დიდი ფანტაზიის მქონე გემოვნებიან მხატვრად. ამავე დროს, ცხელი ჟანგვის ტექნოლოგიით ქმნის ფერწერულ ეფექტებს და ფერით ცოცხლობს, სუნთქავს თითოეული კომპოზიცია. გივი სადალაშვილის შემოქმედება და პიროვნული თვისებები ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს და მას გამორჩეულ შემოქმედად აქცევს...

გივი სადალაშვილი დაიბადა 1935 წელს. 1967 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. იგი აქტიურად იყო ჩაბმული შემოქმედებით, საგამოფენო და პედაგოგიურ საქმიანობაში. 1975 წლიდან 2023 წლამდე იგი იყო სამხატვრო აკადემიის პროფესორ-პედაგოგი.

1970 წლიდან საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია.

შთამბეჭდავია მხატვრის საგამოფენო საქმიანობა. 1967 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენებში.

2005 წელს დაჯილდოვდა საპატრიარქოს სიგელით;

2013 წელს ქ. თბილისის მერიამ საქართველოს მხატვართა კავშირის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოფენა-ფესტივალზე დააჯილდოვა სიგელით;

2022 წელს საქართველოს მხატვართა კავშირმა ქართულ ხელოვნებაში გაწეული განსაკუთრებული წვლილისათვის დააჯილდოვა სპეციალური დიპლომით.

დღეისათვის, მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონი გივი სადალაშვილის შემოქმედებითი კავშირი მშობლიურ უფლისციხესთან. მას 1997 წელს მიღებული აქვს საქართველოს მხატვართა კავშირის პრემია „წლის საუკეთესო ნამუშევარი“ უფლისციხის ისტორიულ თემაზე შექმნილი ნამუშევრისთვის. უფლისციხის თემატიკას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის შემოქმედებაში.

სწორედ ამ სივრცეში, უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში (მუზეუმების საერთაშორისო დღეს, 18 მაისს) გაიხსნა გივი სადალაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა „ლითონში გაცოცხლებული უფლისციხე“, რომელზეც 17 შესანიშნავი ნამუშევარი გამოიფინა.

ეს გამოფენა დასტურია იმისა, რომ ბატონი გივი სადალაშვილის შემოქმედება განაგრძობს სიცოცხლეს.

საქართველოს მხატვართა კავშირი

შორენა თამაზაშვილი დაიბადა 1976 წლის 9 იანვარს ჰერეთში. დაამთავრა კახის რაიონის სოფ. კახისთავის საშუალო სკოლა, შემდეგ – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

მუშაობს თბილისის 139-ე საჯარო სკოლის პედაგოგად. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

შორენა თამაზაშვილი

ეზო

ბინდდებოდა, იძინებდნენ ვარსკვლავები,
ეზოც თვლემდა, თოვლის საბნით დაფარული,
სახლის სხვენში ირწეოდა ქადის სუნი,
სახლში დედა – დაღლილი და დაშაქრული.
ღამდებოდა, მთიდან ზამთარს მოჰყვებოდა
მშიერი და გათოშილი რუხი მგელი,
ეს ხეები, ეს თოვლი და ეს ტყეები,
„ბურღუბებას“ ზღაპრები და შეშა ხმელი.
ნიჩაბი და მამაჩემის ნაკვალევი,
მორიდებით მოხითხითე უფროსი ძმა,
ნისკარტსველი შაშვები და ბელურები,
იავნანად მონარნარე ქურმუხის ხმა,
ბავშვობაში ნარბენი და ნაფერები
ეს ეზოა, რომ უხდება ზამთრის რული,
კვლავ ხმიანობს, იხმიანოს, იხმაუროს,
სახლის სხვენში ირწეოდეს ქადის სუნი.

მარიამობა ყანში

მამლის ყივილი დააფრთხობს და გააქრობს სიზმრებს,
ფიჩხის ტკაცუნზე გაილევა დაღლილი მთვარე,
თეთრი ხბო ხარბად და ხმაურით მოძებნის დედას,
ბოლო მერცხალიც თვალს მოავლებს საყვარელ არეს.
დილიდან ქვევრს არ მოასვენებს ზედაშის ღვინო,
სანთლების რხევა შეერევა ვაზების შრიალს,
ხავსიან სიპ ქვას მიაყუდებს დაღლილი ხელი,
მზეც დააცხუნებს, მოუმატებს თვალების ბრიალს.
გრილ ფიალაზე აუცდება თეთრ ღვინოს წვეთი,
ჩემი ძმა ეზოს გაბედულად გადასწერს პირჯვარს,
მეზობლის ბავშვი ქვევრის პირზე შემოდებს პურებს,
სწორედ ეს წუთი, ეს დღეობა მინდა და მიყვარს.

ქურმუხობა

მაისი – ვარდობისთვე... გიორგობა...
ტაძრისკენ თავდახრილი მლოცველები
მიდიან, პეშვით მიაქვთ მიწის ტრფობა,
მიდიან და თან მიაქვთ იმედები.
ტალახში აზელილი დარდებივით,
წვიმაში გაყინული ტერფებივით,
ქვებში დამარხული ცრემლებივით,
თენდება ვარდობისთვის გიორგობა!
იქ ყველა ლოცვაში წარსულია,
ყოველ გალობაში – სინანული,
ფიქრებში მთავარი მამულია,
გულში ტკივილია მიმალული.
ღრუბლებში აბურდული ელვებივით,
გუმბათზე გათოშილი ჩიტებივით,
თენდება და ცხადად მესიზმრება –
ქურმუხი... ვარდობისთვე... გიორგობა!

ძველი სურათის ზღაპარი

შაშვის გალობამ შაშვებისფრად შეღება ზეცა,
დაღამდა, მთებში ბუკიოტმა მორთო დუდუნი,
მამამ სკივრიდან სურათები ამოალაგა,
პაპამ მუგუზალს დააყარა ძველი თუთუნი.
„ეს დიდბებაა“ – ნარნარებდა დედას მშვიდი ხმა,
შავ-თეთრ ფოტოდან მიღიმოდა ნაზი ასული,
თვალებში დიდი სევდა ედგა – თავზე ჩიქილა,
„ძმას ტიროდაო – ვერ დაბრუნდა ომში წასული“.
ფანჯრებში ღამე ირწეოდა შავ შაშვისფერი,
ვერ ვიძინებდი, დარდიანად ფშვინავდა პაპაც,
სახურავებზე წვიმა ფრთხილად აკაკუნებდა,
დიდბებას ფოტო მიყვებოდა გაცრეცილ ზღაპარს.
შემდეგ კვლავ შაშვის გალობაზე გათენდა დილა,
გამეღვიძა და სურათისკენ გამექცა თვალი,
კვლავ მიმზადებდა ძილ-ბურანში მოსაყოლ არაკს,
წინსაფრიანი, ვერცხლასხმული, ლამაზი ქალი.



ბრძოლა გრძელდება

სალმან რუშდი თავდასხმის შემდეგ საჯაროდ პირველად გამოჩნდა და მადლობა გადაუხადა „გმირებს“, რომლებმაც მისი სიცოცხლე გადაარჩინეს.

შარშან, აგვისტოში, იგი ცივი იარაღით დაჭრეს, რის გამოც ცალ თვალში მხედველობა დაკარგა. მწერალმა იხუმრა, მოხარული ვარ თქვენთან დაბრუნებით, არადა, შანსი მქონდა, არც დავბრუნებულიყავიო.

რუშდი „პენ ამერიკას“ ღონისძიებას დაესწრო ნიუ-იორკში. „ნიუ-იორკ ტაიმზის“ ცნობით, მოულოდნელად გამოჩენილ მწერალს დამსწრე საზოგადოება მქუხარე ოვაციით შეხვდა. დაბრუნების შესახებ ერთი-ორი სიტყვის თქმის შემდეგ, მწერალმა აღნიშნა, ბედნიერი ვარ, ბედის ბორბალი ასე რომ დატრიალდაო.

რუშდის ნიუ-იორკში, შატოკუას საგანმანათლებლო ცენტრში ის-ის იყო ლექცია უნდა წაეკითხა, რომ მოულოდნელად თავს დაესხნენ და კისრისა და მუცლის არეებში ჭრილობები მიაყენეს. საავადმყოფოში ექვსი კვირა გაატარა, დაზიანებების გამო ერთ თვალში მხედველობა დაკარგა, ცალ ხელს კი საერთოდ ველარ ხმარობს.

მწერალს „პენ ამერიკას“ ღონისძიებაზე სპეციალური ჯილდო გადასცეს მამაცობისთვის. სიტყვით გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ თავდასხმის დროს ნამდვილი სიმამაცე მან კი არა, იმ ადამიანებმა გამოავლინეს, რომლებმაც სწრაფი მოქმედების წყალობით მისი გადარჩენა შეძლეს. რუშდიმ მათ გმირები უწოდა.

„რომ არა ეს ხალხი, მე დღეს აქ ნამდვილად ვერ ვიდგებოდი, – თქვა რუშდიმ, – იმ დღეს სწორედ მათ გამოიჩინეს სიმამაცე“.

მან ასევე დასძინა, რომ მანამდე არც სახელები იცოდა და ვერც სახეზე ცნობდა ამ ადამიანებს, მაგრამ საკუთარ სიცოცხლეს მათ უმადლის. პოლიციამ 24 წლის თავდამსხმელი ჰადი მატარი დააკავა, რომელმაც მცირე ფიზიკური დაზიანება ლექციის მოდერატორსაც მიაყენა. იგი თავს დამნაშავედ არ აღიარებს.

წლის დასაწყისში, თავდასხმის შემდეგ მიცემულ პირველ ინტერვიუში აღნიშნა, რაკილა გადავრჩი, ესე იგი, იღბლიანი ვყოფილვარო.

რუშდიმ, რომელიც ბრიტანული წიგნის დაჯილდოების ცერემონიას ვიდეოზარით ჩაერთო, თქვა, რომ „პენ ამერიკას“ მისია, რომ სიტყვის თავისუფლება ბოლომდე დაიცვას, მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს. მან განაცხადა: – „ტერორიზმმა არ უნდა დაგვაშინოს. ძალადობამ არ უნდა დაგვაფრთხოს. A luta continua. ბრძოლა გრძელდება“.

„პენ ამერიკას“ ღონისძიებაზე სპეციალური ჯილდო, „პენ/ბარბი – წერის თავისუფლება“, გადაეცა ირანელ მწერალსა და უფლებადამცველ ნარგის მოჰამადის, რომელიც ამჟამად პატიმრობაში იმყოფება. მის ნაცვლად ეს ჯილდო მის ქმარს, თაღი რაჰმანის გადასცეს, რომელსაც თავადაც გამოუცდია პატიმრობა ირანის ხელისუფლების პირობებში. მან განაცხადა: „ვერ დავივიწყებ, როგორ არაადამიანურად მოექცნენ ჩემს შვილებს ირანის მთავრობა და ციხის თანამშრომლები. მათ საკუთარი დედის ხმის გაგონებაც კი აუკრძალეს. ღონისძიებაზე ჯილდო „პენ ოდიბლი – ლიტერატურისადმი გაწეული ღვაწლი“ გადაეცა ლორნ მაიკლზს, სატელევიზიო პროგრამის „შაბათ ღამეს პირდაპირ ეთერში“ შემქმნელსა და აღმასრულებელ პროდიუსერს.

სარა შარფი

„გარდიანი“, 19.05.23



მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მეტრეველი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დემეტრაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბელა გველესიანი, მზია ბარბაქაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **ვოლდემარ ვანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს“
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG0000000161665862

გაზეთი გამოდის 2 კვირაში ერთხელ

დაბეჭდილია შპს **„საარის“** სტამბაში
მისამართი:
თბილისი, თევდორე მღვდლის 57

ISSN 2720-8540

9 772720 854003 >

ზანდუკელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsaqartvelo@yahoo.com